# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 სექტემბერი **შაბათი** 2011
№219 (13516) ფასი 80 თეთრი


ბესიკ ჯანგავაძე დანიდინიდან


lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი"


**როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE**

## ლიდერის მარცხი

თავისუფლებმა მსოფლიოს ჩემპიონატი უმედლოდ დაიწყეს



10

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (მარჯვნივ) გუშინდელი მარცხის შემდეგ

# ვიბრძოლებთ!

## ხვალ 10:00 საქართველო-ინგლისი




8-9

## საქართველომ 2 შეცვალა, ინგლისმა 9



16

ნახევარფინალების გმირები: ხუან კარლოს ნავარო (№7) და ტონი პარკერი (№9)

## ესპანეთი და საფრანგეთი ფინალში და ოლიმპიადაზე

ევრობასკეტი 2011. ნახევარფინალები

## თაობათა ბრძოლა

კვირას: მანჩესტერი-ჩელსი



ანდრე ვილაშ-ბოაშს სერ ალექსი გამოცდის

7

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

# გეგუჩაძე ავსტრიის ნაკრებთან მოლაპარაკებას ადასტურებს



**გია გეგუჩაძე,** რომელმაც საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ ევროპის ლიგაზე, „ბრიუგესთან“ მატჩის წინ დატოვა, ახლა უგუნდოდაა და მის ირგვლივ რამდენიმე ვერსიაც გაჟღერდა, თუმცა, დიდი ალბათობით, ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული ქართველი მწვრთნელი საქართველოში მუშაობას აღარ გააგრძელებს.

გრაცის „შტურმის“ მთავარი მწვრთნელი - **ფრანკო ფოდა** ავსტრიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა, გავრცელებული ინფორმაციით კი მისი თანაშემწე სწორედ გია გეგუჩაძე იქნება.

როგორც ცნობილია, ფოდამ „შტურმში“ **გიორგი ფოფხაძე** სწორედ გეგუჩაძის რეკომენდაციით აიყვანა.

„ლელო“ გია გეგუჩაძეს დაუკავშირდა, რომელმაც შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*„ავსტრიის ნაკრებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ნამდვილად იყო, თუმცა კონკრეტულად ჯერ არაფერია გადაწყვეტილი“.*

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გეგუჩაძეს მალე ფოდას თანაშემწედ ვიხილავთ.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ფოდას „შტურმმა“ გამოთიშა ევროპის ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გეგუჩაძის ყოფილი გუნდი.

**მაგდა კლდიაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# საბერძნეთს ისევ მიხეილ მესხზე ვუმასპინძლებთ

**როგორც ჩანს, საქართველოს ნაკრები ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის ბოლო შეხვედრასაც განახლებულ "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე გამართავს.**

მატჩი 11 ოქტომბერს არის დაგეგმილი, უეფას ოფიციალური ვებგვერდი კი შეხვედრის გამართვის ადგილად სწორედ "მიხეილ მესხის" არენას მიუთითებს, დაწყების დროდ კი - 19 საათს, ანუ ჩვენი ათვლით 21 საათს.

როგორც შევიტყვეთ, ვაკის სტადიონი ფედერაციამ სიფრთხილის გამო აირჩია – ჯერ უცნობია, ამ დროისთვის შესაძლებელი იქნება თუ არა ეროვნულ სტადიონზე თამაში. იქ საფრის დაგება დაწყებულია და სწრაფი ტემპით წინ მიდიან, ბალახით ტერიტორიის მეოთხედი უკვე დაიფარა, მაგრამ მხოლოდ მინდვრის დაგება არაა საქმე, თამაში რომ შესაძლებელი გახდეს და სამუშაოები წყალში არ ჩაიყაროს, ბალახის ნიადაგთან "შეხორცების" პროცესიც უნდა დასრულდეს, რასაც ორი კვირა მაინც სჭირდება.

ბალახის დაგება კი საფრთხილო საქმეა, ეს პროცესი დღის შუქზე მიზანშეწონილი არ არის, ამიტომ მხოლოდ მზის გადასვლის შემდეგ მუშაობენ, ამინდმაც ხელი უნდა შეუწყოს და სხვა მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი. სწორედ ამიტომ წინასწარ ვერავინ იტყვის ზუსტ თარიღს, ეროვნულზე ბურთის რიგიანად გაგორება რა რიცხვში იქნება შესაძლებელი.

ასე რომ, 11 ოქტომბერს საქართველო-საბერძნეთს "მიხეილ მესხის" სტადიონზე ვუმასპინძლებთ, რაც ნაკრების სამწვრთნელო შტაბშიც დაგვიდასტურეს. შესაძლოა, ეს უკეთესიც იყოს. საქართველოს გუნდმა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი უკვე დაკარგა. ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე, უმოტივაციო ნაკრების მატჩს ბევრი მაყურებელი არც ეყოლება, შედარებით მცირე რაოდენობით ქომაგი კი 28-ათასიან "მიხეილ მესხზე" უფრო ეფექტურად გამოჩნდება, ვიდრე 58-ათასიან ეროვნულ სტადიონზე.

**მერაბ მამულაშვილი**



ინტერვიუ

**რამდენიმე** დღის წინ "ზესტაფონში" ახალი სამწვრთნელო შტაბი დაამტკიცეს – მთავარ მწვრთნელად გიორგი ჭიაბრიშვილი დაინიშნა, მის ასისტენტად კი – გიორგი ყიფიანი. რამდენიმე დღის წინ ჭიაბრიშვილის პორტრეტი უკვე წარმოგიდგინეთ, ახლა კი ყიფიანთან ინტერვიუს გთავაზობთ. მას საკმაოდ საინტერესო საფეხბურთო წარსული აქვს და სამომავლო გეგმებზეც საუბრობს.

შეგახსენებთ, ქართველმა გულშემატკივარმა იგი "ვიტ ჯორჯიაში" თამაშისას გაიცნო, რის შემდეგაც ყიფიანმა რამდენიმე წელიწადი ისრაელში გაატარა, სადაც ითამაშა კიდეც და სამწვრთნელო კარიერასაც ხელი მოჰკიდა. შარშან კი ნახევარი სეზონი ბოლნისის "სიონის" მთავარი მწვრთნელი იყო, სადაც სამწვრთნელო ნიჭი აშკარად გამოავლინა.



# გიორგი ყიფიანი: საფიქრალი ბევრი არაფერი მქონდა

**- რამდენად მოსალოდნელი იყო თქვენთვის "ზესტაფონიდან" მიღებული წინადადება?**

- აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. მართალია, გიორგი ჭიაბრიშვილთან ბავშვობიდან ვმეგობრობ და ჩვენი საფეხბურთო შეხედულებებიც ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ "ზესტაფონი" ჩემით დაინტერესდებოდა.

**- გადაწყვეტილება სწრაფად მიიღეთ?**

- საფიქრალი ბევრი არაფერი მქონდა. როცა შენი სამსახურით საქართველოს ჩემპიონი, ამბიციური კლუბი ინტერესდება, უარის თქმის საფუძველი არ გაქვს. თუმცა არჩევანი ნამდვილად მქონდა – ისრაელში ფეთაჰ თიქვას "ჰაპოელში" პრაქტიკას გავდიოდი. იქ სამწვრთნელო შტაბი თავიდან ყალიბდებოდა და გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მიწვევდნენ. ისრაელში ბრწყინვალე საფეხბურთო ინფრასტრუქტურა და სამუშაო პირობებია, მაგრამ "ჰაპოელისა" და "ზესტაფონის" შედარება არ შეიძლება – ორ კლუბს შორის გაცილებით ძლიერი და პერსპექტიული ავირჩიე. აქ თითოეული თანამშრომელი მაქსიმუმს აკეთებს კლუბის წარმატებისთვის, ხელმძღვანელობა რეალურადაა დაინტერესებული არა მხოლოდ "ზესტაფონის", არამედ მთლიანად ქართული ფეხბურთის განვითარებით. კარგად მიმიღეს ფეხბურთელებმაც, მოკლედ, ყველას ერთმანეთის დიდი იმედი გვაქვს.

**- სამწვრთნელო გამოცდილება ისრაელში მიიღეთ. სამწვრთნელო A ლიცენზიის მოპოვებას იქ აპირებთ თუ საქართველოში?**

- საქართველოში, რადგან B ლიცენზია აქ მაქვს აღებული და საზღვარგარეთ სწავლის უფლება აღარ მაქვს. დიდი ხანია, A ლიცენზიის მოპოვება მსურს, მაგრამ მიზეზთა გამო, სემინარებზე სიარულს ვერ ვახერხებდი. კარგია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მალე A ლიცენზიის პროგრამას იწყებს და ამ კურსებს ნამდვილად აღარ გავაცდენ. დასაქმებული მწვრთნელისთვის სემინარზე სიარული ცოტა ძნელია, რადგან პროგრამა საერთო ჯამში დაახლოებით ხუთი კვირა გრძელდება, მაგრამ საამისო დროს აუცილებლად გამოვნახავ.

**- მთავარი მწვრთნელობის გამოცდილება უკვე გაქვთ. ამის შემდეგ მეორე მწვრთნელად მუშაობა რაიმე დისკომფორტს ხომ არ შეგიქმნით?**

- არავითარ შემთხვევაში. მწვრთნელი ყოველდღიურად უნდა სწავლობდეს და ვითარდებოდეს, რაც "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობისას ყოველმხრივ შესაძლებელია. საქმეს მთელი სულით და გულით შევუდექი, რადგან ვხედავ, რომ გიორგი ჭიაბრიშვილი თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია. აქ მისი მოწვევით ჩამოვედი და მზად ვარ, ბოლომდე დავუდგე გვერდში. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, საკმაო ცოდნა დააგროვა და მასთან მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესოა. ბუნებრივია, "ზესტაფონის" წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა გია გეგუჩაძემ, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიმაჩნია.

**- როგორ გაიხსენებთ "სიონში" გატარებულ პერიოდს?**

- იყო დადებითი და უარყოფითი მომენტებიც, მაგრამ მიმაჩნია, რომ მთლიანობაში, ბოლნისში ძალიან ნაყოფიერი დრო გავატარე. ვიმუშავე რთულ, მაგრამ ამავდროულად, საინტერესო გარემოში. გუნდი ხომ სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩავიბარე და იმის მიუხედავად, რომ შეცდომებიც მქონდა, ამის კვალობაზე ნორმალურ შედეგებს მივაღწიე. ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე "სიონი" საკუთარი სურვილით დავტოვე, რადგან მე და კლუბის ხელმძღვანელობას განვითარების გეგმაზე სხვადასხვა შეხედულება გვქონდა. ექვსთვიანი და ერთწლიანი გუნდის გაკეთება საქმეს არ წაადგება. ამის მიუხედავად, ამ ხალხის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, რადგან უმაღლეს ლიგაში მუშაობის საშუალება ახალბედა და გამოუცდელ მწვრთნელს მომცეს.

**- ისრაელში არაერთი წელიწადი გაგიტარებიათ და საინტერესოა, როგორია იქაური საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, მუშაობის სპეციფიკა, ეროვნული ჩემპიონატის დონე...**

- იქ განსაკუთრებულს არაფერს აკეთებენ, უბრალოდ, იციან, რა არის საჭირო ფეხბურთის სწორი განვითარებისთვის, არც უსახსრობას უჩივიან და ნამდვილი საფეხბურთო სამოთხე აქვთ მოწყობილი. შეიძლება, ისრაელი საფეხბურთო გრანდებს არ განეკუთვნებოდეს, მაგრამ მათი მუშაობის სპეციფიკა ჩვენთვის სამაგალითო უნდა იყოს. ისიც უნდა ითქვას, რომ ისრაელი, საქართველოსგან განსხვავებით, სულაც არ არის განებივრებული ტალანტების სიმრავლით, მაგრამ იმდენს ახერხებენ, რომ არსებული რესურსებით მაქსიმალურ შედეგს აღწევენ. ჩვენს ფეხბურთში მათი ფინანსების ნახევარიც რომ ჩაიდოს, საქართველო ევროპის ერთ-ერთი წარმატებული საფეხბურთო ქვეყანა გახდება. სამწუხაროდ, ისრაელამდე ჩვენ ძალიან ბევრი გვიკლია – ფინანსების, ინფრასტრუქტურის, ბავშვთა ფეხბურთის, პროფესიონალიზმის და თუნდაც ინტერესის მხრივ. ისრაელის არა მხოლოდ უმაღლესი, რანგით მეორე ლიგაც კი საკმაოდ მაღალი დონისაა და ტელევიზიითა და პრესით ძალიან დეტალურად შუქდება.

**- ჩვენი ჩემპიონატის დონე ბოლო წლებში მცირედით მაინც არ ამაღლდა?**

- გარკვეული პროგრესი არის, მაგრამ, სამწუხაროდ, განსაკუთრებულ წინსვლას ვერ ვხედავ. სანამ უმაღლესი ლიგის კლუბებს ელემენტარული პრობლემები აწუხებთ და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგანან, მანამდე ძლიერი ჩემპიონატი ვერ გვექნება. ძალიან კარგია, რომ რამდენიმე კლუბს კარგი დაფინანსება და გამართული ინფრასტრუქტურა აქვს, მაგრამ მათ მაგალითს სხვებმაც უნდა მიბაძონ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

## სამწვრთნელო შტაბში სხვა ცვლილებებიცაა

"ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბში მომხდარი სიახლეები მხოლოდ ახალ მთავარ მწვრთნელ **გიორგი ჭიაბრიშვილსა** და მის თანაშემწე **გიორგი ყიფიანს** არ შეხებიათ. კლუბი დატოვეს დუბლშემადგენლობის მწვრთნელმა **გურამ ასპინძელაშვილმა** და მეკარეების მწვრთნელმა **დავით ჯანელიძემ**. დუბლებს **დემურ გიორგობიანი** გაუძღვება, მეკარეებთან კი **ოთარ ბოჭორიშვილი** იმუშავებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფრასტრუქტურა




# ლაგოდეხის ბაზის განახლება დაიწყო

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** ვერ წაართმევ, მშენებლობებისა და განახლებების სურვილით ყველა წინამორბედისგან რომ გამოირჩევა. ალბათ იმიტომაც, რომ სახელმწიფოც არნახულად ეხმარება და საქმე კეთდება: მოსვლის დღიდან გადაწყვიტა და განაახლა კიდეც ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრი "ბასა" – როგორც იქნა, ნაკრებს საკუთარი სავარჯიშო მოედანი ელირსა, განახლდა საცხოვრებელი და კვების ბლოკები, ტრენაჟორების დარბაზი, ბევრი სხვა რამ...

სულ რაღაც ორი თვის წინათ, სიჭინავამ "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონის ფედერაციისთვის გადაცემას მიაღწია და საფარის შეცვლის გარდა, მრავალი სხვა სამუშაოც ჩატარდა, რომელმაც არენას ბევრად უფრო კოხტა და ლამაზი იერი შესძინა.

ახლა ფეხბურთის ფედერაციამ ლაგოდეხის სპორტული ბაზის განახლება დაიწყო, სამუშაოები კი დიდი ტემპით მიმდინარეობს.

"რამდენიმე თვის წინათ დაიწყო ლაგოდეხის სპორტული ბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მოსამზადებელი ეტაპი. ამ სამუშაოებმა დაგეგმილზე მეტხანს გასტანა, ვინაიდან შენობა სავალალო მდგომარეობაში იყო და დაგეგმილზე გაცილებით მეტი დრო დასჭირდა.

ამჟამად, შენობის საცხოვრებელი კორპუსის ერთი ფლიგელი (3 სართული) მთლიანად გადაკეთებულია. გაიზარდა ოთახების ფართობები, მომზადდა სველი წერტილები. აქტიურად მიმდინარეობს სახურავის შეკეთება და უახლოეს დღეებში უკვე დასრულებული იქნება. მთლიანად შენობას დამატებითი გასამაგრებელი სამუშაოები უტარდება.

როგორც სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, პირველი ეტაპის სამუშაოები ოქტომბერში დასრულდება და მეორე ეტაპიც მაშინვე დაიწყება, რაც მოიცავს კვების ბლოკის, საკონფერენციო დარბაზის რეაბილიტაციას, წყალსაცავისა და საცურაო აუზის მშენებლობას.

ამის შემდეგ კი, საცხოვრებელი კორპუსის მეორე ბლოკის რეაბილიტაციაც დაიწყება" - იუწყება ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# შედეგიანი უქმეების იმედით


გოგიტა გოგუა


ნიკა ძალამიძე

გუშინ ევროპაში რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა საკუთარი კლუბის შემადგენლობაში ოფიციალური მატჩი ჩაატარა. პოლონეთის ექსტრაკლასაში ლოძის "ვიძევმა" ლუბინის "ზაგლებიეს" უმასპინძლა და ფრედ, 0:0 ითამაშა. მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში იყო **ნიკა ძალამიძე**, რომელიც 85-ე წუთზე შეცვალეს. "ვიძევის" ქართველმა ტალანტმა პოლონეთის მიმდინარე ჩემპიონატში 6 შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. მისი გუნდი 16-გუნდიან ექსტრაკლასაში დღეისთვის მესამე ადგილზეა და ლიდერ "კორონას" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება.

თურქული სუპერლიგის მეორე ტურში "ქაისერისფორმა" საკუთარ მოედანზე "ანთალიასფორთან" იწვნია მარცხი 0:1. **შოთა არველაძის** გუნდის შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა **ზურაბ ხიზანიშვილმა**. "ქაისერი" ორივე ტურში დამარცხდა.

თითქოს "ვოლგას" დუბლებში გადაყვანა არ კმაროდაო, **გოგიტა გოგუასა** და **გოჩა ხოჯავას** კიდევ ერთი უსიამოვნება შეემთხვათ. "ვოლგასა" და ნალჩიკის "სპარტაკის" დუბლების შეხვედრისას ხოჯავამ მე-20 წუთზე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა, გოგუა კი 78-ე წუთზე მეორედ გააფრთხილეს და მოედანი დაატოვებინეს.

ასეთი იყო გუშინდელი საღამო ქართველებისთვის და იმედია, ჩვენი ლეგიონერები უქმეებზე უფრო კარგი ამბებით გაგვახარებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სპორტული აფერისტობა „ლელოს" სახელით

# ორი ვერსია: ან არსებობს მეორე ლელო, ან...

"სპორტ-ექსპრესის" ტრადიციულ გამოკითხვაში "ვარსკვლავი" აგვისტოს საუკეთესო ფეხბურთელად პეტერბურგის "ზენიტისა" და რუსეთის ნაკრების 28 წლის თავდამსხმელი **ალექსანდრე კერჟაკოვი** დაასახელეს. საერთო ჩათვლაში კი 50 საუკეთესოში მხოლოდ ორი ქართველი მოხვდა: 23 ქულით 27-ე ადგილზე მეკარე **გიორგი ლომაია** გავიდა, რომელმაც ზამთარში "თანამეგობრობის თასზე" ბაქოს "ინტერის" გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, 32-ზე კი ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" რამდენიმე ეფექტური მატჩის ჩამტარებელი პლეიმეიკერი **გოჩა ხოჯავა** აღმოჩნდა.

საქართველოდან გამოკითხვის მონაწილედ მითითებულია ჩვენი გაზეთი "ლელო", რომელმაც შემდეგი ხუთეული „დაასახელა": 1 - **ანდრეი იარმოლენკო** (კიევის „დინამო"), 2 - **ალექსანდრე კერჟაკოვი** („ზენიტი"), 3 - **მარატ იზმაილოვი** ("სპორტინგი"), 4 - **ანატოლი ტიმოშჩუკი** ("ბაიერნი"), 5 - **რომან შიროკოვი** ("რუბინი").

როდესაც მსგავს გამოკითხვაში მონაწილეობას გვთავაზობენ, ქართული და უცხოური ფეხბურთის განყოფილებების ჟურნალისტები ერთად ვმონაწილეობთ. თუმცა, გვეუცნაურა, რომ ამის თაობაზე გაზეთში არავინ არაფერი უწყოდა, არც ქართულ ფეხბურთში დასაქმებულმა ჟურნალისტებმა და არც "უცხოურში" მთავარმა რედაქტორმაც გაიოცა, ჩემთვის ამის შესახებ არავის


ალექსანდრე კერჟაკოვი


სამუელ ეტოო

არაფერი უთქვამსო. მოკლედ, ბევრი დრო არ დაგვჭირვებია იმის დასადგენად, რომ ამ გამოკითხვაში "ლელო" არ მონაწილეობდა.

"სპორტ-ექსპრესი" პოპულარული გამოცემა იმიტომაც გახდა, რომ ხარისხიანად და რაც მთავარია, სიმართლეს წერს. ასე რომ, მკითხველის შეცდომაში შეყვანის მცდელობა არ გვსურს დავიჯეროთ.

მაგრამ გვაეჭვებდა ის ფაქტი, რომ წლეულს გამოკითხვაში ისეთ გაზეთებსაც მიუღიათ მონაწილეობა, როგორიც არის მაგალითად "ალია", რომელიც სპორტს არ აშუქებს და ამ სფეროში კომპეტენტურად ისევე ვერ ჩაითვლება, როგორც "ლელო" პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებში.

ორი ვარიანტია: ან საქართველოში იატაკქვეშეთში ბეჭდავენ ჩვენთვის უცნობ გაზეთს, რომელიც "ლელოს" სახელით მოქმედებს, ან ელემენტარულად, ამხელა გამოცემამ რუსული ფეხბურთის პიარისთვის მიმართა ამ ხერხს და ჩვენდა დაუკითხავად გამოიყენა გაზეთის სახელი – გამოკითხვაში კი 15 პოსტსაბჭოური ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ფაქტია, რომ ამ გამოკითხვას ყველა თავისი მოთამაშეების გამოსაჩენად იყენებს. მაგალითად, რუსები ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ პრემიერლიგაში ჩაყვანილი უცხოელი ვარსკვლავები ჰყავთ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, **სამუელ ეტოოს, კევინ კურანის, რობერტო კარლოსისა** და სხვა ვარსკვლავებზე წინ მაინც თავისიანებს აყენებენ.

მიუხედავად იმისა, იმსახურებს თუ არა, სომხებიც, უმთავრესად, საუკეთესოდ თავისიანებს ასახელებენ – ამჯერადაც ასეა და დონეცკის "შახტარის" ნახევარმცველის, მართლაც უდავოდ ნიჭიერი **ჰენრიხ მხითარიანის** წარმოსაჩენად და დასაწინაურებლად არიან მობილიზებულნი.

ცოდვა გამხელილი სჯობს - ასე იყო ქართული მედიაც იმ პერიოდში, როდესაც ჩვენი მოთამაშეები ევროპულ თუ რუსულ კლუბებში მეტ-ნაკლებად ჩანდნენ. ახლა კი, რატომღაც, ქართული მედიის სახელით სხვათა მოთამაშეების პიარაქციაში მონაწილეობა არ გვსურს - მერე ხომ მთელ მსოფლიოს მოსდებენ, რომ პოსტსაბჭოეთის 15 ქვეყნის მედიის გამოკითხვაში რუსმა კერჟაკოვმა გაიმარჯვა. ამ ყველაფერს კი აღმოსავლეთ ევროპის საფეხბურთო ბაზარზე შესაბამისი ასახვაც მოჰყვება.

აღნიშნულ გამოკითხვაში აშკარად იკვეთება ტენდენცია – ასახელებენ რუსებს ან უკრაინელებს, მაგრამ ბოლოს გამოკითხვაში რუსი იმარჯვებს. ასე იყო ადრე, როდესაც **ანდრეი შევჩენკო** "მილანში" გრგვინავდა, მაგრამ რატომღაც მის კონკურენტად რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე **ანდრეი არშავინს** ასალებდნენ. არშავინი რომ ჩინებული მოთამაშეა, რა მტკიცება უნდა, რუსეთის პრემიერლიგაც ახლა უდავოდ გაძლიერდა, მაგრამ ხუთი-ექვსი წლის წინათ სერია A-სა და რუსეთის პირველობაზე გატანილი გოლი რატომ ფასობდა ერთნაირად, გაუგებარია.

კერჟაკოვიც მშვენიერი თავდამსხმელია, სულელები არ იყვნენ, "სევილიაში" რომ მიიწვიეს, მაგრამ ჩვენთვის რომ ეკითხათ, დაღესტანში ჩასული და ლამის ყოველ მატჩში გოლის გამტანი **სამუელ ეტოო** გვერჩივნა. თუმცა ისე ნამდვილად ვერ გავთავხედდებოდით, ასეთ სოლიდურ კამპანიაში საუკეთესოდ ქართველი დაგვესახელებინა – თანაც, სამწუხაროდ, არც ერთი ქართველი ამის საფუძველს არ გვაძლევდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როდის გაუნათდება ქართულ ფეხბურთს?

**კოლხეთი–დინამო**
bwin: 5.75 3.75 1.50
17.09. ზუგდიდი. გ. თუთზერიძე 16:00

**მერანი–დილა**
bwin: 1.80 3.45 3.85
17.09. მარტვილი. ცენტრალური 16:00

**მეტალურგი–ტორპედო**
bwin: 1.90 3.40 3.50
17.09. რუსთავი. ფოლადი 16:00
პირველ არხზე 18:00

**სიონი–ზესტაფონი**
bwin: 5.75 3.75 1.50
17.09. ბოლნისი. თ. სტეფანია 16:00

**ბაია–ვიტ ჯორჯია**
bwin: 1.60 3.60 5.00
18.09. ზუგდიდი. გ. თუთზერიძე 16:00

**გაგრა–სპარტაკი**
bwin: 1.50 3.75 5.75
18.09. თბილისი. მერანი (ზღვაა) 16:00

...კალენდრისმიხედვით, VI ტური ისედაც ორდღიანი უნდა ყოფილიყო: 17 სექტემბერს ტურის ცენტრალური მატჩი („მეტალურგი“-„ტორპედო“) უნდა ჩატარებულიყო, დანარჩენი ხუთი შეხვედრა კი — 18 სექტემბერს. თუმცა, კალენდარში გარკვეული ცვლილებები მოხდა და ერთის ნაცვლად, დღეს ოთხი მატჩი გველოდება: უკვე ნახსენები „მეტალურგი“-„ტორპედო“, „კოლხეთი“-„დინამო“, „სიონი“-„ზესტაფონი“ და „მერანი“-„დილა“.ეს ყველაფერი კი იმან გამოიწვია, რომ უკვე გარკვეულია III ტურის ორი გამოტოვებული მატჩის („ტორპედო“-„დინამო“, „ზესტაფონი“-„დილა) ჩატარების თარიღი (21 სექტემბერი) და ყველა გუნდიც მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში აღმოჩნდება. მოკლედ, თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, ერთი კვირის შემდეგ (ანუ, მეშვიდე ტურის წინ) უმაღლესი ლიგის 12-ვე გუნდს ერთნაირი რაოდენობის მატჩი ექნება ჩატარებული. ისე, 17 სექტემბრიდან თვის ბოლომდე რამდენიმე მართლაც საინტერესო შეხვედრა გველოდება: „მეტალურგი“-„ტორპედოს“ მერე ოთხ დღეში ხომ „ქართულ კლასიკოდ“ მონათლული „ტორპედო“-„დინამოს“ დაპირისპირება იქნება, იმის მერე „ზესტაფონი“-„მეტალურგი“. თვეს კი საქართველოს თასის პირველი მერვედფინალური მატჩები დაასრულებს — 28 სექტემბერს რომ უნდა ჩატარდეს. სხვათა შორის, ამ ტურსა და 21 სექტემბერს დანიშნულ იმ ორ გამოტოვებულ შეხვედრას „პირდაპირი კავშირი“ აქვს... საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალებთან! ანუ, 22 სექტემბერს დანიშნულ მერვედფინალის კენჭისყრაზე, იმ დროისათვის სატურნირო ცხრილში I-VIII ადგილებზე მყოფი გუნდები განთესილები იქნებიან (ანუ, ერთმანეთს არ შეხვდებიან); უფრო მარტივად რომ ვთქვათ, იმავე „ტორპედომ“ 22 სექტემბრამდე ჩასატარებელ ორ მატჩში, სულ მცირე, 2 ქულა მაინც უნდა აიღოს და პარალელურად იმის „იმედად“ იყოს, რომ დღესდღეობით IX ადგილზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ“ სტუმრად (მარტვილში) ოთხბურთიანი სხვაობით არ გაიმარჯვოს. მოვლენების მსგავსი განვითარების შემთხვევაში კი თასის მერვედფინალში „ტორპედოს“, შესაძლოა, „დინამო“, „ზესტაფონი“ ან „მეტალურგი“ შეხვდეს. ქუთაისელთა მსგავსად, ამ ტურში „ორმაგი დატვირთვის“ მატჩები ელოდებათ „მერანსა“ და „კოლხეთს“, თუმცა ორივე დასავლურ კლუბს აშკარად განსხვავებული სიძლიერის მეტოქეები ჰყავთ.

...ისევ და ისევ კალენდარს გვინდა დავუბრუნდეთ, რომლის მიხედვითაც ფეხბურთის გულშემატკივარს VI ტურის ცენტრალური მატჩის („მეტალურგი“-„ტორპედო“) პირდაპირი ტელერეპორტაჟი უნდა ენახა. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ჩვენი ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟები, როგორც წესი, ერთსა და იმავე დროს, 18 საათზე გადის. როგორც ჩვენმა კოლეგამ, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის სპორტული მიმართულების პროდიუსერმა **დავით მინაშვილმა** გვითხრა, რუსთაველი მატჩის რეპორტაჟს გულშემატკივარი სწორედაც დათქმულ დროს (ანუ, 17 სექტემბერს, 18 საათზე) იხილავს, ოღონდ ... ჩანაწერში! მიზეზი კი, რაღა თქმა უნდა, რუსთავის სტადიონის ლამის მარადიულად ქცეული პრობლემაა: „ფოლადზე“ განათების სისტემა კვლავაც არ გამოუსწორებიათ და, აქედან გამომდინარე, მეტალურგთა ქალაქიდან პირდაპირ ტელერეპორტაჟებს (საღამოს საათებში) ჯერჯერობით არც უნდა ველოდოთ. და როგორ გგონიათ, მხოლოდ რუსთავშია მსგავსი პრობლემა? თავად განსაჯეთ: დღესდღეობით მხოლოდ 4 სტადიონიდან („ეროვნული“, „მიხეილ მესხი“, ზესტაფონი, ქუთაისი) არის მოსახერხებელი საღამოს საათებში პირდაპირი ტელერეპორტაჟების გადმოცემა...

დაბოლოს, მოახლოებული ტურის წინ მომხდარ მორიგ სამწვრთნელო ცვლილებებზეც; „ლელო“ გუშინაც წერდა, რომ უმაღლესი ლიგის ორ გუნდში შეიცვალა მთავარი მწვრთნელი: ცხინვალის „სპარტაკს“ ამიერიდან გამოცდილი **ვლადიმერ ხაჩიძე** უხელმძღვანელებს (უცნაურზე-უცნაური ფაქტია - პრო-კატეგორიის ლიცენზიის მქონე სპეციალისტი წელიწად-ნახევრის განმავლობაში უმუშევარი გახლდათ), ხოლო „სიონის“ მწვრთნელ-კონსულტანტად კი ამავე გუნდის ყოფილი ფეხბურთელი და კაპიტანი, 32 წლის **ლევან ბაჯელიძე** იმუშავებს. ბაჯელიძე წინა სეზონში და მიმდინარე ჩემპიონატში „სიონის“ სპორტული დირექტორი იყო და აი, დღეს სამწვრთნელო ასპარეზზე ექნება დებიუტი. ისე, ამ სეზონში მწვრთნელების ცვლა ისეთი ტემპით მიმდინარეობს, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში კი არა, ალბათ ევროპული მასშტაბის რეკორდსაც შესაძლოა „ხელი გამოვკრათ“...

**გია ტუხაშვილი**



| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ბაია | 5 | 4 | 0 | 1 | 10 | 3 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 8 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 3 | 3 |
| 2 | დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 8 | 4 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 4 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 4 | 2 | 6 |
| 3 | გაგრა | 5 | 3 | 0 | 2 | 9 | 6 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6 | 2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 4 | 3 |
| 4 | ზესტაფონი | 4 | 2 | 2 | 0 | 8 | 5 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 4 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4 | 3 | 4 |
| 5 | მეტალურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 4 | 2 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 2 | 3 |
| 6 | მერანი | 5 | 2 | 1 | 2 | 4 | 6 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 3 | 0 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 6 | 1 |
| 7 | ტორპედო | 4 | 2 | 0 | 2 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 8 | კოლხეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 3 | 5 | 5 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 4 | 1 | 2 | 1 | 3 | 4 | 5 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 5 | 1 | 2 | 2 | 5 | 8 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 5 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 |
| 10 | დილა | 4 | 1 | 0 | 3 | 5 | 7 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 4 | 4 | 3 |
| 11 | სპარტაკი | 5 | 0 | 2 | 3 | 2 | 6 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 2 | 4 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 |
| 12 | სიონი | 5 | 0 | 2 | 3 | 2 | 9 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 4 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 0 | 5 | 1 |

● ლეგიონი



# სამმა გაიმარჯვა, მხოლოდ ერთმა ითამაშა

გუშინწინ ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი დაიწყო. ამ რაუნდამდე სამმა ქართველმა ლეგიონერმა გააღწია და სამივეს გუნდმა გაიმარჯვა, თუმცაღა პირველ ტურში მოედანზე გასვლის შესაძლებლობა მხოლოდ გრაცის "შტურმის" მცველ **გიორგი ფოფხაძეს** მიეცა. მისი გუნდი შინ მოსკოვის "ლოკომოტივთან" დამარცხდა. ფოფხაძემ შეუცვლელად ითამაშა და შეხვედრის 88-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო.

ჰაიფას "მაქაბიმ", რომლის მეორე მწვრთნელიც **გიორგი დარასელიაა**, კვიპროსულ აეკ-ს უმასპინძლა და 1:0 გაიმარჯვა. "მაქაბის" ფორვარდი **ვლადიმერ დვალიშვილი** 18-კაციან განაცხადშიც არ ყოფილა.

ყაზანის "რუბინმა" სტუმრად ირლანდიური "შემროკი" 3:0 გაანადგურა. მატჩს სათადარიგოთა სკამიდან უყურა **საბა კვერკველიამ**. საქმე ის არის, რომ "რუბინს" ესპანელი **სესარ ნავასი** გამოუჯანმრთელდა და დაცვის ცენტრში კვერკველიას ადგილი სწორედ მან დაიკავა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ოქრიაშვილი 400 ათასად გაყიდულა



უკრაინულმა "კომსომოლსკაია პრავდამ" ამ ქვეყნის პრემიერლიგის გრანდების სატრანსფერო დანახარჯები შეაფასა, ჩვენთვის საინტერესო ამბავიც სწორედ ამ წერილიდან შევიტყვეთ.

როგორც ყოველთვის, წლეულს ზაფხულის სატრანსფერო შუალედში დონეცკის "შახტარმა" სხვა უკრაინულ კლუბებს აჯობა.

*"ჯერ კიდევ გასული ჩემპიონატის დასასრულს დონეცკელებმა შეისყიდეს "კორინტიანსის" თავდამსხმელი დენტინიო, შემდეგ კი ნახევარმცველი ალან პატრიკი – მათი ტრანსფერები კლუბს შესაბამისად 7,5 და 4 მილიონი ევრო დაუჯდა.*

*"დნიპროდან" მიწვეული უკრაინელი ევგენი სელეზნიოვი "შახტარს" უფრო იაფი დაუჯდა – სულ რაღაც 2,5 მილიონი ევრო, ქართველი ოქრიაშვილი კი, რომელიც მაშინვე იჯარით მარიუპოლის "ილიჩივეცში" გაუშვეს, მხოლოდ და მხოლოდ 400 ათასი ევრო."* – წერს უკრაინული "კომსომოლსკაია პრავდა".

მოკლედ, "გაგრა" 400 ათასი ევროთი გამდიდრებულა, თუმცა "ტრანსფერმაკტ" 19 წლის ქართველ ნახევარმცველს უფრო მეტად აფასებს - გერმანული სააგენტოს მენეჯერები თვლიან, რომ ოქრიაშვილის ტრანსფერი 500 ათასი ევრო ღირს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ცხადაძე უკმაყოფილოა: ასეთი არსად მინახავს!

ამას წინათ, აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეოთხე ტურში ბაქოს "ინტერმა" ზაქათალის "სიმურგს" 1:0 სძლია.

ბაქოელთა მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** კოლეგის, უკრაინელი სერგეი იურანისა და ,საერთოდ ,მეტოქე კლუბის ხელმძღვანელთა საქციელით გაოცებული დარჩა, რადგან ,,სიმურგის"



შემადგენლობაში ,,ინტერიდან" განათხოვრებულმა ლიტველმა თავდამსხმელმა **რობერტას პოშკუსმა** ითამაშა.

*"არასოდეს მინახავს, რომ მოთამაშე ხელფასს ერთ გუნდში იღებდეს და მეორე გუნდის შემადგენლობაში მის წინააღმდეგ თამაშობდეს. რა თქმა უნდა, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის, ამის შესახებ კლუბების პრეზიდენტებმა მოილაპარაკეს, მაგრამ მაინც უცნაური იყო"* – თქვა ცხადაძემ.

ცხადაძე პოშკუსით უკმაყოფილო იყო ჯერ კიდევ 2011 წლის იანვარში. "თანამეგობრობის თასის" დაწყებამდე ლიტველმა ფორვარდმა შეკრებაზე დაიგვიანა, რეჟიმს ისედაც ხშირად არღვევდა და ზაფხულში "სიმურგში" იჯარით ამიტომაც გაუშვა. პოშკუსმა კი აღნიშნული მატჩი არნახული მონდომებით ჩაატარა და თავისი კლუბის კარის ასაღებად ძალა და ენერგია არ დაუზოგავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტურის წინ

# მანუს დელიკატური დაბრუნება

## გაუძლებს ნოიერი უმძიმეს წნეხს?

გუშინ ბადენ-შვაბენლანდური დერბი იყო „ფრაიბურგსა“ და „შტუტგარტს“ შორის, დღეს კი რაინის დერბია, რომელსაც გაცილებით მეტი სიმძაფრე მოსდევს: „ლევერკუზენი“-„კიოლნი“. მეორეადგილოსანი „ვერდერი“ ნიურნბერგში ჩადის და ურთულესი ამოცანის წინაშე დგას – ხომ იცით, ფრანკები კარგ ფორმაში არიან და ასეც რომ არ იყოს, საკუთარ მოედანზე ისედაც ყველას პრობლემებს უქმნიან ხოლმე. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი „ჰამბურგი“ „გლადბახს“ მასპინძლობს და გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მორიგი წარუმატებლობის შემთხვევაში, ჩრდილოელთა მწვრთნელ მიხაელ იონინგს სავარაუდოდ პოსტს დაატოვებინებენ. მე-6 ტურის მთავარი მატჩი კი ხვალ, გელზენკირხენში გაიმართება: „შალკე“ „ბაიერნს“ მასპინძლობს, მანუელ ნოიერი სახლში ბრუნდება...

**გუშინ**

ფრაიბურგი-შტუტგარტი 1:2

**დღეს**

**ლევერკუზენი-კიოლნი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** კადლეცი-ბრეჩკო

**ტრავმა:** ადლერი, გიფერი, ოჩიპკა, ბარნეტა, ორტეგა – პეტიტი, პეცონი

**ჰამბურგი-ბორუსია (მ) 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ილიჩევიჩი (ჰამბურგი)

**ტრავმა:** შტეპანეკი, არსლანი, კაჩარი, გერერო (ყველა ჰამბურგი)

**ნიურნბერგი-ვერდერი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** პეკჰარტი (ნიურნბერგი)

**ტრავმა:** რაკოვსკი, რ. შეფერი, ნილსონი, დიდავი, ფრანტცი – სილვესტრი, ბოროვსკი, ავდიჩი, აიქი

**ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი 17:30**

**ტრავმა:** გულდე, იაისლე, ჯონსონი, ვუკჩევიჩი, ვაისი, იბიშევიჩი – ბენალიო, ა. ფრიდრიხი, ჰიტცლშპერგერი, ჰლები, კალენბერგი, სალიჰამიჯიჩი

**ჰერტა-აუგსბურგი 17:30**

**ტრავმა:** რამოსი – ვერჰეგი, ბა, მ. ნდიენგი, სინკალა, ს. ჰაინი, მაიერი, იორლი

**კაიზერსლაუტერნი-მაინცი 20:30**

**ტრავმა:** ორბანი, შიმუნეკი, ვერმუთი, კუემაა, ნემეცი - სალაი

**ხვალ**

**ჰანოვერი-ბორუსია (დ) 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** გიოტცე, კელი (ორივე ბორუსია)

**ტრავმა:** მილერი, ანდრეასენი, კარლიტოსი – ივომოიელა, ბაკალორცი, ს. ბენდერი, ბარიოსი

**შალკე-ბაიერნი 19:30**

**ტრავმა:** ესკუდერო, ჰუგლანდი, ყენია – ბრენო, რობენი, ოლიჩი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 5 | 4 | 0 | 1 | 16-1 | 12 |
| 2. ვერდერი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-5 | 12 |
| 3. შტუტგარტი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-4 | 10 |
| 4. ბორუსია (მ) | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| 5. ლევერკუზენი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 6. ჰოფენჰაიმი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-4 | 9 |
| 7. შალკე | 5 | 3 | 0 | 2 | 11-8 | 9 |
| 8. ნიურნბერგი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-5 | 9 |
| 9. ჰერტა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| 10. ჰანოვერი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-7 | 8 |
| 11. ბორუსია (დ) | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| 12. მაინცი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-10 | 7 |
| 13. ვოლფსბურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-9 | 6 |
| 14. კიოლნი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-14 | 4 |
| 15. ფრაიბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 10-18 | 4 |
| 16. აუგსბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |
| 17. კაიზერსლ. | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |
| 18. ჰამბურგი | 5 | 0 | 1 | 4 | 6-16 | 1 |

**ბომბარდირები:** 8 – გომესი (ბაიერნი); 4 – სისე (ფრაიბურგი), ჰუნტელაარი (შალკე); 3 – აბდელაუ (ჰანოვერი), ბაბელი (ჰოფენჰაიმი), გროსკროიტცი (ბორუსია დ), მიოლდერსი (აუგსბურგი), პისარო (ვერდერი), რაული (შალკე), რიბერი (ბაიერნი), როზენბერგი (ვერდერი), სალიჰოვიჩი (ჰოფენჰაიმი).



წარსული აწმყოსა და მომავლის წინააღმდეგ: დღეს მანუელ ნოიერს სერიოზული გამოცდა ელის

### რაინის დერბი ლევერკუზენში

„ლევერკუზენი“ „კიოლნს“ დაღლილი ხვდება: „ფარმაცევტებმა“ ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში „ჩელსისთან“ მედგრად იბრძოლეს, მაგრამ 0:2 დამარცხდნენ, თუმცა ამ ფაქტს **რობინ დუტის** გუნდში უხასიათობა არ გამოუწვევია, რადგან ლონდონში წაგება ლევერკუზენლებმა კატასტროფად არ აღიქვეს, ბუნდესლიგის წინა ტურში კი „აუგსბურგი“ 4:1 გაანადგურეს და საერთო ჯამში, „ბაიერში“ მაინც კმაყოფილებაა. კიოლნელები კი პირიქით, არეულ-დარეულები არიან: წინა ტურში „ნიურნბერგთან“ ხომ წააგეს (1:2) და თან მარჯვენა მცველი **ბრეჩკო** დაკარგეს – ეს უკანასკნელი მოედნიდან გააძევეს და დისკვალიფიცირებულია. შეხვედრის მთავარი ინტრიგა კი ის არის, რომ ეს მატჩი რაინის უმძაფრესი დერბია.

უინტრიგობას არც „ჰამბურგისა“ და „გლადბახის“ ჯახი უჩივის. ფაქტია, რომ დღეს HSV-ს წარუმატებელი მწვრთნელის, მიხაელ იონიგის ბედი სასწორზეა შემოდებული, რადგან „ვერდერთან“ წაგების (0:2) შემდეგ, ბუნდესლიგის დინო ისევ ბოლო ადგილზეა და ხუთი ტურის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულა აქვს. ამ დროს, ჰამბურგში „გლადბახის“ სახით ძალიან კარგ ფორმაში მყოფი გუნდი ჩადის. გასულ სეზონში მიონხენგლადბახელებს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებამდე ძალიან ცოტა დააკლდათ, ახლა კი, წინა ტურში „კაიზერსლაუტერნის“ დამარცხების (1:0) შემდეგ, **ლუსიენ ფავრის** ბიჭები ყველასათვის მოულოდნელად მესამე ადგილზე არიან და ლიდერებს, „ბაიერნსა“ და „ვერდერს“ სულ რაღაც 2 ქულით ჩამორჩებიან.

### ვერდერის შანსი

„ნიურნბერგმა“ წინა ტურში კიოლნში 2:1 მოიგო და მეშვიდე ადგილზე აღზევდა, რაც ფრანკებს კმაყოფილების საფუძველს აძლევს, მაგრამ ამასთან ერთად, გუნდმა თავდამსხმელი **პეკჰარტი** დაკარგა (მოედნიდან გააძევეს და დისკვალიფიცირებულია). თუმცა ნიურნბერგელებს შვეიცარიელი ფორვარდი **ბუნიაკუ** დაუბრუნდათ, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა. ფრანკების კარს კვლავ **შტეფანი** დაიცავს, რადგან **შეფერი** და **რაკოვსკი** ისევ ტრავმირებულები არიან. რაც შეეხება „ვერდერს“: ბრემენელებმა ჩრდილოეთის დერბის მოგებით (2:0 ჰამბურგთან) მეორე ადგილზე პოზიციები გაიმყარეს და „ბაიერნის“ ნომერ პირველ მდევრებად რჩებიან. დღეს „ვერდერს“ მინიმუმ დროებით გალიდერების შანსი აქვს, რადგან „ბაიერნი“ ხვალ თამაშობს და თანაც „შალკეს“ სტუმრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ „მუსიკოსები“ ნიურნბერგიდან სამ ქულას წაიღებენ, საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ მთელი კვირა პირველ ადგილზე გაატარონ – რეკორდმაისტერს გელზენკირხენში მოგება უნდა გაუჭირდეს. „ვერდერი“ კარგად რომ გამოიყურება, მეტწილად **კლაუდიო პისაროს** დამსახურებაა – გამოცდილმა პერუელმა თავდამსხმელმა „ჰამბურგთან“ დუბლი შეასრულა, ზოგადად კი მის ანგარიშზე სამი გოლია.

„ჰოფენჰაიმისა“ და „ვოლფსბურგის“ სახით ერთმანეთს ისეთი გუნდები ხვდებიან, რომლებმაც წინა ტურში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. „ჰოფემ“ „მაინცს“ 4:0 გადაუარბინა და მწვრთნელ **ჰოლგერ სტანისლავსკის** ისიც უხარია, რომ **სეიად სალიჰოვიჩი** უბრუნდება. სამაგიეროდ, „სოფლელებს“ მცველი **იაისლე** ველარ დაეხმარება, რომელიც საოპერაციო გახდა. „ვოლფსბურგმა“ კი ერთი კვირის წინ „შალკე“ დაამარცხა, რაც **ფელიქს მაგათისთვის** პირადი წარმატებაცაა. ისევე, როგორც წინა ტურში, მაგათი შვეიცარიელ მეკარე **დიეგო ბენალიოს** ვერც ამჯერად გამოიყენებს. ამ უკანასკნელს სათადარიგო კიპერი **ჰიტცი** შეცვლის, რომელმაც „შალკესთან“ ძალიან კარგად ითამაშა.

### გადმოსულების დუელი ბერლინში

გერმანიის დედაქალაქში ერთმანეთს მეორე ბუნდესლიგიდან გადმოსული გუნდები, „ჰერტა“ და „აუგსბურგი“ დაუპირისპირდებიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბერლინელებმა სეზონი აუგსბურგელებზე გაცილებით უკეთ დაიწყეს, რასაც არა მარტო სატურნირო ცხრილი, არამედ ისიც მოწმობს, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდმა წინა ტურში თვით დორტმუნდის „ბორუსია“ (თანაც დორტმუნდში) დაამარცხა. ამ გამარჯვებამ **მარკუს ბაბელის** სამწყსოს თავდაჯერება შემატა, რაც კობის და კომპანიას „აუგსბურგთან“ შეხვედრაში აუცილებლად გამოადგებათ. ბაბელი ტრავმირებულ თავდამსხმელ **ადრიან რამოსს** ვერ გამოიყენებს – ამ უკანასკნელს ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ლასოგა** შეცვლის.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ეს მატჩი არაოფიციალური ქართული დუელიცაა: „აუგსბურგში“ ხომ წარმოშობით ქართველი, ისე კი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **აკაკი გოგია** თამაშობს. მწვრთნელი **იოს ლუჰუკაი** გოგიას უმეტესად შეცვლაზე ათამაშებს ხოლმე.

### მაინცი ბეტცენბერგზე

დღეს საღამოს რაინლანდ-პფალცურ დაპირისპირებასაც ვიხილავთ – „კაიზერსლაუტერნსა“ და „მაინცს“ შორის. „წითელ ეშმაკებს“ ამ სეზონში ჯერ არცერთხელ არ მოუგიათ და ჰამბურგზე უკეთეს მდგომარეობაში ნამდვილად არ არიან – ერთით მეტი ქულა არაფერს ნიშნავს. „ლაუტერნს“ განსაკუთრებით თავდასხმაში უჭირს – გუნდს მხოლოდ ორი გოლი აქვს გატანილი. არც „მაინცია“ დალხენილი: კარნავალელები ძალიან შორს არიან იმ ფეხბურთისგან, რითაც შარშან ამ დროს აღგვაფრთოვანებდნენ და **თომას ტუხელის** გუნდს ზედიზედ ორმა საშინაო მარცხმაც (თანაც, ორივეში 4-4 გოლი გაუშვეს) დაღი დაასვა. ტუხელს საკადრო პრობლემები არ აქვს (თუ არ ჩავთვლით ადამ სალაის ტრავმას) და წესით, ძირითადი შემადგენლობა უნდა შეცვალოს.

### დაწნეხილი დორტმუნდი

ხვალ, პირველ მატჩში ევროპამოვლილი გერმანული კლუბები დაუპირისპირდებიან: ევროპის ლიგის მონაწილე „ჰანოვერი“ (0:0 სტანდარდთან) გერმანიის ჩემპიონ „დორტმუნდს“ (1:1 არსენალთან) მასპინძლობს. მართალია, „ბორუსიამ“ „არსენალთან“ ვერ მოიგო, მაგრამ **იურგენ კლოპის** ბიჭებმა ლონდონელებთან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და გამარჯვებას იმსახურებდნენ. ახლა კი ბუნდესლიგაზე სრული კონცენტრაციით უნდა გადაერთონ, რადგან წინა ტურში „ჰერტასთან“ საკუთარ მოედანზე დამარცხდნენ და ზოგადად, სეზონი ცუდად აქვთ დაწყებული. ასე რომ, თუ „ბორუსიამ“ გერმანიის ჩემპიონატს სერიოზულად არ მიხედა, ჩემპიონთა ლიგა კარგია, მაგრამ ეროვნულ სარბიელზე კლოპის გუნდს წელს ხელი მოეცარება, რაც დორტმუნდში არავის აწყობს. არადა, კლოპს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს: **მარიო გიოტცე** და **სებასტიან კელი** დისკვალიფიცირებულები არიან, კიდევ ერთი საყრდენი **სვენ ბენდერი** კი ტრავმირებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ კლოპმა ნახევარდაცვაში როტაციას უნდა მიმართოს – იურგენი იძულებულია, ნახევარდაცვის ცენტრში ვეტერანი **ანტონიო და სილვა** და **ილქაი გიუნდოგანი** ათამაშოს. არის **ფელიპე სანტანას** ვარიანტიც, რომელიც ზოგადად მცველია, მაგრამ საყრდენობაც ეხერხება. „ჰანოვერი“ აშკარად ცუდ ფორმაშია, რაც ლიეჟის „სტანდარდთან“ მატჩმაც დაამტკიცა.

### ნოიერი გელზენკირხენში

ტურის ცენტრალურ მატჩში, „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების მეკარე **მანუელ ნოიერს** ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუწევს. გელზენკირხენში დაბადებული და გაზრდილი მანუელი, რომელიც ზაფხულამდე „შალკეს“ ღირსებას იცავდა და ამ გუნდის „სავიზიტო ბარათი“ იყო, „აუფ შალკეზე“ მტრის რანგში ბრუნდება. ამას წინათ ნოიერმა გელზენკირხენში გერმანიის ნაკრებთან ერთად ითამაშა და იმ შეხვედრაში „აუფ შალკეს“ პუბლიკისგან სტვენაზე მეტად აპლოდისმენტები დაიმსახურა. თუმცა ჩვენი გერმანელი კოლეგები ეჭვობენ, რომ ხვალ ნოიერს მთელი „არენა აუფ შალკე“ დაუსტვენს, რადგან ამჯერად გელზენკირხენში რეკორდმაისტერის ფეხბურთელის რანგში ჩადის.

„შალკემ“ ბუნდესლიგის წინა ტურში „ვოლფსბურგთან“ წააგო და **რალფ რანგნიკის** ბიჭებმა ვერც ევროპის ლიგაში შეძლეს მოგება (0:0 ბუქარესტის „სტიაუასთან“). მიუნხენში კი შესანიშნავი განწყობაა: ბავარიელები შესანიშნავ ხასიათზე არიან, რადგან გერმანიის ჩემპიონატში უნაკლოდ ასპარეზობენ, ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში კი „ვილიარეალი“ სტუმრად 2:0 დაამარცხეს. **იუპ ჰაინკესი** დღეს ისევ ვერ გამოიყენებს ტრავმირებულ შემტევებს, **არიენ რობენსა** და **ივიცა ოლიჩს**.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



იტალია. სერია A. III ტურის წინ





ალეგრი 8 ფეხბურთელის გარეშე დარჩა

# მილანელები მძიმე უიქენდის მოლოდინში

## დღეს

**კალიარი-ნოვარა 20.00**

**ტრავმა:** ერიკსენი - მეჯორინი.

**ინტერი-რომა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ანხელი (რომა).

**ტრავმა:** ვივიანო, მაიკონი, ტიაგო მოტა, კივუ, პოლი - სისინიო, გრეკო, ჟუანი.

## ხვალ

**ატალანტა-პალერმო 14.30**

**ტრავმა:** ჩიგარინი, ფერი, ფერეირა პინტო, მინოტი - დი მატეო, ბუდანი, რუბინიო, სიმონი.

**ბოლონია-ლეჩე 17.00**

**ტრავმა:** რიკლერი, ჩერუბინი - ოლივერა, კაროციერი.

**კატანია-ჩეზენა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბენალოუანე (ჩეზენა).

**ტრავმა:** ლეგროტალიე, ისკო, ლიამა - რენელა, ანტონიოლი.

**ლაციო-ჯენოა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბირსა (ჯენოა).

**ტრავმა:** კანა, რადუ, მაური - მერკელი, ედუარდო, სკარპი.

**პარმა-კიევო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** სარდო (პარმა).

**ტრავმა:** დანიელ პერეირა - აჩერბი.

**სიენა-იუვენტუსი 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** დე ჩელიე (იუვენტუსი).

**ტრავმა:** ანჯელა, რეჯინალდო - იაკვინტა.

**უდინეზე-ფიორენტინა 17.00**

**ტრავმა:** კოდა, ფერონეტი, ფლორო ფლორესი - კროლდრუპი, გულანი.

**ნაპოლი-მილანი 22.45**

**ტრავმა:** ბრიტოსი, დონადელი, ლავეცი - ფლამინი, რობინიო, მექსე, გატუზო, იბრაჰიმოვიჩი, ამბროზინი, ბოატენგი, ინძაგი.

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მესამე ტურში ორი გამორჩეული შეხვედრა გაიმართება. დღეს, ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონზე „ინტერი" „რომას" მიიღებს და შეეცდება დაამტკიცოს, რომ „ტრაბზონსფორთან" განცდილი მარცხი შემთხვევითობა იყო. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ეს შეხვედრა **ჯანპიერო გასპერინისთვის** არის, რომელსაც უკვე შეუდგა წყალი და პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, **მასიმო მორატი** გამალებით ეძებს მის შემცვლელს. დასახელდა სავარაუდო კანდიდატებიც, რომელთაგან ერთ-ერთი **ფაბიო კაპელო** გახლავთ. მართალია, ინგლისის ნაკრების თავკაცმა მოვლენათა ასეთი განვითარება გამორიცხა, მაგრამ იგივე „გაძეტა დელო სპორტი" თავისას არ იშლის და ამტკიცებს, რომ ფაბიოს „ნერაძურის" სათავეში ხილვა სავსებით რეალურია. ლაპარაკია იმაზე, რომ კაპელომ „ინტერის" გაწვრთნა ინგლისის ნაკრებში მუშაობას შეუთავსოს. კაპელო იქით იყოს და გასპერინი ჯერ კიდევ პოსტზეა და ცდილობს გამოასწოროს არსებული ვითარება. ვითარება კი მეტად მძიმეა, სეზონის სტარტზე „ინტერმა" სამი მნიშვნელოვანი შეხვედრა წააგო: ჯერ იტალიის სუპერთასი დათმო „მილანთან" პაექრობაში, შემდეგ სერია A-ს მეორე ტურში „პალერმოსთან" დამარცხდა, ბოლოს კი ჩემპიონთა ლიგაშიც შერცხვა და „ტრაბზონსფორს" თურქეთში სამი ქულა გაატანა. საინტერესოა, როგორ „ინტერს" ვიხილავთ „რომასთან" პაექრობაში? - ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ...

როგორც იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, გასპერინი შეცვლის ტაქტიკურ მონახაზს და გუნდს 4-3-1-2-ზე გადაიყვანს. აქამდე, „ინტერი" სამი ნომინალური მცველით თამაშობდა, ანუ იმ სქემით, რომელსაც გასპერინი „ჯენოაში" მუშაობისას იყენებდა. ბევრის აზრით, „ნერაძურის" წარუმატებელი ასპარეზობის მთავარი მიზეზი სწორედ ახალი ტაქტიკაა, რომელსაც სენიორ ჯანპიერო სავარაუდოდ სწორედ „რომასთან" პაექრობაში შეცვლის. შეტევის წინა ხაზზე ორი დიეგოს, **მილიტოსა** და **ფორლანის** ტანდემს ვიხილავთ, რომლებსაც უკნიდან **ვესლი სნეიდერი** დაეხმარება. შუა ხაზს **ხავიერ ძანეტი, ესტებან კამბიასო** და **დეიან სტანკოვიჩი** გაამაგრებენ, მათ უკან კი დაცვის შემდეგი ოთხეული გაირჯება: **ჯონათანი, ლუსიო, სამუელი და ნაგატომო.**

ანუ, „რომასთან" პაექრობაში ძველი ფორმაციით მოასპარეზე „ინტერს" ვიხილავთ და ვნახოთ, გამართლდება თუ არა გასპერინის არჩევანი. თუმცა, ეგეც საკითხავია, მწვრთნელი ცვლის თუ არა ტაქტიკას - იტალიაში დარწმუნებულნი არიან, რომ 3-4-3-დან 4-3-1-2-ზე გადასვლა მასიმო მორატის გადაწყვეტილება გახლავთ.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა რომაელთა ბანაკშიც - ახალი მწვრთნელი, ახალი გუნდი და წარუმატებელი სტარტი როგორც შიდა, ასევე ევროპულ ფრონტზე. უფრო სწორად, ევროპული ასპარეზი „რომამ" უკვე დაასრულა და მთლიანად ეროვნულ ჩემპიონატზე გადაერთო. მიუხედავად ამისა, **ლუის ენრიკეს** შეგირდებმა ვერც სერია A-ს მეორე ტურში ივარგეს და საკუთარ მოედანზე „კალიარისთან" დამარცხდნენ.

თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, მილანურ გრანდს რომაელები 4-3-3 ტაქტიკით დაუპირისპირდებიან, შეტევაში კი **ფრანჩესკო ტოტის, მარკო ბორიელოსა** და **ბოიან კრკიჩის** ტრიოს ვიხილავთ. ლუის ენრიკეს თქმით, მისი გუნდი აუცილებლად შემტევ ფეხბურთს ითამაშებს:

*„გუნდის გარშემო გაუსაძლისი ატმოსფეროა შექმნილი, რადგან ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენი კრიტიკით არის დაკავებული. მთავარია, ამ წნეხს გავუძლოთ და მხოლოდ კონკრეტულ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმის მოპოვებაზე მოვახდინოთ კონცენტრირება. დიახ, მილანში გამარჯვებისთვის მივდივართ და ყველაფერს ვილონებთ, რომ მიზანს მივაღწიოთ. სტრატეგია უცვლელია, „რომა" აუცილებლად შეუტევს, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება".*

არანაკლებ საინტერესო პაექრობა გაიმართება „სან პაოლოზე", სადაც ერთმანეთის პირისპირ სკუდეტოსთვის მებრძოლი ორი გუნდი, „ნაპოლი" და „მილანი" წარდგებიან. დიახ, ნეაპოლელები აღარ მალავენ, რომ მათი მიზანი გაჩემპიონებაა და ამ მიზნის მისაღწევად გზად ნებისმიერი მეტოქის დამარცხება აქვთ განზრახული. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან, მაგრამ ფაქტია, რომ მუდამ ფრთხილი **ვალტერ მაძარიც** კი ხმაურიან განცხადებებს აკეთებს:

*„მოქმედ ჩემპიონთან ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება, რომელშიც სამი ქულის მოსაპოვებლად ვიბრძოლებთ. მართალია, „მილანი" საკმაოდ კარგ ფორმაშია, რაც „ბარსელონასთან" შეხვედრაშიც დამტკიცდა, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნი. ვეცდებით პირველი ნომრიდან ვითამაშოთ და მეტოქე საკუთარ ნახევარზე მივაჯაჭვოთ. თუ სკუდეტოსთვის ბრძოლა გვსურს, სწორედ „მილანის" დარ გუნდებთან უნდა დავამტკიცოთ, რომ პირველობის ღირსნი ვართ".*

„ნაპოლის" **ესეკიელ ლავეცის** გარეშე მოუწევს ასპარეზობა, რომელსაც ტრავმა აქვს - შესაბამისად, შეტევის ტრიუმვირატი **გორან პანდევის, მარეკ ჰამშიკის** და **ედინსონ კავანისგან** დაკომპლექტდება.

დანაკარგების მხრივ, გაცილებით რთულ მდგომარეობაში **მასიმილიანო ალეგრია**, რომელსაც ერთბაშად რვა ფეხბურთელის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. ასეთი დანაკლისი სეზონის სტარტზე ერთობ უჩვეულო ამბავია, თუმცა ალეგრი თავს იმხნევებს და შეგირდებსაც ბრძოლისკენ მოუწოდებს:

*„ტრავმები არც გასულ სეზონში გვაკლდა, მაგრამ გადავლახეთ პრობლემები და ჩემპიონები გავხდით. მოედანზე ის ფეხბურთელები გავლენ, რომლებიც ჯანმრთელად არიან და იმედი მაქვს, მათზე დაკისრებულ მოვალეობებს თავს კარგად გაართმევენ. სიმართლე გითხრათ, კმაყოფილი ვარ იმით, რომ ნეაპოლში გასვლითი თამაში ჩემპიონატის სტარტზე გვიწევს – ფეხის დაცდენის შემთხვევაში, მდგომარეობის გამოსასასწორებლად საკმარისი დრო გვექნება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავს ვიზღვევ და გამარჯვების იმედი არ მაქვს – პირიქით, მჯერა, რომ "სან პაოლოზე" სამი ქულა სწორედ ჩვენ დაგვრჩება".*

"გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, ალეგრი შეტევის წინა ხაზზე **ანტონიო კასანოსა** და **ალეშანდრე პატოს** ტანდემს გაამწესებს, უკნიდან კი ფორვარდებს **ანტონიო ნოჩერინო, ალბერტო აკვილანი, მარკ ვან ბომელი** და კლარენს ზეედორფი დაეხმარებიან. წესით, დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**ლაშა წიკლაური**

ამერიკული
ბიბლიოთეკა

## საშიში ჯახი გლადბახში

### ერთმა ორი კბილი დაკარგა, მეორე უგონოდ იყო...

წესით და რიგით, ეს ხალისიანი „ფეხბურთ-ჩოგბურთი" უნდა ყოფილიყო – მიონხენგლადბახის „ბორუსიას" სამი მეკარე და მეკარეების მწვრთნელი უვე კამპსი მხოლოდ ერთობოდნენ. მაგრამ მოულოდნელად ისეთი შეჯახება მოხდა, იქაურობა დასისხლიანდა. კამპსი და „გლადბახის" პირველი მეკარე, 19 წლის მარკ-ანდრე ტერ შტეგენი ამ უკანასკნელის შემცვლელ კრისტოფერ ჰაიმეროტსა და იანის ბლასვიხს ეთამაშებოდნენ, როცა ერთ მომენტში ტერ შტეგენმა და კამპსმა ბურთისთვის ერთად იბრძოლეს და ერთმანეთს თავებით შეასკდნენ. კამპსმა ცოტა ხნით უგონოდ ეგდო და შუბლიდან სისხლი სდიოდა, ტერ შტეგენს კი ორი კბილი ჩაუტყდა...

მთავარმა მწვრთნელმა ლუსიენ ფავრმა ვარჯიში მაშინვე შეწყვიტა და ტერ შტეგენს კბილების ნაწილების მოძებნაში ეხმარებოდა – ანდრემ და ლუსიენმა ვერაფერი იპოვეს, ექიმი კი ამბობდა, იმედია, მარკმა კბილები არ გადაყლაპაო. მოგვიანებით, ორივე საავადმყოფოში გადაიყვანეს. „ძალიან შევშფოთდით, რადგან კამპსს გული წაუვიდა და სახეზე გალურჯდა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგადაა. რაც შეეხება ტერ შტეგენს, მან მხოლოდ კბილები დაკარგა და იმედი მაქვს, რომ „ჰამბურგთან" ითამაშებს," - განაცხადა ფავრმა.



„ავარია" გლადბახის ვარჯიშზე: მარკ-ანდრე ტერ შტეგენი და მეკარეების მწვრთნელი უვე კამპსი

## სისე ზაფხულში წავა

„ფრაიბურგმა" თავდამსხმელ **პაპის დემბა სისეს** ახალი კონტრაქტი გაუფორმა, რომელსაც ვადა ისევ 2014 წლამდე აქვს. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სენეგალელი ფორვარდი ახლა გაცილებით მეტ ხელფასს აიღებს და ასევე ის, რომ მის ხელშეკრულებაში ჩაიდო პუნქტი, რომლის მიხედვითაც სისეს ზაფხულში გარკვეული თანხის სანაცვლოდ „ფრაის" დატოვება შეუძლია. სისე ბოლო დროს ძალიან უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ „ნიუკასლში" არ გაუშვეს და მოედანზე ბოლომდე აღარ იხარჯებოდა.

**გოტფრიდ ლენცი**



პაპის დემბა სისე

● ინგლისი. პრემიერლიგა. V ტურის წინ

# თეატრი არისტოკრატთა მოლოდინში

## დღეს

**ბლექბერნი-არსენალი 15:45**

**ტრავმა:** დანი, პედერსენი, ნელსენი, ჰოილეტი - რემსი, როსიცკი, ვერმაელენი, უილშირი, სკილაჩი, დიაბი

**ასტონ ვილა-ნიუკასლი 18:00**

**ტრავმა:** ჰესკი - ბენ არფა, აბიდი, ვუკჩიჩი, ვილიამსონი

**ბოლტონი-ნორვიჩი 18:00**

**ტრავმა:** დევისი, მირსი, ალონსო, რიკეტსი, ჰოლდენი, ლი – ვონი, აიალა, ვორდი, ვითბრედი

**ევერტონი-უიგანი 18:00**

**ტრავმა:** ანიჩებე - გოჰური, ალკარასი

**სუონსი-ვესტ ბრომვიჩი 18:00**

**ტრავმა:** ბოდე, ტეიტი, მონკი – გერა, ტამაში, ბრანტი

**ქუინზ პარკი-ვულვზი 18:00**

**ტრავმა:** ედვარდსი, ებანს ბლეიკი – დაიერი, ჰალსი, მაკი, ორი, ტრაორე

## ხვალ

**ტოტენჰემი-ლივერპული 16:30**

**ტრავმა:** გალასი, სანდრო, ვან დერ ვაარტი, დოუსონი, პიენაარი, ლენონი – ჯონსონი, ჯერარდი, კელი

**ფულჰემი-მან. სიტი 18:00**

**ტრავმა:** რიისე, დევისი - მილნერი, დე იონგი

**სანდერლენდი-სტოკ სიტი 18:00**

**ტრავმა:** კემპბელი, ოში, მეილერი, გორდონი, ბერდლისი – ჰიგინბოთემი, ფულერი

**მან. იუნაიტედი-ჩელსი 19:00**

**ტრავმა:** კლევერლი, ველბეკი, რაფაელი, ვიდიჩი - ესიენი, დროგბა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნაიტ. | 4 | 4 | 0 | 0 | 18-3 | 12 |
| 2. მანჩ. სიტი | 4 | 4 | 0 | 0 | 15-3 | 12 |
| 3. ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 4. ნიუკასლი | 4 | 2 | 2 | 0 | 3-1 | 8 |
| 5. სტოკ სიტი | 4 | 2 | 2 | 0 | 3-1 | 8 |
| 6. ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 7. ვულვერჰემპტ. | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 8. ასტონ ვილა | 4 | 1 | 3 | 0 | 5-3 | 6 |
| 9. უიგანი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 10. ევერტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11. ქუინზ პარკი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-6 | 4 |
| 12. არსენალი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-10 | 4 |
| 13. ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| 14. ბოლტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 7-11 | 3 |
| 15. ტოტენჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-8 | 3 |
| 16. სანდერლენდი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| 17. ნორვიჩი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 18. ფულჰემი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 19. სუონსი | 4 | 0 | 2 | 2 | 0-5 | 2 |
| 20. ბლექბერნი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-7 | 1 |


სერხიო აგუერო

წინა უქმეებზე "ბლექბერნმა" და "არსენალმა" პრემიერლიგაში თავისი პირველი ქულა და მოგება ჩაიწერეს. "ვარდებმა" "ფულჰემს" წაართვეს ქულა, ხოლო "მეთოფეებმა" "სუონსი" დაამარცხეს. სეზონის წინ "ვარდების" სუსტი სტარტი იოლი საპროგნოზო იყო, რადგან მათ ადგილი ელიტაში შარშანაც ძლივს შეინარჩუნეს. "მეთოფეთა" ამგვარ დაცემას კი ალბათ ცოტა ელოდა. საინტერესო პარალელი გაავლეს სტატისტიკოსებმა ამ გუნდებს შორის. "ბლექბერნს" ბოლო 9 საშინაო შეხვედრაში 1 მოგება აქვს, ხოლო "არსენალს" 1 მოგება 9 გასვლით დაპირისპირებაში. თუ ამ "ლოგიკით" მივუდგებით, გამოდის, შეხვედრა ფრედ უნდა დასრულდეს. ეს ნახევრად ხუმრობით... "ივუდ პარკის" მატჩი დამატებით ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ ადგილობრივი პუბლიკა მთავარი მწვრთნელის **სტივ კინის** წინააღმდეგ საპროტესტო აქციის მოწყობას გეგმავს. მათ რამდენიმე დღის წინ უკვე გაუგზავნეს ღია წერილი კლუბის ინდოელ მფლობელებს და შოტლანდიელის გუნდიდან გაშვება მოითხოვეს. ჯერჯერობით მეპატრონეს ამაზე რეაქცია არ ჰქონია. მეტიც, მან ფანებს მოუწოდა, გუნდს ბოლომდე გვერდით დაუდექითო.

შედეგებიდან გამომდინარე "ნიუკასლის" დაცვითი რედუტები ჯერჯერობით საუკეთესოა პრემიერლიგაში ("სტოკთან" ერთად). **ალან პერდიუს** შეგირდებმა 4-დან 3 მატჩში კარი მშრალად შეინახეს, გაშვებით კი მხოლოდ "ფულჰემისგან" გაუშვეს, ისიც ერთხელ. ამის წყალობით "კაჭკაჭებს" ცხრილში მეოთხე ადგილი უკავიათ. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ "ნიუკასლს" ბირმინგემის "ვილა პარკზეც" შეუძლია "მშრალად" თამაში. თუმცა თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, ჯორდებს ამ სტადიონზე თამაში ტრადიციულად უჭირთ. ბოლო შვიდი სტუმრობიდან მასპინძელმა 3 ქულა მხოლოდ ერთხელ "გაიმეტა". დაპირისპირება იმითაც საინტერესო იქნება, რომ ერთმანეთს ორი წაუგებელი გუნდი ხვდება. მეტიც, "ასტონ ვილა" პრემიერლიგის ბოლო 12 მატჩში ერთადერთხელ დამარცხდა. თავის მხრივ ცუდი სტატისტიკა აქვს მასპინძელთა თავკაც **ალექს მაკლიშს**, ვინც პრემიერლიგაში ბოლო 10 შეხვედრიდან ერთადერთი მოიგო, უშუალოდ "ნიუკასლთან" კი ბოლო 4-დან 3 მატჩი წაგებული აქვს.

"ევერტონი"-"უიგანის" შეხვედრაში ლივერპულელთა ჰოლანდიელ ახალწვეულს **როისტონ დრენტეს** ძირითად შემადგენლობაში დებიუტი ექნება. მან უკვე ითამაშა "ზამბახების" რიგებში, მაგრამ "ასტონ ვილასთან" ის მხოლოდ შეცვლაზე შევიდა. **დევიდ მოიესმა** დაადასტურა, რომ რამე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, 24 წლის ნახევარმცველი პირველი წუთებიდან ითამაშებს.

"მანჩესტერ სიტის" იმედი აქვს, რომ "ფულჰემთან" "ქრევეინ კოტეჯზე" მეხუთე პრემიერლიგურ მატჩსაც მოიგებს. მათ გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია მართებთ, რადგან ჩემპიონთა ლიგის სადებიუტო შეხვედრაში მოულოდნელად "ნაპოლის" ვერაფერი დააკლეს. მეტიც, რომ არა სერბი **ალექსანდარ კოლაროვის** დიდებული საჯარიმო დარტყმა, სულაც დამარცხდებოდნენ. წარუმატებლობას ისინი გამოუცდელობას ვერ დააბრალებენ, რადგან ასევე პირველ შეხვედრას ატარებდა ამ ტურნირში იტალიური კლუბიც. **რობერტო მანჩინიმ** თამაშის შემდეგ, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, დაიმუქრა, მერე რა, "ბაიერნს" მიუნხენშივე მოვუგებთო. "ქალაქელთა" ფანებს კი ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევაზე მეტად საქმე და ქულები აინტერესებთ. "კოტეჯელების" მდგომარეობას ის ართულებს, რომ მათ დასასვენებლად "სიტიზე" 24 საათით ნაკლები ჰქონდათ. ხუთშაბათს "ფულჰემმა" ჰოლანდიის ვიცე-ჩემპიონ "ტვენტეს" უპასპინძლა და 1:1 ითამაშა. **მარტინ იოლის** ბიჭებისთვის ეს უკვე ზედიზედ მესამე საშინაო ფრე იყო, რაც ნამდვილად არ არის კარგი შედეგი.

ხვალ თბილისის დროით 19:00 საათზე მთელი საფეხბურთო მსოფლიოს ყურადღება მანჩესტერის "ოლდ ტრეფორდისკენ", იმავე "ოცნებათა თეატრისკენ" იქნება მიპყრობილი. ნამდვილად ვერ დაგისახელებთ წყვილს (ბუნებრივია "ბარსელონა"-"რეალის" გარდა), რომელიც ამხელა აუდიტორიას იკრებს ტელეეკრანებთან. არც მაშინ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიპყრობილი სტუმართა ახალგაზრდა მწვრთნელის **ანდრე ვილაშ ბოაშისკენ**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას აქამდე სერ **ალექს ფერგიუსონის** დონის მწვრთნელთან დაპირისპირება არ ჰქონია, რაც პორტუგალიელისთვის სერიოზული გამოცდა იქნება.

ლეგენდარული სერ ალექსი კი თავის სტიქიაშია. შოტლანდიელი "იუნაიტედში" ახალ გუნდს აშენებს (მერამდენეს, თვლა გვეშლება), თანაც ისე, რომ ამ მშენებლობის პროცესში გუნდის ბრწყინვალებას მისხალი არ აკლდება. „ალისფერი ეშმაკები" საოცარ ფორმაში არიან. ისინი პრემიერლიგაში, უბრალოდ, კი არ იგებენ ყველა მატჩს – თამაშში საშუალოდ 4 ბურთზე მეტი გააქვთ. დაფრინავს **უეინ რუნი**, ვისაც პრემიერლიგაში უკვე 8 გოლი აქვს გატანილი. მართალია, მანკუნიანელებს შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის თამაში ჰქონდათ, მაგრამ ლისაბონელ "არწივებთან" ("ბენფიკას" დიდი ხანია ასე უწოდებენ) ფრეს "ეშმაკების" ლამის დუბლშემადგენლობა ეყო. ჟურნალისტთა ვარაუდით, ფერგი ძირითადში დააბრუნებს **დავიდ დე ხეას** (ეს თავადაც დაადასტურა), **რიო ფერდინანდს**, სასტარტოში დატოვებს **რაიან გიგზსაც**. პირველი წუთებიდანვე ითამაშებენ ასევე **ხავიერ ერნანდესი, ეშლი იანგი, ნანი და ანდერსონი. დარენ ფლეტჩერი, ჟი სუნ პარკი და ანტონიო ვალენსია** კი სკამზე გადაინაცვლებენ. "ბენფიკასთან" ტრავმებს გადავურჩით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია "ჩელსისთან" საკვირაო დაპირისპირების წინ. ბოლო 7 წლის განმავლობაში ამ გუნდთან დაპირისპირებები განსაკუთრებულად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ახლაც ამას ველი," – განაცხადა ფერგიუსონმა.

აქვე მოგაწვდით ინფორმაციას იმ ფეხბურთელებზე, რომელთაც კლუბები ნამდვილად ვერ გამოიყენებენ:


ანდრე ვილაშ ბოაშს კარიერაში ყველაზე რთული გამოცდა ელის

● ამბ[illegible]

## მეი[illegible] ებრაული სამიზნე

"არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** არ გამორიცხა, რომ კლუბმა მალე მოლაპარაკებები წამოიწყოს "ჩელსისთან" **იოსი ბენაიუნის** ტრანსფერის გამოსყიდვასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ 31 წლის ებრაელი "ემირეიტსზე" 31 აგვისტოს ერთწლიანი იჯარით გადავიდა. მიუხედავად ხანმოკლე თანამშრომლობისა, მხარეები უკვე სრულფასოვან კონტრაქტზე ალაპარაკდნენ. იოსიმ პირდაპირ განაცხადა, "ჩელსიში" დიდი პერსპექტივა არ მქონდა და "არსენალის" წინადადებაზე წამითაც არ მიფიქრიაო. "ჯერ დეტალებზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, თამაშებში ამ ფეხბურთელს გუნდისთვის მაქსიმალური სარგებელი მოაქვს და ვფიქრობთ, რომ ჩვენს გუნდს იოლად შეეწყობა. თანაც მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ უნივერსალია და ნახევარდაცვაში ბევრ პოზიციაზე შეუძლია თამაში," – განაცხადა ვენგერმა.

## მანჩესტერი აზიურ ბირჟაზე

"მანჩესტერ იუნაიტედს" გუშინ სინგაპურის საფონდო ბირჟაზე აქციების განთავსების ნება მისცეს. კლუბს უკვე შეუძლია მოლაპარაკებები აწარმოოს პოტენციურ ინვესტორებთან. გეტყვით, რომ "მანიუს" აქციათა 25%-ის სასტარტო ფასი 600 მილიონი გირვანქაა. ბუნებრივია, მისი ფასი შეიძლება კიდევ გაიზარდოს. ბლეიზერების ოჯახი ამ ნაბიჯით კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტსაც შეინარჩუნებს და თანაც დამატებით ფინანსებს მოიზიდავს, რისი წყალობითაც ამერიკელი მესაკუთრეები ვალებს მთლიანად გადაიხდიან.

კლუბში ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ, რადგან ჯერ გლეიზერების პრესსამსახურის განცხადებას ელიან. ამასობაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ყატარის სამეფო ოჯახი მზადაა "იუნაიტედის" აქციათა 100%-ში 1,5 მილიარდი გირვანქა გადაიხადოს.

## უიგანი გაქურდეს

ხუთშაბათს "უიგანის" საწვრთნელი პროცესის დიდი ნაწილი ჩაიშალა. არა, საგანგაშო არაფერი მომხდარა, მაგრამ მიზეზი უცნაური კი ნამდვილად არის - ფეხბურთელებს საკმარისი რაოდენობით ბურთები არ აღმოაჩნდათ. დილას პასუხისმგებელმა პირმა 5 ჩანთა (თითოში 12-12 ბურთი) ბაზასთან მიიტანა და მანქანიდან გადმოალაგა. დანიშნულების ადგილას მხოლოდ ერთის მიტანა მოასწრო. უკან გამობრუნებულს კი დანარჩენი ჩანთები ადგილზე არ დახვდა. მან იფიქრა, რომ ბურთები ბაზაზე თავად ფეხბურთელებმა შეიტანეს. აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ ყოფილა. ბუნებრივია, ბაზაზე გამოცხადდა პოლიცია, რომელმაც საქმის მოკვლევა დაიწყო.

ამის შემდეგ "უიგანის" დამრიგებელ **რობერტო მარტინესს** ისღა დარჩენოდა, ფეხბურთელები მხოლოდ ფიზიკურად დაეტვირთა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორი
ონლაინ კაზინო „ლარივინი"

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი
ბესიკ ჭანგავაძე დანიდინიდან

რაგბი. მსოფლიოს თასი

# რიჩი დიქსონმა ორი ცვლილება განახორციელა

საქართველოს ნაკრებმა გუშინ დანიდინში პირველი ვარჯიში გამართა. დილიდან "ბორჯღალოსანთა" ბანაკში საქმიანი ფუსფუსი იყო. სადილამდე საათნახევრით ადრე კი მწვრთნელებმა გუნდის წევრების თანდასწრებით შოტლანდიასთან მატჩის ვიდეოჩანაწერის ანალიზი გააკეთეს, შეცდომებზე მიუთითეს, რაც ჩვენს მორაგბეებს მრავლად ჰქონდათ დაშვებული.

სადილის შემდეგ გუნდი დანიდინში ახლახან აშენებული ახალი სტადიონის, "ოტაგო სთედიუმის" სათადარიგო მოედნისკენ გაემართა. დანიშნულების ადგილზე მისვლას დიდი ხანი არ დასჭირვებია. სასტუმრო "მერკურიდან" სტადიონამდე ავტობუსმა მისვლას ხუთი წუთი მოანდომა, თუმცა ამ მოკლე მონაკვეთშიც კი ხუთი თუ ექვსი ისეთი სარაგბო მოედანი შეგვხვდა, რომლის მინდვრის საფარიც კარგი ინფრასტრუქტურის მქონე ბევრ მოწინავე სარაგბო ქვეყანას შეშურდებოდა.



რიჩი დიქსონი

ვარჯიში, როგორც ყოველთვის, მოთელვით დაიწყო, რის შემდეგაც გუნდმა მთლიანად შეტევითი კომბინაციების დახვეწაზე იმუშავა. **რიჩი დიქსონთან** ერთად, რომელსაც ბოლო დღეებში ხშირად საკმაოდ აფორიაქებულს და ჩაფიქრებულს ვხედავ, "ბორჯღალოსნებს" **ჯონ მაგლტონი** ხელმძღვანელობდა.

გუნდმა ჯერ რაკიდან და შერკინებიდან ბურთის გატანის შემდეგ შეტევის გაგრძელებაზე იმუშავა. მორაგბეები სწრაფად გადაადგილებას და იერიშის მიმართულების ხშირ ცვლას ცდილობდნენ. მერე დერეფნის ჯერიც დადგა. ვარჯიშის არსი აქაც ისეთივე იყო.

წვრთნაში გუნდთან ერთად არ იყო შუამარბი **თედო ზიბზიბაძე,** რომელსაც მუხლი აწუხებს. მან ცალკე, ინდივიდუალურად ივარჯიშა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, თედო ინგლისთან შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში იქნება.

*"ინგლისის ნაკრებთან მატჩისთვის სერიოზული მზადება მიმდინარეობს. ახლახან შოტლანდიასთან თამაშის ძალიან კარგი ანალიზი გაკეთდა და ვარჯიშისას მორაგბეები ცდილობენ გამოასწორონ ის ნაკლოვანებები, ძირითადად შეტევაში, რომელიც ამ მატჩში გამოჩნდა. მალე მწვრთნელები ინგლისის ნაკრებთან სათამაშო გეგმასაც გამოაცხადებენ და მოთამაშეები უნდა ეცადონ ეს გეგმა შეასრულონ და სათამაშო სქემა დაიცვან,"* – თქვა საქართველოს რაგბის კავშირის განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელმა **გიორგი ჭუმბურიძემ.**

ვარჯიშის შემდეგ რიჩი დიქსონმა სასტუმროში პრესკონფერენცია გამართა, სადაც ინგლისის ნაკრებთან სათამაშოდ შერჩეული მორაგბეების სია გააცხადა. ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილებაა, შერკინების ბურჯის დავით ზირაქაშვილის ნაცვლად **დავით ქუბრიაშვილი** ითამაშებს, "ზირაქა" ადგილს სათადარიგოთა შორის დაიკავებს. დაშავებული ხელი მოირჩინა და სრულ მზადყოფნაშია მეორეხაზელი **ილია ზედგინიძე,** რომელიც **ლევან დათუნაშვილს** შეცვლის. "ჩაქუჩა" ამჯერად თადარიგში იქნება.

შოტლანდიის ნაკრებთან მატჩისგან განსხვავებით დიქსონმა გადაწყვიტა თადარიგში ხუთი მორკინალი იყოლიოს. შედეგად, 22-კაციან შემადგენლობას ერთი უკანახაზელი დააკლდა და ის ფულბეკი **მალხაზ ურჯუკაშვილი** აღმოჩნდა.

*"კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორეო, რომ შოტლანდიასთან მარცხით ძალიან გულდაწყვეტილები ვართ. გუნდს აქვს პოტენციალი და ბევრად უკეთ შეუძლია თამაში. განსაკუთრებით კი ეს შეტევას ეხება.*

*როგორც უნდა იყოს, თუ ისეთი დონის გუნდებს, როგორიც შოტლანდიის ნაკრებია, ხშირად არ ვეთამაშეთ, მათ ვერასდროს მოვუგებთ"* – თქვა პრესკონფერენციაზე რიჩი დიქსონმა.

**საქართველოს ნაკრები: 15. რეზო გიგაური, 14. სანდრო თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ილია ზედგინიძე, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.**

*16. აქვსენტი გიორგაძე, 17. დავით ზირაქაშვილი, 18. გიორგი ჩხაიძე, 19. ლევან დათუნაშვილი, 20. გივი ბერიშვილი, 21. ბიძინა სამხარაძე, 22. ლაშა ხმალაძე.*







როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

მეტოქე

# მარტინ ჯონსონმა ცხრა შეცვალა




საქართველოს ნაკრების მეტოქეს, ინგლისის ეროვნულ გუნდს ტრავმამოშუშებული კაპიტანი, მესამეხაზელი **ლუის მუდი** დაუბრუნდა. სულ კი, "ვარდების" თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** არგენტინის ნაკრებთან ნათამაშები შემადგენლობიდან ცხრა მორაგბე გამოცვალა.

უკანა ხაზში ცხრა ნომრის პოზიციაზე ასევე ტრავმამოშუშებული **ბენ იანგზი** იქნება, მას პარტნიორობას სათადარიგო მგზავი **ტობი ფლუდი** გაუწევს, **ჯონი ვილკინსონი** კი შეცვლაზე შევა.

შერკინებაში მხოლოდ **დენ კოლი** და **ნიკ ისთერი** არიან ისინი, ვინც არგენტინასთან ითამაშა. კოლს პირველ ხაზში **მეთ სტივენსი** და **დილან ჰარტლი** ამოუდგებიან გვერდში. **სტივ ტომსონი** და **ალექს კორბშეირო** კი სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებენ. გამოცდილი **ენდრიუ შერიდანი** დაშავდა და მსოფლიოს თასს გამოეთიშა.

დისკვალიფიცირებული **კორტნი ლუისის** ნაცვლად საიმონ შოუ ითამაშებს, რომელიც **ტომ პალმერთან** ერთად პრველად შექმნის ინგლისის ნაკრებში მეორეხაზის დუეტს.

*"ძალიან გვიხარია, რომ ლუის მუდი დაბრუნდა. მასთან ერთად თამაშისა და თავის გამოჩენის საშუალებას სხვა მოთამაშეებსაც მივცემთ.*

*კარგია, რომ ისევ დანიდინში დავბრუნდით. პირველ შეხვედრაში დიდი ბრძოლა გადაგვხდა. ეს ჩვენი გუნდისთვის სასარგებლო იყო, რადგან სწორედ ასეთ ბრძოლებში იწრთობა ხასიათი"* – თქვა ინგლისელთა თავკაცმა მარტინ ჯონსონმა.

- შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ინგლისის ნაკრებების დაპირისპირება ხვალ, დანიდინში თბილისის დროით 10 საათზე დაიწყება.

**ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მანუ ტუილაგი, 12. შონთაი ჰეპი, 11. დელონ არმითიჯი, 10. ტობი ფლუიდ, 9. ბენ იანგზი. 1. მეთ სტივენსი, 2. დილან ჰარტლი, 3. დენ კოლი, 4. საიმონ შოუ, 5. ტომ პალმერი, 6. ტომ ვუდი, 7. ლუის მუდი, 8. ნიკ ისთერი**

*16. სტივ ტომსონი, 17. ალექს კორბშეირო, 18. ტომ კროფტი, 19. ჯეიმზ ჰესკელი, 20. ჯო სიმპსონი, 21. ჯონი ვილკინსონი, 22. მეთ ბანაჰანი*

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| ახალი ზელანდია-იაპონია | 83:7 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ახალი ზელანდია – 10 ქულა, 2. საფრანგეთი – 5, 3. კანადა – 4, 4. ტონგა – 1, 5. იაპონია - 0

### 17 სექტემბერი

| | |
|---|---|
| არგენტინა-რუმინეთი | 07:30 |
| სამხრეთ აფრიკა-ფიჯი | 10:00 |
| ავსტრალია-ირლანდია | 12:30 |

### 18 სექტემბერი

| | |
|---|---|
| უელსი-სამოა | 07:30 |
| საქართველო-ინგლისი | 10:00 |
| საფრანგეთი-კანადა | 12:30 |

### B ჯგუფი

**სატურნირო მდგომარეობა**

**1.შოტლანდია – 9 ქულა, 2. ინგლისი – 4, 3. არგენტინა – 1, 4. საქართველო – 0, 5. რუმინეთი – 0**

# არგენტინა შოტლანდიას სჯობია

საქართველოს ნაკრების მეტოქეები B ჯგუფში, არგენტინისა და რუმინეთის ეროვნული გუნდები ერთმანეთს ინვერქარგილში დაუპირისპირდებიან. "პუმებმა" პირველ მატჩში ინგლისის ნაკრებთან გამართულ თრილერის მსგავს მატჩში ორი წამყვანი მოთამაშე დაკარგეს.

**გონსალო ტიესის** ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ მსოფლიოს თასზე ასპარეზობა შეწყვიტა. **ფელიპე კონტეპომის** ნეკნები აქვს დაჟეჟილი და მხოლოდ რუმინეთის ნაკრებთან თამაშს გამოტოვებს.

არგენტინელებმა, რომლებმაც პირველი მატჩი ინგლისის ნაკრებთან 9:13 წააგეს, "სტეუარის" აუცილებლად უნდა სძლიონ, რათა მეოთხედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნონ. საამისოდ კი, მათ რუმინელთა მძიმე შერკინებასთან გამკლავება მოუწევთ, რომელმაც შოტლანდიის ნაკრებს საკმაოდ ბევრი პრობლემა შეუქმნა.

"მუხის ფოთლებს" "სკოტებთან" შეხვედრაში ათი წუთი დააკლდათ ისტორიული გამარჯვების მოსაპოვებლად. ეჭვი არავის ეპარება, რომ რუმინელები ამჯერადაც ეცდებიან მორკინალთა გამოყენებით ფონს გასვლას. არადა, აქამდე ამ გუნდებს შორის შვიდი თამაშიდან შვიდივეჯერ გამარჯვება "პუმებს" დარჩათ. არგენტინელებმა "სტეუარი" ბოლოს 2003 წლის მსოფლიოს თასზე 50:3 დაამარცხეს.

*"ყურადღებით ვადევნებდი თვალს არგენტინის ნაკრების თამაშს ინგლისის ეროვნულ გუნდთან. ძალიან მაგარი მატჩი იყო, გუნდები თავდაუზოგავად იბრძოდნენ. შესაძლოა, შოტლანდიამ იფიქრა, რუმინეთი პატარა გუნდია, ადვილად გავუსწორდებითო და კინალამ დაისაჯა. "პუმებს" ეს მატჩი ნანახი აქვთ და დარწმუნებული ვარ, სკოტების შეცდომას აღარ გაიმეორებენ.*

*კარგად ვიცნობ არგენტინელ მორაგბეებს, ისინი რაგბის შესანიშნავად თამაშობენ. ვფიქრობ, მათი გუნდი შოტლანდიის ნაკრებზე უფრო ძლიერია"* – თქვა რუმინეთის ნაკრების შერკინების კვაჭმა **მარიუს ტინკუმ.**

### არგენტინა-რუმინეთი

**არგენტინა: 15. ლუკას ამოროსინო, 14. გონსალო კამაჩო, 13. მარსელო ბოსხი, 12. მარტინ როდრიგესი, 11. ჰორასიო აგულა, 10. სანტიაგო ფერნანდესი, 9. ნიკოლას ვერგალო. 1. როდრიგო რონსერო, 2. მარიო ლედესმა, 3. ხუან ფიგალო, 4. მანუელ კარისა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ხულიო ფარიასი, 7. ხუან მანუელ ლეგუსამონი, 8. ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე.**

*16. ავგუსტინ კრევი, 17. მარტინ სკელსო, 18. მარიანო გალარსა, 19. ალეხანდრო კამპოსი, 20. ალფრედო ლალანე, 21. ნიკოლას საჩესი, 22. ჯონ იმჰოფი.*

**რუმინეთი: 15. იულიან დუმიტრაში, 14. ვლად ლემნარუ, 13. ჩაბა გალი, 12. კონსტანტინ გეარა, 11. იონელ კაზანი, 10. იონუც დიმოფტე, 9. ფლორინ სურუჯუ. 1. მიჰაიტა ლაზარი, 2. მარიუს ტინკუ, 3. პაულიკა იონი, 4. ვალენტინ ურსაკე, 5. კრისტიან პეტრე, მიჰაი მაკოვეი, ოვიდიუ ტონიცა, დანიელ კარპო.**

*16. ბოგდან ზებეგა, 17. სილვიუ ფლორეა, 18. ვალენტინე პოპარლანი, 19. Dანიელ იანუსი, 20. ვალენტინ კალაფეტეანუ, 21. დანუც დუმბრავა, 22. ფლორინ ვლაიკუ.*

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში

# ახალგაზრდული ვერცხლი ბელგიიდან

ბელგიურ ლომელში გუშინ დაწყებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა ქუთაისელი **ლერი ჭელიძე** (55) - მან ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩვენებურმა სომეხი **სერიოჟა ალექსანიანი** იპონით, გერმანელი **მანუელ შაიბელი** იუკოთი, ფრანგი **სედრიკ რევოლი** ვაზარით, ნახევარფინალში კი ბელგიელი **ადრიან ქვერტინმონტი** იუკოთი დაამარცხა. სამწუხაროდ, ფინალში თვითონ წააგო სომეხ **გარიკ ჰარუთინიანთან.**

ამავე წონაში წარუმატებლად გამოვიდა გიორგი მესაბლიშვილი - მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო, 60-ში კი ორივე ჩვენებური - **გიორგი კაცია** და **ვაჟა მარგველაშვილი** პირველივე წრეში დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**

აკი ბაშო. 11-25 სექტემბერი

# გაგამარუ ლიდერებში გაერია

აკი ბაშოს მე-6 დღეს მხოლოდ ერთმა ქართველმა სუმოისტმა იმარჯვა - 200-კილოიანმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი) საგაცუკასა** დაამარცხა. ის რიკიში, რომელმაც მე-5 დღეს სუმოს სამყაროს იპონის არსებობა შეახსენა, თუმცა, ბუნებრივია, 65 კილოგრამით მსუბუქ იაპონელს ქართველის წინააღმდეგ არც კი უცდია ძიუდოს ილეთის გამოყენება და საერთოდაც, საგაცუკასამ დოჰიოზე ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო, გაგამარუს სულ ოთხჯერ დასჭირდა ხელის კვრა და მისი მეტოქე რკალს მიღმა აღმოჩნდა. ასეთი კარგი სტარტი 24 წლის ჩვენებურს ელიტაში არც ჰქონია, მას 5-1 ბალანსი აქვს და დღეს მონღოლი **ტამავაში** ხვდება, ერთობ უხერხული მეტოქე (0:4 პირად შეხვედრებში).

**ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ვერ შეძლო „მუშა" მარცხენა ხელით **იოშიკაძის** მავაშის მოხელთება და უპირატესობა იაპონელის მხარეს გადავიდა, რომელმაც ჰიკიოტოშის ილეთით იმარჯვა კიდევაც. ტოჩინოშინს ნულოვანი ბალანსი აქვს - 3-3. ზედიზედ მეორედ წააგო **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**, რომლის ბალანსიც 4-2-ია.

ბაშოს დაუმარცხებლად სამი რიკიში ლიდერობს, დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და ორი სეკივაკე, **კოტოშოგიკუ** და **კისენოსატო.** მათ კვალშიც სამი ფალავანი მიჰყვება თითო მარცხით. სასიხარულოა, რომ მათ შორის ერთი ქართველია.

**VI დღე:** ჰაკუჰო-ტაკეკაძე (ოშიდაში), ტოჩიოძანი-კოტოოშუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-არანი (იორიტაოში), ბარუტო-ვაკანოსატო (ცუკიდაში), ოკინოუმი-კაკურიუ (იორიტაოში), კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა (იორიკირი), კისენოსატო-ჰომაშო (იორიკირი), იოშიკაძე-**ტოჩინოშინი** (ჰიკიოტოში), გოეიდო-ტოკიტენკუ (იორიკირი), მიაბიამა-ტაკაიასუ (ცუკიოტოში), ტოჩინოვაკა-ვაკაკოიუ (ოშიდაში), ტოიოჰიბიკი-ფუჯიაზუმა (იორიტაოში), ტამავაში-კაისეი (ოშიდაში), **გაგამარუ**-საგაცუკასა (ოშიდაში), ამინიშიკი-კიოკუტენჰო (იორიკირი), კიტატაიკი-ასასეკირიუ (იორიკირი), დაიდო-ტამაასუკა (ჰატაკიკომი), იოშიაზუმა-კიმურაიამა (იორიკირი), ტაკანოიამა-შოტენრო (ისამიაში), ტოსაიუტაკა-**კოკაი** (ჰატაკიკომი), ჰოჩიამა-ტოჩინონადა (ოშიდაში).

### სატურნირო მდგომარეობა

**6-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა), **კოტოშოგიკუ** (სეკივაკე), **კისენოსატო** (სეკივაკე).

**5-1: ტოჩიოძანი** (მაეგაშირა 3), **გაგამარუ** (მ 11), **კიტატაიკი** (მ 11)... **4-2: კოკაი** (მ 16)... **3-3: ტოჩინოშინი** (მ 4).

**VII დღე:** ჰაკუჰო-ტოიონოშიმა, ჰარუმაფუჯი-იოშიკაძე, ბარუტო-ტაკეკაძე, კოტოოშუ-**ტოჩინოშინი**, კოტოშოგიკუ-ოკინოუმი, კისენოსატო-კაკურიუ, არანი-ჰომაშო, ვაკანოსატო-ტოკიტენკუ, ტოჩიოძანი-ვაკაკოიუ, მიაბიამა-გოეიდო, ტაკაიასუ-ტოჩინოვაკა, ფუჯიაზუმა-საგაცუკასა, კაისეი-კიოკუტენჰო, ტოიოჰიბიკი-კიტატაიკი, **გაგამარუ**-ტამავაში, ამინიში-ტოსაიუტაკა, ასასეკირიუ-დაიდო, იოშიაზუმა-ტაკანოიამა, ტამაასუკა-ჰოჩიამა, **კოკაი**-შოტენრო, კიმურაიამა-ტაკარაფუჯი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






# ქართული სპორტი

## ქართული ჭიდაობა. მეტეხის ტურნირი.

# ამაგდარი თანასოფლელის ხსოვნისა

კასპის რაიონის სოფელ მეტეხში კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ამაგდარი თანასოფლელის ივანე ბოჭორიძის ხსოვნას - გუშინ ქართულ ჭიდაობაში მისი სახელობის ტურნირი ჩატარდა. პატივი და გახსენება ბოჭორიძეს მართლაც ეკუთვნის თანასოფლელთაგან - წლების განმავლობაში სოფლის ხელმძღვანელმა მოახერხა და მეტეხს სახსოვრად საჭიდაო დარბაზი დაუტოვა, რომელიც დღესაც ერთგულად ემსახურება ადგილობრივ ახალგაზრდობას. საკმაოდ ბევრი დარბაზი მინახავს თბილისსა თუ რეგიონში, მაგრამ უშუალოდ საჭიდაო ფართით თუ დამხმარე სათავსებით ეს ერთ-ერთი ყველაზე ვრცელია. იქაურები შეძლებისდაგვარად კარგადაც უვლიან, ცხელი შხაპიც კი აქვთ და თავის დანიშნულებასაც ასრულებს,

### კვარცხლბეკი

**60 კგ.** 1. ირაკლი გუგულაშვილი (მეტეხი); 2. უშანგი კუზანაშვილი (საგარეჯო); 3. გიგა ხორბალაძე (დოესი).

**66 კგ.** 1. ზვიად ოდოშაშვილი (მეტეხი); 2. ანდრო ბერუაშვილი (გორი); ტრისტან ფეიქრიშვილი (ზემო ხანდაკი).

**73 კგ.** 1. შმაგი შარიფაშვილი; 2. კახა მამულაშვილი (ორივე - მეტეხი); 3. ანზორ ხმიადაშვილი (გორი).

**81 კგ.** 1. ამბაკო ავალიანი (თბილისი); 2. პაატა ღვინიაშვილი (გორი); ამირან იანვარაშვილი (ზემო ხანდაკი).

**მძიმე.** 1. მირიან პავლიაშვილი (მცხეთა); 2. გიორგი ნოზაძე (ალი); 3. პაატა ღვინიაშვილი (გორი).



მაგრამ ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლება ცოტა მეტ ყურადღებას თუ მიაქცევს და შეარემონტებს, ქართულ სპორტს კიდევ ერთი კარგი ბაზა შეემატება. ნეტავ, ყველა სოფელს ერთი მაინც ჰყავდეს ასეთი ივანე ბოჭორიძე - მაშინ ბაზების პრობლემაც გადაიჭრებოდა.

ქართული ჭიდაობის ტურნირიც ამ სპორტდარბაზის ეზოში მოწყობილ ნახერხმოყრილ არენაზე ჩატარდა, რომელიც ორ მწკრივად შემოვლებული ტრიბუნებით სრულად აკმაყოფილებს ჭიდაობისადმი იქაურთა სურვილს. გუშინ ეს ტრიბუნები კიდევ ერთხელ შეივსო მონაწილეებითა თუ მაყურებლებით - ტურნირში კასპის, თბილისის, ქარელის, ხაშურის, გორის, საგარეჯოს, ახმეტის, მცხეთის სხვადასხვა სოფლის 65 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ შორის ძიუდოში, სამბოსა თუ სხვა საჭიდაო სახეობებში ბევრი საკმაოდ სახელმოხვეჭილიც იყო სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების - **უშანგი კუზანაშვილისა** (57) და **მირიან პავლიაშვილის** (100) თავკაცობით, თავად შეჯიბრება კი სამბისტთა ნაკრების ყოფილი თავკაცის **ოლეგ იაძის** ძალისხმევით გაიმართა. საპატიო სტუმრებიც ბლომად ესწრებოდნენ. ჯერ ხომ მეტეხს თუ მიმდებარე სოფლებს მოეპოვება მრავალი წარმატებული ფალავანი (თუნდაც შეჯიბრების მთავარი მსაჯი, ადგილობრივი **იოსებ მალალაშვილი** გავიხსენოთ), თბილისიდან სპეციალურად ჩავიდა სახელოვანი **ლევან თედიაშვილი**, სპონსორთა დახმარებით ტურნირზე საპრიზო ფონდიც იყო დაწესებული - ჩემპიონები 150 ლარით დაჯილდოვდნენ, ვერცხლის მედალოსნები - 100, მესამე პრიზიორები კი 50 ლარით დაჯილდოვდნენ.

შეჯიბრების წმინდა სპორტული მხარეც საკმაოდ მაღალი დონისა გამოდგა და მაყურებელმა არაერთი ლამაზი გდებითა თუ, დაძაბული შეხვედრით ისიამოვნა, თუმცა იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოჭიდავეთა უმეტესობას უფრო მაღალი კლასი მოეთხოვება - მშობლიური ჭიდაობის იმ ილეთებს, რამაც ახლო წარსულში ბევრი ფალავანი სახელოვან ათლეტად აქცია, უფრო უკეთ უნდა ფლობდნენ, უფრო გაშინაურებულნი უნდა იყვნენ მათთან.

მასპინძელთა გასახარად, შეჯიბრებაში ადგილობრივმა - მეტეხელმა ფალავნებმა წარმატებით იჭიდავეს, თუმცა გარჯა არც გორელებს დაეწუნებათ. სენსაციებიც არ მომხდარა, 60 კილოგრამის ფინალში კუზანაშვილის მარცხს თუ არ ჩავთვლით ადგილობრივ **ირაკლი გუგულაშვილთან**. აგრეთვე ძიუდოში უფროსთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე **ნუგზარ ტატალაშვილის** მარცხს ზემო ხანდაკელ **ამირან იანვარაშვილთან**. ჟინიანი, ხარისხიანი, კარგი ჭიდაობით დაგვამახსოვრა თავი ადგილობრივმა **შმაგი შარიფაშვილმა**, ხოლო მისი თანასოფლელი **კახა მამულაშვილი** კლასით გამოირჩეოდა. ისინი ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მეგობრობამ გაიმარჯვა და მამულაშვილმა ახალგაზრდა კონკურენტს ჩემპიონობა უბრძოლველად დაუთმო. მძიმე წონაში ტრადიციულად გამორჩეული იყო მირიან პავლიაშვილიც.

**ირაკლი თავაძე**

## თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს პირველობა.

# ლიდერის მარცხი

სტამბოლში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატიც ცივი შხაპით დავიწყეთ - გუშინ, პირველ დღეს ვაჟებში მხოლოდ 55 წონითი კატეგორიის ფალავნები ჭიდაობდნენ. ამ წონაში **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მისგან დიდ წარმატებას ველოდით, მაგრამ დამარცხდა და მედალი კი არა, ლიცენზიაც ვერ მოიპოვა. არადა, ამ უკანასკნელ მიზნამდე მხოლოდ ერთი მოგება დააკლდა - ჯერ ძირითად ბადეში, მერე - დამამშვიდებელშიც. თან ისეთი ბადე შეხვდა, ძირითადში სწორედ ის ერთი ბრძოლა უნდა მოეგო, თორემ დანარჩენები საჭიდაო თვალსაზრისით, ეგზოტიკური ქვეყნებიდან იყვნენ - ვენესუელა, ჩინეთი, ნამიბია... მართალია, სუსტი არც მეოთხედფინალში შეხვდებოდა, რადგან ბადის იმ ნახევრიდან სულ მსოფლიოს ჩემპიონები და ერთმანეთზე უძლიერესი ფალავნები მოუდიოდნენ, მაგრამ ყველა თუ არა, ერთი პრინციპული შეხვედრა მაინც უნდა მოიგო. სად ასეთი ბადე და სად ისეთი წილისყრა, თავიდან ბოლომდე დატვირთული გზა რომ გაქვს გასასვლელი და უკლებლივ ყველა შეხვედრა პრინციპულია, როცა სულის მოთქმის საშუალებაც არ გაქვს. ხინჩეგაშვილი ახალგაზრდა ფალავანია და გვჯერა, ლიცენზიასაც მოიპოვებს და ლონდონშიც ფავორიტი იქნება. სულაც არ ვაპირებთ მის გაკრიტიკებას, მაგრამ ფაქტია - მასაც ის დაემართა, რაც უმეტესად მოსდით ხოლმე ქართველ სპორტსმენებს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის წინ. რატომ ხდება ეს, ხომ არაა საჭირო სპორტში უფრო აქტიურად ფსიქოლოგის ჩარევა? არადა, მედიცინის ეს მნიშვნელოვანი სფერო თვით მედიცინაშია გერის როლში, არათუ სპორტში. იმ წაგებამდე გორელმა ფალავანმა ბრწყინვალედ იჭიდავა და სამ შეხვედრაში ექსივე პერიოდი ქულებით წმინდად მოიგო - ვენესუელელი **ფერნანდო ხოსე პარედეს როხასი** ორი პერიოდის ჯამში 14:0 დაამარცხა, ჩინელი **მუდე ქი** - 12:0, ნამიბიელი (!) **ნაატელა სემ შილიმელა** - 13:0. ყურადღება მიაქციეთ ამ სამ შეხვედრაში მის მართლაც შთამბეჭდავ სტატისტიკას - 39:0! ეს ფანტასტიკის სფეროს ჰგავს და მაშ, რა მოხდა მეოთხედფინალში ბულგარელ **მიროსლავ რადოსლავ ველიკოვთან**? ბულგარელი წონის ერთ-ერთი ლიდერია - მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი, მაგრამ ხინჩეგაშვილმა წლეულს მას იმავე სტამბოლში იაშარ დოგუს მემორიალზე პირწმინდად აჯობა. ისე, ჩვენი მოჭიდავეებისთვის ესეც ნიშანდობლივია - საერთაშორისო ტურნირზე დანამარცხებ მეტოქესთან ოფიციალურ შეჯიბრებებში ხშირად აგებენ. ალბათ, იმიტომ, რომ უცხოელები იმ ტურნირებს ოფიციალურებისთვის მოსამზადებლად იყენებენ, იქ დაშვებულ შეცდომებს ითვალისწინებენ და ყველა ასპექტში უმატებენ, ჩვენები კი - არა. ჩვენები იმ მოგების შემდეგ ხშირად მიეცემიან ხოლმე გულარხეინობას. ბუნებრივია, ველიკოვთან წაგებას აუცილებლად დაუკავშირებენ მსაჯთა ფაქტორს და არ გამოვრიცხავთ, ეს ფაქტორიც იყოს, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ხინჩეგაშვილმა 1:0-ზე მოგებული პირველი პერიოდის შემდეგ მეორეში 2:0 დაწინაურდა, მაგრამ დამთავრებამდე 5 წამით (!) ადრე ორქულიანი გდება ძალიან იოლად გაატარა. მწვრთნელებმა მსაჯთა გადაწყვეტილება გააპროტესტეს, რაც არ დააკმაყოფილეს და ველიკოვს კიდევ ერთი ქულა დაუმატეს - 3:2 ბულგარელის სასარგებლოდ. ჩვენებური ამან გატეხა თუ რა იყო, დამატებითი 0:1 დათმო. არადა, ეს რომ მოეგო, მედალი არა, მაგრამ ლიცენზია განაღდებული ექნებოდა - ნახევარფინალში გავიდოდა, იქ კი რომც წაეგო, ექვსეულში მაინც მოხვდებოდა, რაც ლონდონის საგზურსაც გაუნაღდებდა.

ხინჩეგაშვილს ლიცენზიის შანსი კიდევ რჩებოდა, რაკილა ბულგარელი ფინალში გავიდა და მას სანუგეშო ტურნირის კარი გაუღო. იქ ჩვენებურს სულ ორი შეხვედრის ჩატარება უწევდა მედლამდე, ლიცენზიამდე კი მხოლოდ ერთის - საკმარისი იყო, პირველი შეხვედრა მოეგო ირანელ **ჰასან რაჰიმისთან**. ირანელი მისთვის უხერხული მეტოქეა - ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზეც მოუგო და ახლაც გაიმარჯვა იმის მიუხედავად, რომ ხინჩეგაშვილმა პირველი პერიოდი მასაც მოუგო - 2:1. მეორე პერიოდში იყო მომენტი, როცა ჯვარედინ მოვლებაზე ქართველმა მეტოქე ვერ გადააგდო, თორემ შეხვედრასაც მოიგებდა. დამატებითში ერთხელ საკუთარ ილეთზე წამოეგო და დაღლაც დაეტყო... ამას იმიტომ ვამბობთ, რომ გვინდა, საოლიმპიადოდ ეს შეცდომები გამოასწოროს, იქ მოხვედრის მთელი იმედები კი მომავალ სეზონზე გადაიტანა, მანამდე კი, ალბათ, ამ მარცხს აუცილებლად მოჰყვება დისკუსია თემაზე, უნდა ეჭიდავა თუ არა მას მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა. არადა, მართლაც საცოდაობაა ასეთი წარუმატებლობა ახალგაზრდულ ნაკრებში დუბლის გამკეთებელი და უფროსებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი სპორტსმენისგან.

ხვალ ჩემპიონატში უკვე სამი წონითი კატეგორიის ფალავნები ჩაებმებიან, ჩვენგან კი **მალხაზ ზარქუა** (60), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **გიორგი გოგშელიძე** (96) იჭიდავებენ. ამათგან გოგშელიძეს ძალიან ცუდი წილისყრა შეხვდა. ევროპის ვიცე-ჩემპიონი ზარქუა პირველ შეხვედრას პუერტორიკოელ **ფრანკლინ მატოს გომესთან** გამართავს, მერვედფინალამდე კი სერიოზული მეტოქე არავინ ჰყავს. იმ ეტაპზე სავარაუდო მეტოქეთა შორის ორი ტიტულოვანია - აზერბაიჯანელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს მედალოსანი **ზელიმხან ჰუსეინოვი** და **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის წლევანდელი ტურნირის ვიცე-ჩემპიონი, მასპინძელი **ერსინ ცეტინი**, თუმცა ისინი ადრევე ხვდებიან ერთმანეთს. მარსაგიშვილი ბერძენთა ქართველ ევროპის ჩემპიონ **ემზარ ბედინეიშვილს**, **ემზარიოს ბედინიდისს** შეხვდება, მასთან წარმატების შემთხვევაში კი შვეიცარიელ **მარკო ლუკას რისენსა** და რუმინელ ევროპის პრიზიორ **სტეფან გეორგიტას** შორის მოგებულს შეხვდება. ცნობილთაგან ბადის ამავე მხარესაა უკრაინელი მსოფლიოს ჩემპიონი **იბრაგიმ ალდატოვი** და ისიც ნახევარფინალამდე არ შეხვდება. გოგშელიძეს ადრეულ ეტაპზე ისევ რუსთა **ჰაჯიმურატ გაცალოვთან** მოუწევს შეხვედრა - თუ მესამე ეტაპზე გავა, თუმცა მანამდე პირველი შეხვედრაც რთული ექნება - ოლიმპიადის ყაზახ ვიცე-ჩემპიონ **თეიმურაზ თიგიევს** ხვდება, ვისთანაც პეკინის ოლიმპიადის ნახევარფინალში წააგო.

**ირაკლი თავაძე**

## კალათბურთი.
## ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან



# მომავალმა თაობებმაც დაინახეს: ქართველებს ევროპაზე თამაში შეგვიძლია

ევრობასკეტი მხოლოდ 16 გუნდისთვის დასრულდა. დანარჩენი რვიდან ზოგი ჩემპიონობისთვის იბრძვის, ზოგი მეხუთე, მესამე თუ მეშვიდე ადგილებისთვის. საქართველოს ნაკრები ლიტვიდან 13 სექტემბერს დაბრუნდა და კალათბურთელები ახალი საკლუბო სეზონისთვის მზადებას შეუდგნენ.

**სხვებთან ერთად მანუჩარ მარკოიშვილიც თბილისშია და იტალიაში გამგზავრებას 18 სექტემბერს აპირებს. „კანტუში" გამოცხადებამდე მანუს ინტერვიუ ჩამოვართვით, რომელშიც იგი ჩვენი ნაკრების ევრობასკეტზე გამოსვლასაც იხილავს და ფავორიტსაც ასახელებს.**

**- რა შეგძინა ლიტვაში ჩატარებულმა 8 მატჩმა?**

- ევროპის ჩემპიონატზე ორკვირიან გამოსვლამდეც ბევრი შევიძინეთ. ლიტვისთვის მზადების ყოველი ეტაპი სასარგებლო იყო. თავიდან შედარებით სუსტ გუნდებს ვეთამაშებოდით, შემდეგ უფრო და უფრო ძლიერებს და საფეხურობრივად წინ მივიწევდით. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატის წინ საუკეთესო გუნდებთან საბრძოლველად მზად ვიყავით. რაც შეეხება უშუალოდ ჩემპიონატს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მის მერე უფრო გამოცდილი ვარ ვიდრე მანამდე ვიყავი.

**- იგივე შეიძლება ითქვას მთლიანად ნაკრებზე...**

- ევროპის საუკეთესო გუნდებს შორის გამოსვლამ თავდაჯერება შეგვმატა - დავინახეთ, რომ საკალათბურთო განსწავლულობით თუ მომზადებით ევროპის გამორჩეულ ნაკრებებთანაც შეგვიძლია ღირსეულად თამაში. ეს მხოლოდ ჩვენ არ გვეხება - მომავალმა თაობამაც უნდა დაინახოს, რომ ევრობასკეტზე თამაში ქართველებისთვის აუხდენელი ოცნება აღარაა. სათანადო შრომის წყალობით ამ მიზნამდე მიღწევა ბევრს შეუძლია.

**- მაკედონიამ ლიტვას მოუგო, რუსეთი ევრობასკეტის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. ამ გუნდებთან თანაბრად ვითამაშეთ და ბოლო წამებზე დავმარცხდით. თუ გიფიქრია, რომ მათ ადგილას დღეს შესაძლოა საქართველოს ნაკრები ყოფილიყო.**

- საკითხს მარტივი კუთხით არ უნდა მივუდგეთ. სპორტში იმარჯვებს ის, ვინც კონკრეტული მატჩისთვის უკეთესადაა მომზადებული, უფრო ჯანსაღად ხვდება შეხვედრას... ევრობასკეტზე კი არა ერთი, არამედ 5-12 თამაშია. სამწუხაროდ, ჩვენს შემთხვევაში ერთმანეთს დაემთხვა გამოუცდელობა, ტრავმები და საბოლოოდ ვერ ვუჩვენეთ ის, რაც შეგვეძლო. თუმცა ეს შესაძლოა, ვინმემ საკუთარი თავის ქებად ჩამითვალოს. არც ის მავიწყდება, რომ თუნდაც მაკედონიას 10 ქულით რომ ჩამოვრჩით, შესაძლოა სხვაობა კიდევ უფრო გაზრდილიყო და დიდი სხვაობით წაგვეგო. სწორედ ესაა კალათბურთის უპირატესობა სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით - შესაძლოა ერთმა პატარა ეპიზოდმა მთელი თამაშის სცენარი შეცვალოს.

**- მეორე ეტაპზე სამქულიანებს ისეთივე სიზუსტით ვერ ესროდი, როგორც მანამდე. ჩემი აზრით, ეს დაღლილობის ბრალი იყო.**

- ვერ ვიტყვი: იმიტომ ვერ ჩავაგდე, რომ დაღლილი ვიყავი-მეთქი. ყველაზე მეტად სწორედ მე მინდოდა მიზნისთვის მიმეღწია. ვერც იმას ვიტყვი, არ უნდა მესროლა, როცა სატყორცნ პოზიციაზე რჩები, არ უნდა დააყოვნო. ამას პირველ რიგში გუნდი ითხოვს, მაგრამ სამწუხაროდ ვერ ჩავარდა. სწორედ ამაშია კალათბურთის ეშხი, რომ შეიძლება ერთ მომენტში ყველაფერი გამოგივიდეს, მეორეში - ვერა.

**- თუ იყო მატჩი, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდა.**

- ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ რუსეთთან ან უკრაინასთან თამაშებს გამოვარჩევ, რადგან მეტი ჩავაგდე. ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, დაცვაში მეთამაშა დამაჯერებლად. ამაზე მოსამზადებელი პერიოდიდან ბევრს ვმუშაობდით და ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს დაცვაში ურიგოდ არ უთამაშია.

**- ევრობასკეტზე შენი არაერთი ყოფილი თანაკლუბელი თამაშობდა. თუნდაც ჯონათან ტაბუმ რით ახსნა ბელგიის სუსტი გამოსვლა, ან ტეემუ რანიკომ რა გითხრა ფინეთთან მატჩის შემდეგ?**

- ტაბუს ახსნა რა საჭირო იყო - კონკრეტული მომენტისთვის საქართველოს ნაკრები უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მაკედონიისა. რაც შეეხება ფინეთთან თამაშს, მეტოქემ კარგად იცის ჩვენი პლუს-მინუსები. ფინეთმა ეს ბოლომდე გამოიყენა, ჩვენ საპირისპიროდ - პლუსების გამოყენება ვერ მოვახერხეთ. სწორედ ამან გამოიწვია ფინეთთან დამარცხება.

**- ევრობასკეტზე დარჩენილ გუნდებს შორის ვის ქომაგობ?**

- ძალიან მინდოდა ოქრო ლიტვაში დარჩენილიყო, მაგრამ მაკედონიამ არ დაანება. ნახევარფინალში ღირსეული გუნდები გავიდნენ და ვფიქრობ, ფინალის საგზურს რუსეთი და ესპანეთი მოიპოვებენ (ინტერვიუ ნახევარფინალების დაწყებამდეა ჩაწერილი). ალბათ, ახალს არაფერს ვამბობ - ესპანეთი პირველობის გამოკვეთილი ფავორიტია.

**- იტალიური „კანტუს" თავკაცი ანდრეა ტრინჩიერი ლიტვაში თუ გირეკავდა?**

- რა თქმა უნდა. მას დღესაც ველაპარაკე. გვქომაგობდა. ახლა იტალიაში მელის. კვირას გავფრინდები.

**- ...და ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ევროლიგას უბრუნდები.**

- ბოლოს ევროლიგაზე სლოვენიური „ოლიმპიას" მაისურით ვითამაშე. სამწუხაროდ, ჯერ ზუსტად არ ვიცი, საბოლოოდ როგორ დაკომპლექტდა „კანტუს" შემადგენლობა, რადგან აქამდე სანაკრებო საქმეებით ვიყავი დაკავებული. ვფიქრობ, შარშანდელზე უკეთესი გუნდი გვეყოლება და ევროლიგაზეც ღირსეულად ვითამაშებთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

ჩოგბურთი

## ფინალში: ქვაცაბაია–მიქაძე

ქომაგებმა გუშინ საინტერესო ორთაბრძოლები იხილეს ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტები მასპინძლობს.

დავიწყოთ წყვილთა პაექრობით: **სოფიო ქვაცაბაიას და თათია მიქაძის** დუეტი „საქართველოს თასის" გათამაშებაზე პირველ ნომრად იყო განთესილი. ჩვენმა გოგონებმაც სპეციალისტთა მოლოდინი გაამართლეს: ზედიზედ სძლიეს ანი ამირაგიანსა (სომხეთი) და ალექსანდრა რომანოვას (რუსეთი) — 6:0, 6:3, მარიამ დოლაშვილსა (უკრაინა) და



თამარ ცხაკაიას (საქართველო) — 6:2, 6:1, ალონა ფომინასა და ნადია კოლბს (ორივე-უკრაინა) — 6:2, 6:4. გუშინ ფინალში კი ანასტასია პრენკოს (თურქმენეთი) და ვიქტორია იემიალიანავას (ბელარუსი) წყვილსაც, ფაქტობრივად, იოლად გაუსწორდნენ — 6:1, 6:2 და პირველი ადგილი დაიკავეს. ერთ-ერთ მათგანს შაბათსაც მოუწევს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა, რადგან გუშინდელი პარტნიორები დღეს ბადის სხვადასხვა მხარეს დადგებიან, როგორც მეტოქეები. სოფიო ქვაცაბაიამ უაღრესად დაძაბულ პაექრობაში სძლია ერევნელ ანი ამირაგიანს. პირველი სეტი სომეხმა ჩოგბურთელმა მოიგო 6:3. მეორე ხელი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ბოლოს ქვაცაბაიამ მაინც შეძლო, ანგარიში გაეთანაბრებინა — 7:6. გადამწყვეტ მესამე სეტში მასპინძელი უკეთ თამაშობდა და გამარჯვებაც (6:3) მას დარჩა. თათია მიქაძემ უფრო იოლად ჩამოიცილა გზიდან ტურნირის რეიტინგფავორიტ მარინა ზანევსკას მძლეველი პოლინა მონოვა (რუსეთი), რომელიც შეჯიბრებაზე რეიტინგით მერვე იყო — 6:2, 6:0.

მაშ, ასე: დღეს 11 საათზე ფინალში ქვაცაბაია და მიქაძე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ოფიციალურ ასპარეზობებში მეტოქეები 2009 წელს ალმათის საერთაშორისო ტურნირის ფინალში შეხვდნენ. მაშინ მიქაძემ გაიმარჯვა — 6:2, 6:3. ვნახოთ, ფორტუნა დღეს ვის გაუღიმებს.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

## რუბიკონი გადალახეს

ალბენაში ევროპის პირველობის მონაწილე ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა ცხრარაუნდიანი მარათონის რუბიკონი გადალახეს — ხუთი ტური უკან მოიტოვეს. ტურნირის ამ მონაკვეთში ქართველთაგან განსაკუთრებით თამარ ესაძემ (8 წ.) იყოჩაღა, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და 5 ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობს. ამავე ასაკში ნინო დარჩიაშვილმა მხოლოდ 2 ქულის მოგროვება შეძლო, ნიკოლოზ კაჭარავამ კი 4 ქულას მოუყარა თავი.

გაუწყებთ სხვა ასაკებში ჩვენებურთა მონაგარს ხუთი ტურის შემდეგ:

**10-წლიანები:** ელენე კოსტავა-3, გვანცა მარგველაშვილი-2; მათე თოდაშვილი-3, ლუკა ობოლაძე და ნიკოლოზ პეტრიაშვილი-2,5-2,5 ქულა.

**12-წლიანები:** ნატა ჯიბუტი-3,5, თეა ჭოლაძე, ნინო ჯალალონია-3-3, ნინო დახუნდარიძე-2; ირაკლი ახვლედიანი-2,5, ლუკა ლიჩელი-2 ქულა.

**14-წლიანები:** ნინო ხომერიკი-3, მარიამ ჭოლაძე-2,5, ანა თედოშვილი-2, მაია მუმლაძე-1; ნიკა ლვამბერია და ნოე თუთისანი-3-3 ქულა.

**16-წლიანები:** ნანი უნაფქოშვილი-3,5, დეა გოგიშვილი, ანა შამათავა, ლიკა კობეშავიძე-3-3; ირაკლი ბერაძე-4, შალვა ნადრაშვილი-2 ქულა;

**18-წლიანები:** მერი არაბიძე-4, მარიამ დანელია-3,5, ზურაბ ჯავახაძე-4,5 ქულა.

როგორც შედეგებიდან ირკვევა, მომდევნო ოთხ ტურში წარმატების შემთხვევაში, ქართველთა უმეტესობა მედლების მოპოვების შანსს ინარჩუნებს. იმედია, ისინი ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებენ.

გუშინ მოჭადრაკეები ისვენებდნენ. დღეს მე-6 ტურის პაექრობები გაიმართება.

ვაჟა დანელია

ვიქტორინა

**1. ვინ იყო ალპინისტი ქალი, რომელმაც 1939 წლის 22 სექტემბერს ევერესტი პირველმა დაიპყრო?**

ა — ჰილარი ედმუნდი (ახალი ზელანდია)
ბ — იუნკო ტაბეი (იაპონია)
გ — ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა

**2. რომელი წლიდან შევიდა ოლიმპიურ პროგრამაში ბეისბოლი?**

ა — 1992 წლიდან
ბ — 1996 წლიდან
გ — 2000 წლიდან

**3. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მერამდენე პრეზიდენტი იყო ეივერი ბრენდეჯი?**

ა — მესამე
ბ — მეოთხე
გ — მეხუთე

**4. რას ნიშნავს სიტყვასიტყვით ბრიჯი სპორტულ ტერმინოლოგიაში?**

ა — ბანქოს თამაშს
ბ — ხიდს
გ — ინტელექტს

**5. ცურვის რომელ ყაიდას ამსგავსებენ ეგვიპტეში „მოცურავეთა გამოქვაბულში" აღმოჩენილ კედლის მხატვრობას?**

ა — კროლს
ბ — ბატერფლაის
გ — ბრასს

პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-გ, 4-ბ, 5-გ

# ტაიმ-აუტი ღელღოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ფილატელია



**ვაგრძელებთ** აღორძინებულ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით (ათენი 1896 წელი) გამოცემული პირველი ოლიმპიური საფოსტო მარკების ნიმუშების პუბლიკაციას. ზედა სურათზე გამოსახულია ნიკე, ქვედაზე ჰერმესი.

ავტორები: ე. მუშინი (გრავიორი) და გ. გილერონი (მხატვარი).

თარიღი. 17-23 სექტემბერი

**17. 1988 წ.** სეულში (სამხრეთი კორეა) გაიხსნა ზაფხულის XXIV ოლიმპიური თამაშები.

**17. 1945 წ.** დაიბადა **ფილ ჯექსონი** - კალათბურთი (ნბა-ს ვარსკვლავი, აშშ, მწვრთნელი).

**18. 1949 წ.** დაიბადა **პიტერ შილტონი** - ფეხბურთი (ინგლისი).

**18. 1909 წ.** დეტროიტში დამყარდა ბეისბოლის მატჩზე დასწრების რეკორდი-35 ათასი მაყურებელი.

**19. 1991 წ.** პრესის ზეწოლის გამო პოსტიდან გადადგა აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **რობერტ ჰელმიკი.**

**19. 1922 წ.** დაიბადა **ემილ ზატოპეკი** - მძლეოსანი. გარდაიცვალა 2000 წელს.

**19. 1926 წ.** მილანში გაიხსნა სტადიონი „სანსირო".

**20. 1971 წ.** დაიბადა **ჰენრიკ ლარსონი** - ფეხბურთი (შვედეთი).

**20. 1987 წ.** ლეგენდარულმა ფრანგმა მრბოლმა **ალენ პროსტმა** ფორმულა 1-ის 28-ე რბოლა მოიგო.

**21. 1955 წ.** პროფესიულ კრივში **როკი მარჩიანომ** ნოკაუტით დაამარცხა **არჩი მური.**

**23. 1929 წ.** დაიბადა **შანდორ კოჩიში** - ფეხბურთი (უნგრეთი).

**22. 1976 წ.** დაიბადა **რონალდო** - ფეხბურთი (ბრაზილია).

**23. 1956 წ.** დაიბადა **პაოლო როსი** - ფეხბურთი (იტალია).

სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობები

## პეტანკი

პეტანკი ფრანგული სპორტული თამაშია, სხვადასხვა ზომისა და მასალის ბურთებით. მონაწილენი რიგრიგობით ესვრიან მოზრდილ ბურთს, უფრო მომცროს, რომელსაც კოშონეტი, ანუ გოჭი ეწოდება. სასროლი ბურთი ლითონისაა, ჩვეულებრივ, ფოლადისგან დამზადებული, რომლის ზომაა დიამეტრში 70-80 მმ. სამიზნე ბურთი ხისაა, თეთრად შეღებილი, დიამეტრში 25-35 მმ. არაოფიციალური მატჩები იმართება ნებისმიერი ფართობის გაშლილ, მყარი ზედაპირის ადგილას, ეზო იქნება, ქალაქის მოედანი თუ სკვერი. ოფიციალური თამაშები ტარდება სპეციალურად მომზადებულ მოედანზე, რომლის სიგრძეა 15 მ, სიგანე — 4 მ. ერთმანეთს ხვდებიან ერთეულები ან გუნდები — თითოეულ გუნდში 2-2 ან 3-3 კაცია.

პეტანკი წარმოიშვა 1907 ან 1910 წელს, როდესაც პროვანსში გავრცელებული თამაში — ჟე პროვანსალი გაამარტივეს. ახალი თამაში მთელ საფრანგეთშიც გავრცელდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა, რისი დასტურიცაა ყოველწლიური ჩემპიონატები სხვადასხვა კატეგორიისა და ასაკობრივი ჯგუფისთვის. ქვეყანაში თამაშის განვითარებისთვის ზრუნავს პეტანკისა და ჟე პროვანსალის საფრანგეთის ფედერაცია (დაფუძნდა 1945 წელს), 1958 წელს დაარსდა პეტანკისა და ჟე პროვანსალის საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც ხელს უწყობს ამ სახეობის პოპულარიზაციას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. პეტანკს თამაშობენ კანადაში, ავსტრალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, შვედეთში, ბელგიაში, ისრაელში, არგენტინაში, სინგაპურში, საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში.



საინტერესო

100-ათასიანი სტადიონი, რომლის ლოჟაშიც ისხდნენ სოკის პრეზიდენტი ანრი დე ბაიე-ლატური, ადოლფ ჰიტლერი, გერმანიის რაიხის თავკაცები და ოლიმპიადის სხვა საპატიო სტუმრები, გერმანელი არქიტექტორის ვერნერ მარხის პროექტით აიგო ძალზე მოკლე დროში. მისივე პროექტით ოლიმპიადისათვის საგანგებოდ აიგო აგრეთვე საცურაო აუზი, ჰოკეის მოედანი და სპორტული დარბაზი. ვერნერ მარხს ამ პროექტისთვის ბერლინის ოლიმპიადის ხელოვნების კონკურსში ოქროსა და ვერცხლის მედლები მიენიჭა (ოქროსი — ქალაქმშენებლობის ნომინაციაში, ვერცხლისა — არქიტექტურაში).

ოლიმპიადა გახსნა გერმანიის კანცლერმა ადოლფ ჰიტლერმა. გერმანიაში ჩასულ 47 ქვეყნის დელეგაციას შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის გუნდებიც, თუმცა ეს ქვეყნები ადრე ყველაზე აქტიურად უჭერდნენ მხარს ბოიკოტს. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ბოლომდე უერთგულა თავის პრინციპებს, ესპანეთი იყო. ესპანელი სპორტსმენები ბერლინში ჩავიდნენ, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ოლიმპიადის გახსნის დღეს დემონსტრაციულად დაეტოვებინათ გერმანიის დედაქალაქი.

პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** საკალათბურთო მატჩი ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ჩატარდა 1936 წელს ბერლინის ოლიმპიადის მსვლელობისას. ფინალში კი აშშ-ის ნაკრებმა კანადას 19:8 მოუგო.

■ ■ ■

**პირველმა** ლა-მანში ორივე მხარეს შეუსვენებლად გადაცურა არგენტინელმა **ანტონიო ალბერტონდომ** 50 წლის წინათ, 1961 წლის 22 სექტემბერს. მისი დროა 43 საათი და 10 წუთი.

■ ■ ■

**პირველად** საფეხბურთო მატჩი ჩეხეთში, რომელსაც მაყურებელი დაესწრო, გაიმართა 1892 წელს.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ჰოკეის ბურთი; 6. არგენტინის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი; 7. სპორტის მხარდამჭერი ქართველი ბიზნესმენი; 9. „კარლცაისის"' ქალაქი; 10. იგივეა, რაც შუამარბი; 11. „ჯენოას" მეკარე; 14. ინძაგის სახელი; 15. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი; 17. სარბოლო ავტომობილის ჰიპერბოლიზირებული სახელწოდება; 18. იტალიის სერია B-ის საფეხბურთო კლუბი; 19. პროფესიონალი მხედარი; 20. დანიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 24. სლოვაკეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი; 25. უნგრელი მოჭადრაკე ქალი; 27. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1960 წელს; 30. იგივეა, რაც შეტევა; 31. ერთ-ერთი ვარსკვლავი იტალიური ფეხბურთის ისტორიაში; 32. "ჩელსის" მცველი ... კოული.

**შვეულად:** 1. პლატინის თაობის ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი; 2. მთის ნაწვეტებული მწვერვალი; 3. 1924 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი; 4. მძლეოსნობის პროგრამის მრავალსახეობა; 5. „მანჩესტერის" ფეხბურთელი; 6. პოპულარული გერმანული საფეხბურთო გამოცემა; 8. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი; 12. მოტოციკლებით რბოლა ნიდიან ტრეკზე; 13. საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში; 14. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლ.); 16. იხ. სურათი: მადრიდის "რეალის" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი მესუტ ...; 19. თბილისის "დინამოს" ყოფილი კალათბურთელი; 21. ათენის ოლიმპიადაზე ფინალში ნესტორ ხერგიანის მძლეველი იაპონელი ძიუდოისტი; 22. ლეგენდარული შვედი ჩოგბურთელი; 23. ამერიკელი ბადრის მტყორცნელი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 26. თურქმენული ეროვნული ჭიდაობა; 28. საჭადრაკო კლუბი ქუთაისში; 29. ბრაზილიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი.

იყო ასეთი შემთხვევა...

## ბრალდება უსაფუძვლოდ მიიჩნიეს

1966. მუნდიალზე ინგლისისა და არგენტინის მატჩის 33-ე წუთზე, სამხრეთამერიკელთა კაპიტანმა ანტონიო რატინმა, უხეში ინტონაციით, ესპანურ ენაზე, გერმანელ არბიტრს რუდოლფ კრაიტლაინს რაღაც უთხრა, ალემანმა კი არგენტინელი მინდვრიდან გააძევა. სამხრეთამერიკელები კარგა ხნის განმავლობაში უმტკიცებდნენ მსაჯს, რატინს მისი მისამართით სალანძღავი სიტყვა რომ არ უხსენებია, მაგრამ არბიტრმა პირვანდელი გადაწყვეტილება არ შეცვალა. თამაში ცხრა წუთით შეწყდა. საფინალო სასტვენის შემდეგ, არგენტინელებმა კრაიტლაინზე მიიტანეს იერიში, გერმანელი მსაჯი კი უსაფრთხო ადგილზე პოლიციის მეშვეობით გავიდა. მატჩისშემდგომ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ინგლისელთა მთავარმა მწვრთნელმა ალფ რამსეიმ არგენტინელებს "ცხოველები" უწოდა, რამაც ბუენოს აირესსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში ანტიბრიტანულ მანიფესტაციებს დაუდო სათავე. თავის მხრივ, ინგლისელებმა არგენტინის ფიფადან გარიცხვა მოითხოვეს, მაგრამ მათი ბრალდება უსაფუძვლოდ მიიჩნიეს.

ლიგა 1. VI ტურის წინ




პსჟ დებიუტანსტ ეწვევა

# გამოცდა სტად დე ჟერლანზე

| დღეს | |
|---|---|
| ოსერი-კანი | 21:00 |
| ბრესტი-მონპელიე | 21:00 |
| ლორიანი-სტ. ეტიენი | 21:00 |
| ნიცა-აიაჩო | 21:00 |
| ტულუზი-ბორდო | 21:00 |
| ვალანსიენი-დიჟონი | 21:00 |
| ლილი-სოშო | 23:00 |

| ხვალ | |
|---|---|
| ევიანი-პსჟ | 19:00 |
| რენი-ნანსი | 19:00 |
| ლიონი-მარსელი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 5 | 4 | 0 | 1 | 10-3 | 12 |
| 2. ლიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-5 | 11 |
| 3. ლილი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 4. პსჟ | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 5. ტულუზი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 6. რენი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-8 | 10 |
| 7. სოშო | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 8. ლორიანი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-5 | 8 |
| 9. სტ. ეტიენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 10. ოსერი | 5 | 1 | 3 | 1 | 8-7 | 6 |
| 11. ბორდო | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 12. ევიანი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 13. კანი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 14. დიჟონი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-9 | 6 |
| 15. აიაჩო | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| 16. ბრესტი | 5 | 0 | 4 | 1 | 3-4 | 4 |
| 17. მარსელი | 5 | 0 | 3 | 2 | 6-8 | 3 |
| 18. ნანსი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-6 | 2 |
| 19. ნიცა | 5 | 0 | 2 | 3 | 2-6 | 2 |
| 20. ვალანსიენი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-8 | 1 |

შაბათს "ბორდო" "ტულუზთან" გასვლით შეხვედრას გამართავს. 2009 წელს ლიგა 1-ის მოგების შემდეგ ჟირონდელებმა საქმე ვერ დაალაგეს. **ჟან ტიგანამ** ვერაფრით უწია **ლორან ბლანის** მიერ "შაბან დელმაზე" დამყარებულ სტანდარტებს, **ფრანსის ჟიიომ** კი გულწრფელად განაცხადა, ძველ დონემდე ასვლა ამ ეტაპზე შეუძლებელია, ევროპის ლიგისთვის ბრძოლაც რომ მოვახერხოთ, კარგი იქნებაო. ის იმედგაცრუებული დარჩა წინა ტურში "ევიანთან" ნათამაშები ფრითაც. *"ეს იყო ძალიან ცუდი მატჩი, რომელიც საყურებლად არაფრად ვარგოდა. სხვაობა იმას შორის, რასაც მე ფეხბურთელებისგან მოვითხოვ და რასაც ისინი აკეთებენ, სამწუხაროდ, ძალიან დიდია, –* განაცხადა "ბორდოს" დამრიგებელმა. – *მატჩის წინ მათთვის ნამდვილად არ მითხოვია შეხვედრის ასეთ დაბალ ტემპში დაწყება. ამიტომ აღარ გამიკვირდება, რომ ურთულესი სეზონი გვექნება. გუნდში არ არსებობს ერთმანეთისადმი ნდობა და არის ძალიან ბევრი ხარვეზი შემადგენლობაში"*. მიუხედავად იმისა, რომ ჟირონდელებს 4-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ, გუნდი ცხრილში მე-11 ადგილზეა. საჩემპიონო შემადგენლობიდან "ბორდოს" ბევრი ფეხბურთელი აღარ შემორჩა. ერთ-ერთი ასეთი **მიშელ სიანია**, ფეხბურთელი, ვინც ყველაფრის მიუხედავად ოპტიმისტურად არის განწყობილი. აი, რას ამბობს ის: *"ფაქტია, რომ თამაში გვიჭირს. ისე იოლად უკვე აღარაფერი გამოგვდის, როგორც ადრე, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ წინ უკეთესი დღეები გველის"*.

რამდენიმე დღის წინ **ფრანსის ჟიიოს** ექიმებმა ერთი სასიამოვნო ინფორმაცია მიაწოდეს - მე-5 ტურში მას **ბენუა ტრემულინასის** დახმარების იმედი შეიძლება ჰქონდეს. 25 წლის მარცხენა მცველი დარწმუნებულია, რომ ტულუზში აღებული 3 ქულა მისი გუნდის აღმავლობის საფუძველი გახდება. მისი აზრით, გუნდს, მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურის მოპოვება შეუძლია.

დღეს ყველაზე გვიან ჩემპიონი "ლილი" "სოშოს" დაუხვდება. ელიტაში ეს გუნდები 46-ჯერ დაუპირისპირდნენ, აქედან 29 "ძაღლებმა" მოიგეს, 11 ფრედ ითამაშეს და 6 წააგეს. სტუმრებს საფრანგეთის ჩრდილოეთში 2001/02 წლების სეზონის შემდეგ არ მოუგიათ. არამხოლოდ სტატისტიკა, არამედ დღევანდელობაც "ლილის" მხარეს არის. ჩემპიონმა 5 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა, რაც რამე განსაკუთრებული მაჩვენებელი არ არის, მაგრამ ჩემპიონატში მასზე მეტი მხოლოდ "რენსა" და "მონპელიეს" აქვთ. ჩემპიონთა ლიგაში, შეიძლება ითქვას, წარუმატებელი დებიუტის შემდეგ, **რუდი გარსია** თავისი ფეხბურთელებით უკმაყოფილი დარჩა. მისი თქმით, ისინი მეტისმეტს ფიქრობდნენ ანგარიშის შენარჩუნებაზე, რაც ცსკა-მ არ აპატია და ქულა წაართვა.

ლიგა 1-ის დებიუტანტ "ევიანს" ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტი ეწვევა და გამოცდას ჩაუტარებს. მძიმე დასაწყისის შემდეგ **ანტუან კომბუარეს** გუნდმა თამაში გამოასწორა და ყველა ტურნირში ერთად გუნდმა ზედიზედ 6 თამაში მოიგო. ეფექტურები იყვნენ პარიზელები ზალცბურგის "რედ ბულთანაც". განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო **ჟერემი მენეზი**, ვინც გუნდის შეუცვლელ ფეხბურთელად ყალიბდება. მან ეფექტური გოლის გარდა პირველ ტაიმში პენალტიც მოიპოვა. მშვენივრად ითამაშა **ხავიერ პასტორემაც**. არგენტინელისთვის ბედს რომ არ ემუხთლა, ისიც აუცილებლად გაიტანდა. თამაშის შემდეგ კომბუარემ განაცხადა: *"ზალცბურგელებთან გამარჯვება მშვენიერი წინაპირობა იყო ჩემპიონატის შეხვედრისთვის მოსამზადებლად. მხოლოდ ეფექტური და ლამაზი თამაში არ მაინტერესებს, მიმაჩნია, რომ კონცენტრაცია გუნდურ მუშაობაზე უნდა მივმართოთ. ამ შეხვედრაში ფეხბურთელებმა კარგი მაგალითები მიჩვენეს. ვრწმუნდები, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ"*.

დედაქალაქელებს საკადრო პრობლემები აქვთ. თუმცა გუნდი იმდენად კარგად არის დაკომპლექტებული, რომ ეს მნვრთნელს გადაულახავ პრობლემებს ვერ შეუქმნის. არ იქნებიან: ცენტრალური მცველი, კაპიტანი **მამადუ სახო** (მუხლის მყესი აქვს დაზიანებული), **მოჰამედ სისოკო**, ეს უკანასკნელი ვარჯიშს უკვე შეუდგა, მაგრამ მისთვის ჯერ მხოლოდ ინდივიდუალური დატვირთვებია დასაშვები. მხრის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პროცესს გადის და კომბუარე კიდევ 2 თვის განმავლობაში ვერ გამოიყენებს **გიიომ ოაროს**. სერბი მცველი **მილან ბიშევაცი** კი დისკვალიფიცირებულია.



დიდიე დეშამი

მასპინძელთა ბანაკში სრულად აქვთ გასიგრძეგანებული, რომ მათთან სტუმრად ევროპული ფეხბურთის გრანდი ჩადის და შესაბამისად ფრთხილ კომენტარებს აკეთებენ. აი, რას ამბობს "ევიანის" მცველი **ალდო ანგულა**: *"ჩვენ ვიცით გამეიროსა და ნენეს თამაშის მანერა, რადგან მასმედიის ყურადღება მთლიანად მათკენ არის მიპყრობილი. ჩვენს ჩემპიონატში ყველაფერი უფრო და უფრო სწრაფი ხდება, სტადიონები უმჯობესდება, სულ უფრო მეტი მაყურებელი დადის და არ მინდა, რომ ამ მოვლენებს მეც მაყურებლის თვალით შევხედო. მე ფეხბურთის თამაშს ვაპირებ"*. "ევიანს" სეზონში სულ 4 გოლი აქვს გატანილი, თუმცა თასის ჩათვლით, უკვე 3 მატჩია აღარ შეუგდია, რაც არ შეიძლება არ აწუხებდეს **ბერნარ კაზონის**.

რა თქმა უნდა, გვერდს ვერაფრით ავუვლიდით მე-5 ტურის უმთავრეს შეხვედრას. "ლიონი" ვიცე-ჩემპიონ "მარსელს" უმასპინძლებს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ გუნდების ბოლო ორ დაპირისპირებაში 15 გოლი გავიდა, "სტად დე ჟერლანზე" შეკრებილ გულშემატკივარს შეიძლება ჰქონდეს კიდეც ბევრი გოლის ხილვის იმედი. თუკი მონპელიემ "ბრესტთან" დაპირისპირება ვერ მოიგო, ხოლო **რემი გარდის** გუნდმა 3 ქულა დაიბევა, "ლიონი" ცხრილში პირველ ადგილზე გადავა. ეს ლოგიკურიც იქნება, რადგან ის ჩემპიონატში ერთადერთი გუნდია, ჯერ წაგების სიმწარე რომ არ უწნევია.

მასპინძლები ჯერჯერობით კარგად მიიწევენ წინ, რასაც ვერ ვიტყვით **დიდიე დეშამის** გუნდზე. "რენთან" ბოლო ტურში დამარცხების შემდეგ ვიცე-ჩემპიონთა დამრიგებელმა განაცხადა, გუნდში არანაირი კრიზისი არ არისო და მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში ჯერ არ მოუგია, რაღაც წილად მაინც მართალია. "მარსელმა" ეს ჩემპიონთა ლიგაში "ოლიმპიაკოსთან" გასვლით შეხვედრაში გამარჯვებითაც დაადასტურა. "სტად დე ჟერლანზე" კი იმავეს გამეორება ურთულესი იქნება. მასპინძლებს საკუთარ მოედანზე 17-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

---

ინტერვიუ
რიკარდო კარვალიო

## კარიერით კმაყოფილი

**„რეალის" 33 წლის პორტუგალიელი მცველი რიკარდო კარვალიო ამ ბოლო ხანებში სკანდალში გაეხვია (რაც მის კარიერაში უკიდურესად იშვიათად ხდება), ის „დეზერტირობისთვის" ერთი წლით მოკვეთეს. სამაგიეროდ, მას ყველაფერი კარგად აქვს კლუბში. რიკარდო „რეალ ტვ-ის" სტუმარი იყო...**

**- თქვენ „რეალში" ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი ხართ, ჟოზე მოურინიოს წინადადებას კი სიხარულით დათანხმდით, რას გრძნობდით მაშინ?**

- ყველაზე გამოცდილი კი არა, ყველაზე ბებერი ვარ. როცა გავიგე, რომ კლუბი ჩემით დაინტერესდა, ძალიან გამიხარდა. „ჩელსიში" 6 დიდებული წელინადი გავატარე, ამის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო კლუბში გადასვლა სულაც საოცნებო რამ იყო. აქ თავს დიდებულად ვგრძნობ.

**- თქვენ სულ თან დაყვებით მოურინიოს, პორტუგალიაში, ინგლისში, ახლა ესპანეთშიც. როგორ დაგეხმარათ ის საფეხბურთო კარიერაში?**

- ყოველდღიურად ყოველ დეტალს აქცევს ყურადღებას და ეს საქმე არ სწყინდება. მას სურს, რომ ყოველდღიურად მოუმატო, გაიზარდო, როგორც ფეხბურთელი. ძალიან ამაყი ვარ, რომ მოურინიოსთან, ამდენი ხანია, მიწევს მუშაობა.

**- რა არის მოურინიოს წარმატების საიდუმლო?**

- ის ძალიან ბევრს მუშაობს. ის ისე იქცევა, რომ შეცდომებს უბრალოდ არ დაუშვებ. თუკი დაუჯერებ, აუცილებლად გაიზრდები, როგორც ფეხბურთელი.

**- თქვენი კარიერით კმაყოფილი ხართ?**

- უსათუოდ. ადრე „პორტუში" თამაში იყო ჩემი ოცნების მწვერვალი, მას მერე უცხოეთშიც ძალიან ბევრს მივაღწიე, ახლა მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვარ.

**- „რეალი" ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდია, ხშირად ილებენ ბიჭები თქვენგან რჩევებს?**

- ჩვენ ძალიან ნიჭიერი ბიჭები გვყავს, მათ ყველაფერი გამოუვათ. ყოველთვის ვცდილობ, დავეხმარო რჩევებით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა III ტურის წინ

# ხორვატებმა ლევანტეს (რონალდოს) კოჭი გაუგორეს

## ვინ გაასწრებს უსაინ ბოლტს და ვის უნდა ბარსას პრეზიდენტობა

**ბარსელონელები ამბობენ, რომ დღეს „კამპ ნოუზე" ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ვნახოთ, ხოსეპ გვარდიოლას გუნდს მართლაც ძალიან ესაჭიროება „ოსასუნასთან" მოგება, თანაც რაც შეიძლება დამაჯერებლად. ამასობაში, ხორვატიამოვლილი „რეალი" ვალენსიაში ჩადის, ოღონდ, „ღამურების" ნაცვლად მოკრძალებულ „ლევანტეს" გაეჯიბრება. აბა, ჯერ რა დროს ლიდერობაზე ლაპარაკია - მაგრამ დაუმარცხებელი მხოლოდ სამი გუნდია, „რეალთან" ერთად 6-6 ქულა „ვალენსიას" და პრიმერაში დაბრუნებულ „ბეტისს" აქვთ. „ვალენსია" ხიხონში „სპორტინგს" ეწვევა, ხოლო ტურის ბოლო მატჩში სევილიელები ბილბაოს „ატლეტიკს" ეწვევიან, ცენტრალურ მატჩადაც სწორედ ეს დაპირისპირება მიგვაჩნია...**

### პიკე პაპის ნაკვალევზე ხტის

პარასკევს „სიუტატ ესპორტივაზე" „ბარსას" 18 ჯანმრთელი პირველგუნდელი და სამიც სარეზერვოს ფეხბურთელი ვარჯიშობდა. ჩემპიონთა ლიგის დრამატული მატჩის შემდეგ გვარდიოლამ გუნდი მხოლოდ ერთი დღით დაასვენა. საინტერესოა ალბათ, თუ ვინ დაამატა ამჯერად პეპმა B გუნდიდან - ესენია: **ესპინოსა**, **მუნიესა** და **ლობატო**. არა გვგონია, რომ რომელიმეს შანსი ჰქონდეს, თუნდაც „ოსასუნასთან" მატჩის განაცხადში მოხვედრის. ბუნებრივია, არსად ჩანდნენ **პიკე**, **სანჩესი** და **ინიესტა**. მათ სხვადასხვა სახის ტრავმა აქვთ და „ოსასუნასთან" თამაშის შანსი არა აქვთ.

სხვათა შორის, ეს არ იყო „ბარსას" ბოლო რეპეტიცია, დღეს დილით გუნდი კიდევ ერთხელ შეიკრიბება და მსუბუქ ვარჯიშს ჩაატარებს, 18 კაცს გვარდიოლა სწორედ მაშინ დაასახელებს.

სხვათა შორის, **მენდილიბარის** გუნდსაც 4 ქულა აქვს პირველი ორი ტურის შემდეგ, „ოსასუნამ" მადრიდში „ატლეტიკოსთან" ფრიად საპატიო ფრე ითამაშა და შინ „სპორტინგს" 2:1 მოუგო. ნავარელებს დაცვის ერთ-ერთი ბურჯი **სერხიო სანჩესი** ვარჯიშზე დაემტვრათ. არადა, პამპლონური გუნდის ლამის ნახევარი ისედაც ლაზარეთშია.

გვარდიოლა, ტრადიციულად მედიას წარუდგა, თუმცა თქვა, რომ არაფრის შეცვლას არ გეგმავს და არც სურს: *„მინდა, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა ისევ ისე იშრომონ, როგორც ბოლო დღეებში. თუ არ თამაშობ კარგად, ვერ მოიგებ, მაგრამ ხანდახან კარგად თამაშობ და მაინც ვერ იგებ. ამიტომაც მინდა, რომ ბიჭებმა ისე ითამაშონ, როგორც „რეალ სოსიედადთან" და „მილანთან" გაისარჯნენ. იტალიელებთან მატჩში 21-ჯერ დავარტყით კარისკენ, 70% ბურთის ფლობა და მოგების სურვილი გვქონდა. ეს თუ არ არის კარგი თამაში, მაშ რაა?!"*, - განაცხადა გვარდიოლამ. შორს მიმავალ გეგმებზე ლაპარაკისას პეპმა პირობა არ დადო, რომ ტიტულებს მოიგებს, მან თქვა, რომ ყველაფერს უნდა მიაღწიო ნაბიჯ-ნაბიჯ. მოკლედ, „ბარსას" თავკაცი მეტისმეტად ფრთხილობს: *„დღეს ისე ჩანს, რომ უსაინ ბოლტის მომგები მძლეოსნობაში ვერავინაა, მაგრამ ხომ ყველამ ვიცით, რომ ეს დროც მოვა? შეიძლება, მომავალში ვილაცამ ჩვენი მიღწევაც, 15-დან 12 ტიტულის მოგება, გააუმჯობესოს"*, - აცხადებს გვარდიოლა.

**ჟერარდ პიკე**, მოგეხსენებათ, ტრავმირებულია - მას ბევრი თავისუფალი დრო აქვს, რომელიც ეტყობა უცნაურ ფიქრებში გაატარა, შემდეგ კი თავისი წადილი „ელ მუნდო დეპორტივოს" გაანდო - პიკემ თქვა, რომ „ბარსაში" ფეხბურთელობის შემდეგაც სურს დარჩენა, მისი მიზანი კი კლუბის პრეზიდენტობა ყოფილა. სხვათა შორის, პიკეს ოჯახურ ტრადიციად მოსდგამს ბარსელონელობა - მისი პაპა, **ამადორ ბერნაბეუ** „ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტი იყო - შვილიშვილს სურს აჯობოს წინაპარს.



ლევანტე-რეალი, კრიშტიანო რონალდო ამჯერად ალბათ ვერ შეუტევს ვალენსიელებს

**ბარსელონა** (სავარაუდო შემადგენლობა): *ვალდესი - ალვეში, მასკერანო, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - პედრო, მესი, ვილია.*

### ყველაზე მომგებიანები მსოფლიოში

მადრიდის „რეალმა" ხორვატიაში უჩვეულო წითელი ფორმით ითამაშა, თუმცა ზედიზედ მესამე ოფიციალურ შეხვედრაში იმარჯვა. „რეალი" „ლევანტეს" ეწვევა, სტატისტიკა „სამეფო კლუბის" მხარესაა. ბოლო 9 საჩემპიონატო მარცხია, **ჟოზე მოურინიოს** გუნდი სტუმრად არ მარცხდება. რომელ წაგებაზეა ლაპარაკი, ამ ცხრიდან „რეალმა" 8 მოიგო და მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ, 30 გოლი გაიტანა და მხოლოდ 8 გაუშვა. ახლა პორტუგალიელის გუნდს ზედიზედ ორი საგარეო მატჩი ელის, ჯერ ვალენსიაში, შემდეგ კი „ელ სარდინიეროზე" ექტორ კუპერის „რასინგთან" (ესპანეთში შუა კვირაშიც ტურია).

ხუთშაბათს სამშობლოში დაბრუნებულმა გუნდმა დაისვენა, ვარჯიშები კი პარასკევს განაახლა. გუშინდელი ვარჯიში მოურინიომ დახურა, გარდა პირველი 15 წუთისა. ერთი სიახლე ისაა, რომ თურქი ახალწვეული **ჰამით ალთინთოპი** გუნდთან ერთად ვარჯიშს დაუბრუნდა. თუმცა მას „ლევანტესთან" ალბათ ვერ ვიხილავთ.

და აი, მთავარი სიახლე „რეალის" ბაზიდან - გუშინდელი ვარჯიში გამოტოვა **კრიშტიანო რონალდომ**. პორტუგალიელს ხორვატიაში კოჭი უტკენია. კვირამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ მადრიდელებს, შესაძლოა, ლიდერი ვალენსიაშიც დააკლდეთ. არადა, 26 წლის რონალდომ სეზონი დიდებულად დაიწყო - ორ ტურში 4 გოლი გაიტანა.

გუშინ მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობამ სიამაყით გამოაცხადა „რეალის" ფინანსური წარმატება - „სამეფო კლუბმა" ფინანსური წელიწადი (რომელიც 1 ივნისს დასრულდა) 480 მილიონ ევროიანი შემოსავლით დაასრულა. „რეალის" ოფიციალური საიტი იუწყება, რომ ერთ წელიწადში მსოფლიოს არც ერთ სპორტულ ორგანიზაციას არ მოუტანია ამხელა შემოსავალი.

ვალენსიაში „რეალს" არ ეყოლება **ნური შაჰინი** და **კაკა**, ორივე ტრავმირებულია, მასპინძლებს არ ეყოლებათ ორი გამოცდილი ფეხბურთელი, **ფარინოსი** და **დელ ორნო**. აქაც ტრავმებია დამნაშავე.

**რეალი** (სავარაუდო შემადგენლობა): *კასილიასი - სერხიო რამოსი, რიკარდო კარვალიო, პეპე, მარსელო - ჩაბი ალონსო, ფაბიო კოენტრაო - დი მარია, იოზილი, რონალდო (ან კალეხონი) - ბენზემა.*

### სხვადასხვა პოლუსზე

„ბაიერნისგან" გალახული „ვილიარეალი" ანდალუსიაში ჩადის, სადაც მას დებიუტანტი „გრანადა" ელის, გუნდი, რომელსაც პრიმერაში ჯერ არც ქულა აქვს მოპოვებული და არც გოლი გატანილი. სიმართლე ითქვას, „მალაგასთან" შეხვედრაში „გრანადამ" უსუსური შთაბეჭდილება დატოვა. და თუ ასე გააგრძელა, პრიმერაში დარჩენის შანსი არ ექნება.

ერთადერთი, რაც მომავალ მასპინძლებს ანუგეშებს ისაა, რომ მათ თითქმის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ. ანდალუსიელებს არ ეყოლებათ მცველი **დავიდ კორტესი** და მეკარე **ხუან ხოსე**. გუნდის ბომბარდირი **ალექს გეიხო** უკვე საერთო ჯგუფში ვარჯიშობს და შესაძლოა, ის „წყალქვეშა ნავთან" მატჩში ვიხილოთ. ვალენსიელთა რიგებში დისკვალიფიცირებულ **დიეგო ლოპესს** 40 წლის **სესარ სანჩესი** შეცვლის.

ასტურიაში ნულქულიანი „სპორტინგი" 6-ქულიან „ვალენსიას" მასპინძლობს. ცხრილის პოლუსებზე ყოფნის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ „ღამურებს" იოლი გასეირნება ელით. **ბრუნო** ისევ ვერ დაეხმარება **უნაი ემერის** გუნდს, ასე რომ, მარჯვენა ფლანგზე კვლავ მიგელი გაირჯება. სხვათა შორის, მიგელს უცნაური რამ დაემართა, მაშინ, როცა „ვალენსია" ბელგიაში მიემგზავრებოდა, მას ალერგიული შეტევა მოუვიდა, რის გამოც კლუბი ოდნავ მოგვიანებით გაემგზავრა „გენკთან" სათამაშოდ. ახლა ყველაფერი რიგზეა და მიგელი ითამაშებს. **რობერტო სოლდადო** შეეცდება დიდებულად დაწყებული სეზონი ასტურიაშიც სათანადოდ განაგრძოს. „სპორტინგს" არ ჰყავს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი - **ნაჩო კასესი**, ის ტრავმირებულია. საეჭვოა **ალბერტო ლორას** და **ივან ერნანდესის** თამაშიც.

ახალი სეზონის ყველაზე საინტერესო გუნდი „მალაგა" ბალეარის კუნძულებს ეწვევა და მიქაელ ლაუდრუპის „მალიორკას" გაეჯიბრება. ანდალუსიელებს არ ეყოლებათ მცველები, **ველიგტონი** და **სტადსგაარდი**. შესაძლოა, ამ თამაშში პირველად ვიხილოთ **რუუდ ვან ნისტელროისა** და **ჟულიო ბაპტიშტას** წყვილი შეტევაში, ეს კი ერთობ საინტერესო იქნება. „მალიორკას" კვლავ არ ეყოლება **მიშელ პერეირა**, ფრანგმა ამხანაგურ მატჩში დაიშავა მუხლი, მარტის თამაში საეჭვოა, ხოლო კაპიტანი **ნუნიეში** კიდევ 6-8 თვე ვერ ითამაშებს ფეხბურთს (თუკი საერთოდ შეძლებს გამოჯანმრთელებას).

**მარსელინოს** „სევილია" მე-2 ტურის გმირ გუნდს, „რეალ სოსიედადს" მასპინძლობს. ანდალუსიელებს ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავთ. მცირე მადრიდული დერბი „ალფონსო პერეს კოლისეუმზე" გაიმართება, სადაც „ხეტაფე" „რაიო ვალეკანოს" მასპინძლობს. მასპინძლებს მწვრთნელი **ლუის გარსია** დააკლდება, რომელსაც „რეალთან" თამაშში გაძევებისთვის 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. „სარაგოსას" ახალწვეულის, **ედუ ორიოლის** თამაში საეჭვოა, მაგრამ ეს არაფერია „ესპანიოლის" დანაკარგთან, **მაურისიო პოჩეტინოს** ლამის ნახევარი გუნდი აკლია, თუმცა არგენტინელი თავკაცი ამას უკვე მიეჩვია. „ატლეტიკო" კუპერის „რასინგთან" აშკარა ფავორიტია. მასპინძლებს კვლავ არ ეყოლებათ **დიეგო კოშტა**, მაგრამ თავდასხმაში მადრიდელებს უკვე აღარ უჭირთ. „რასინგს" დისკვალიფიცირებული **პაპე დიოპი** დააკლდება, მაგრამ არის შანსი, რომ გუნდს **გონსალო კოლსა** დაუბრუნდეს.

### ცენტრალური მატჩი

„სან მამესი" საინტერესო მატჩს ელის, რომელიც, ბასკ ქომაგთათვის სამწუხაროდ, **ანდერ ერერას** გარეშე ჩაივლის. ანდერს წინა ტურში მუხლმა უღალატა და „ბილბაოს" ახალწვეული 2 თვე ვერ დაეხმარება თავის გუნდს. **მარსელო ბიელსას** შემადგენლობის გადაწყობა მოუწევს, რადგან ფეხბურთელები ევროპალიგაში ასპარეზობის გამო გადაიღალნენ. ვნახოთ, ათამაშებს თუ არა არგენტინელი **ანდონი ირაოლას**. ბიელსამ, რატომღაც აითვალწუნა ესპანეთის ნაკრების წევრი და პირველ ორ ტურში არ ათამაშა, თუმცა ისიც აღიარა, რომ შემადგენლობის დაყენებაში შეცდა. „ბეტისის" თავკაცი **პეპე მელი** მიიჩნევს, რომ გუნდის ლიდერობა დროებითი მოვლენაა და პირველი რამდენიმე ტური ცხრილისთვის შეხედვაც კი არ ღირს. „ბეტისს" 1 თვით დააკლდა **გონსალო კასტრო**, საეჭვოა ახალწვეულ **როკე სანტა კრუსის** თამაშიც. ვფიქრობთ, დიდი შანსია, ანდალუსიელებმა პირველი ქულები დაკარგონ ჩემპიონატში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

#### დღეს

**სპორტინგი-ვალენსია 20:00**

**ტრავმა:** ბილიჩი, ლორა, კასესი - ბრუნო

**გრანადა-ვილიარეალი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** დ. ლოპესი (ვილიარეალი)

**ტრავმა:** დ. კორტესი, ხუან ხოსე - საპატა, პერესი, ა. ლოპესი

**მალიორკა-მალაგა 20:00**

**ტრავმა:** მარტი, პერეირა, ნუნიეში - ველიგტონი, სტადსგაარდი

**ბარსელონა-ოსასუნა 22:00**

**ტრავმა:** პიკე, სანჩესი, ინიესტა - ეჩაიდე, ნეკუნამი, ანუნზიატა (?), რიესკო, სერხიო

**სევილია-რეალ სოსიედადი 00:00**

**ტრავმა:** ელუსტონდო, ვიგერა, ბერგარა (სოსიედადი)

#### ხვალ

**ხეტაფე-რაიო ვალეკანო 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლუის გარსია (ხეტ, მწვრთნელი)

**ტრავმა:** კასტრო, პედრო ლეონი, ლოპო, ალბერტაცი, ლოპესი, გავილანი (ხეტაფე)

**სარაგოსა-ესპანიოლი 18:00**

**ტრავმა:** ორიოლი (?) - ალბინი, დატოლო, კამენი, რუი ფონტე, ამატი

**ატლეტიკო-რასინგი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** დიოპი (რასინგი)

**ტრავმა:** ტორეხონი, კენედი, კოლსა (რასინგი)

**ლევანტე-რეალი 22:00**

**ტრავმა:** ხორდა, ფარინოსი, დელ ორნო - შაჰინი, ალთინთოპი, კაკა

**ბილბაო-ბეტისი 00:00**

**ტრავმა:** კასტილიო, ანდერი, ოსიო - როდრიგესი, მარიო, ტოშიჩი

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 10-2 | 6 |
| 2. ვალენსია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 3. ბეტისი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4. ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 7-2 | 4 |
| 5. სოსიედადი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6. სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 7. ოსასუნა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8. მალაგა | 2 | 1 | 0 | 1 | 5-2 | 3 |
| 9. ესპანიოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10. მალიორკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 11. ვალეკანო | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12. ლევანტე | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 13. ბილბაო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 14. რასინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 15. ატლეტიკო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 16. ხეტაფე | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 17. ვილიარეალი | 2 | 0 | 1- | 1 | 2-7 | 1 |
| 18. სარაგოსა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-6 | 1 |
| 19. სპორტინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 20. გრანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

ბომბარდირები: 4 - სოლდადო (ვალენსია), **რონალდო** (რეალი); 3 - აგირეჩე (რეალ სოსიედადი), **ნეგრედო** (სევილია), **მიკუ** (ხეტაფე)

უცხოური სპორტი

ფორმულა 1



რედ ბულის ორი თაობა

# კულტჰარდი: სება ყველა დროის საუკეთესო იქნება

გაზეთ „ტელეგრაფის“ ტრადიციულ საავტორო სვეტში შოტლანდიელმა **დევიდ კულტჰარდმა** კომენტარი გაუკეთა **სებასტიან ფეტელის** მორიგ გამარჯვებას...

„კიდევ ერთი რბოლა და სებასტიანის კიდევ ერთი გამარჯვება. სეზონის ფინალამდე ექვსი რბოლით ადრე მან უფრო მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე გასულ სეზონში ერთად აღებული. უახლოეს მდევართან - ფერნანდო ალონსოსთან 112-ქულიანი ლიდერობა პრაქტიკულად მეორე ტიტულს უნაღდებს გერმანელს.

ვილაცებს დღემდე ეჭვი ეპარებათ სებასტიანის ოსტატობაში, მიაჩნიათ, რომ მას გაუმართლა „რედ ბულში“ მოხვედრით და გამარჯვებებს მხოლოდ იმიტომ აღწევს, რომ პოულიდან იღებს სტარტს. ჩემი პირადი აზრით კი ჩვენ თვალს ვადევნებთ ფორმულა 1-ის ყველა დროის საუკეთესო პილოტის ფორმირებას. მხოლოდ დრო გვიჩვენებს, მართალია თუ არა ჩემი შეფასება, მაგრამ ეჭვს არავისში არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ სებასტიანი რბოლიდან რბოლამდე პროგრესირებს აბსოლუტურად ყველა ასპექტში.

ამ კომპლიმენტს არანაირი კავშირი არ აქვს ჩემს „რედ ბულთან“ კონტრაქტთან. მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობ, რის ხარჯზე მიაღწია სებასტიანმა ამ წელს მნიშვნელოვან პროგრესს.

არ მგონია, რომ ფორმულა 1-ის დონე ოდესმე ასეთი მაღალი ყოფილიყო. ფერნანდო ალონსო, ლუის ჰემილტონი, ჯენსონ ბატონი, მარკ უებერი - ესენი უმაღლესი დონის პილოტები არიან. ფორმულა 1-ში დაბრუნებული მიხაელ შუმახერი თავად დარწმუნდა ამაში. და აქ ჩამოთვლილ პილოტებს სებასტიანი მუდმივად ამარცხებს.

ბევრი სვამს კითხვას - გველოდება თუ არა დომინირების კიდევ ერთი პერიოდი, როგორიც რამდენიმე წლის წინ შუმახერს ჰქონდა? არ მგონია. მიხაელი ფანტასტიკურად საიმედო მანქანის საჭესთან იჯდა, შეუზღუდავი რაოდენობით ტესტებს ატარებდა, მის გუნდს კი ყველაზე დიდი ბიუჯეტი ჰქონდა. „ფერარისა“ და „მაკლარენს“ აქვთ რესურსი იმისთვის, რომ „რედ ბულს“ დაეწიონ - ბოლო რამდენიმე თვეა ისინი სისწრაფეში თითქმის აღარ აგებენ, „მაკლარენის“ ბოლიდები კი, სავარაუდოდ, ყველაზე სწრაფები იყვნენ სპაზე. თუმცა მათ შედეგს ვერ მიაღწიეს, სებასტიანმა კი ეს შეძლო.

გახსოვთ, რომ მიხაელის დომინირების პერიოდში რბოლები ფაქტობრივად მე-40 წრეზე სრულდებოდა. თუ შუმი ბოლო პიტსტოპის შემდეგ ლიდერობდა, მის გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. დღევანდელმა რეგლამენტმა ყველაფერი შეცვალა - საბურავებთან მუშაობა, ტრასაზე სწორი გადაწყვეტილების მიღება, გუნდთან ეფექტური კავშირი, გასწრებები, სიჩქარე - ყველა ეს თვისება ძალიან მნიშვნელოვანია პილოტისთვის. და მათი შერწყმის წყალობით სებასტიანს უპირატესობა გააჩნია“, - წერს ბრიტანელი პილოტი.

# დომენიკალი: ეს ბოლო ჩაგდებული სეზონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის გრანპრის შემდეგ „ფერარის“ შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** ინტერვიუ მისცა „ლა რეპუბლიკას“, რომელშიც განაცხადა, რომ წელს მისი გუნდი ბოლო წარუმატებელ სეზონს ატარებს.

„იმედი მაქვს, რომ ეს ჩვენი ბოლო წარუმატებელი სეზონია. ჟან ტოდტის ხელმძღვანელობით გუნდმა ბევრი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მასაც დასჭირდა იმის დრო, რომ მოგება ესწავლა. მეც იმავეს მიღწევა მინდა და მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ. ჩვენ რესტრუქტურიზაცია ჩავატარეთ და უკვე დღეიდან ჩავუყარეთ საფუძველი ახალ გამარჯვებებს. მართალია, „ფერარის“ არ ჰყავს ედრიან ნიუი, მაგრამ ჩვენი ძალა არა კონკრეტულ სპეციალისტში, არამედ გუნდურ მუშაობაშია.

მწვერვალზე ისევ ასასვლელად ფილოსოფიის შეცვლა, ფანტაზიის გამოყენება და რისკი გვჭირდება - მხოლოდ ასე შეიძლება ფორმულა 1-ის ფანტასტიკურად კონკურენტულ სამყაროში წარმატების მიღწევა. ამიტომაც მოვიწვიეთ პეტ ფრაი. ნებისმიერი ინოვაცია - ეს რისკია, პირველ რიგში, საიმედოობის მხრივ და ამ ფაქტორს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ძალიან მნიშვნელოვანია სეზონის კარგად დაწყება. გასულ წელს ალონსომ ტიტული არა ბოლო რბოლაში, არამედ სასტარტო ეტაპებზე წააგო, როცა ვერ მოვიპოვეთ ქულები, რომელიც ჩვენ გვეკუთვნოდა. წელს კიდევ უფრო ცუდად დავიწყეთ - მელბურნში მივხვდით, რომ ლიდერებთან წრეზე 1.4 წამს ვაგებდით. ეს ნამდვილი შოკი იყო, რადგან ერთი თვით ადრე, თებერვლის ტესტებზე ყველაფერი წესრიგში იყო, მარტში კი ძალიან ჩამორჩენილები აღმოვჩნდით.

ალონსო არ არის დამნაშავე იმაში, რომ ტიტულისთვის ბრძოლა წელს მოკლებულია შარშანდელის მსგავს ინტრიგას - ის ტრასაზე მაქსიმალურს აკეთებს, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით მისთვის კონკურენტუნარიანი მანქანის მიცემა. გუნდმა შეცდომები დაუშვა და მომდევნო სეზონში ეს თავიდან უნდა ავიცილოთ.

უკვე აქტიურად ვმუშაობთ 2012 წლის მანქანაზე, რამდენიმე სიახლეს ვტესტავთ, რომელიც, მაგალითად, საბურავებთან უკეთ მუშაობის საშუალებას მოგვცემს. ნებისმიერ პირობებში საბურავების ეფექტური გამოყენება - უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და სეზონის დასრულებამდე წარმოქმნილ პრობლემებზე სრულ კონცენტრაციას მოვახდენთ.



ფერარის დიდი გეგმები აქვს

დარჩენილ რბოლებში გუნდი აგრესიულ ტაქტიკას მიმართავს, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყველაფერი გადაწყვეტილია. ალონსოს სჯერა ჩვენი პროგრესის და ამიტომაც გააფორმა კონტრაქტი 2016 წლამდე.

ფელიპე მასა? ის კვლავინდებურად სწრაფია. ბრაზილიელს 2012 წლის დეკემბრამდე აქვს კონტრაქტი და მისი ადგილი იმ მომენტამდე ხელშეუხებელია“, - ამბობს დომენიკალი.

■ ■ ■

„ფერარის“ შეფი კი ამბობს, რომ მასა მინიმუმ ერთ[illegible] ხელშეუხებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, აქედანვე ეძებს ბრაზილიელი პილოტის შემცვლელს. ამ მიზნით „სკუდერიამ“ ბოლო დღეებში საკუთარ აკადემიაში დაპატიჟა „ზაუბერის“ პილოტი **სერხიო პერესი**.

21 წლის პილოტმა „ფერარის“ 2009 წლის ბოლიდით 46 წრე გაიარა და იტალიელთა შექებაც დაიმსახურა.

„სერხიო მეტად აგრესიული პილოტი ყოფილა და თან სწრაფად შეეგუა მისთვის სრულიად უცნობ მანქანას, - განაცხადა აკადემიის ხელმძღვანელმა **ლუკა ბალდისერიმ**. - თავისი ასაკისთვის ის საკმაოდ ჩამოყალიბებული პილოტია“.

ჰოკეი

# სელიანე აგრძელებს



ტეემუ სელიანე

ლეგენდარულმა ფინელმა ფორვარდმა **ტეემუ სელიანემ** კარიერის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო. 2011-12 წლების სეზონში ის კვლავაც „ანაჰაიმ დაქსის“ ღირსებას დაიცავს, რომლის შემადგენლობაში 2005 წლიდან გამოდის.

41 წლის სკანდინაველი მუხლის დაზიანების გამო აპირებდა კარიერის დასრულებას, მაგრამ ამ ზაფხულს ტრავმა მოირჩინა და დიდ სპორტში დარჩენა გადაწყვიტა.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სელიანემ განაცხადა, რომ უკვე ერთი თვეა ციგურებით სრიალებს და მუხლს აღარ შეუწუხებია. ფინელი ერთწლიანი კონტრაქტის მიხედვით ოთხ მილიონ დოლარს მიიღებს.

ტეემუმ ისიც დაამატა, რომ მომავალი სეზონი ბოლო იქნება მის კარიერაში. „ოდესღაც უარი უნდა თქვა სპორტსმენობაზე“, - განაცხადა ფინელმა.

„გასულ სეზონში ტეემუმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას კვლავინდებურად აქვს მოტივაცია და ოსტატობაც არ დაუკარგავს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მხოლოდ ჩვენს გუნდში სურს თამაში“, - ამბობს „ანაჰაიმის“ გენერალური მენეჯერი **ბობ მიურეი**.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სელიანეს 1400 ქულაზე მეტი აქვს დაგროვილი (პლეი ოფის ჩათვლით). შარშან მან 73 მატჩში 80 ქულა (31+49) მიითვალა, კიდევ შვიდი ქულა (6+1) პლეი ოფის მატჩებში მოიპოვა. NHL-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში სკანდინაველი მე-18 ადგილს იკავებს, ერთხელ აქვს მოპოვებული სტენლის თასი, 10-ჯერ უთამაშია „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ (1998 წელს „ოლ სტარტის“ MVP გახდა). ტეემუ „ანაჰაიმის“ ყველა დროის ლიდერია გოლების, პასების, ქულების, მატჩების, რიცხობრივ უპირატესობაში გოლებისა და ჰეთ-თრიკების რაოდენობით.

სელიანეს სამი მედალი აქვს მოპოვებული ოლიმპიადებზე (2006 - ვერცხლი, 1998, 2010 - ბრინჯაო) და ორი მსოფლიოს ჩემპიონატებზე (1999 - ვერცხლი, 2008 - ბრინჯაო).

■ ■ ■

სელიანესგან განსხვავებით, მომავალი კარიერის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია NHL-ის კიდევ ერთ ვეტერანს **მაიკ მოდანოს**. ყველა დროის ყველაზე შედეგიანი ამერიკელი ჰოკეისტი, რომელიც შარშან „დეტროიტ რედ უინგზში“ თამაშობდა, საბოლოო გადაწყვეტილებას სექტემბრის ბოლოს მიიღებს.

„რთულია დიდი ჰოკეიდან წასვლა, მით უმეტეს, რომ ამ თამაშით ბავშვობიდან ხარ დაკავებული. კარგად უნდა გაერკვიო ყველაფერში“, - განაცხადა მოდანომ ESPN-თან კომენტარისას.

# რა უნდოდა კიმის უილიამსის ბაზაზე?

არ გაგიკვირდეთ, თუ უახლოეს პერიოდში ფინელი **კიმი რაიკონენის** ფორმულა 1-ში დაბრუნების შესახებ ახალი ჭორების ტალღა აგორდა. საქმე ისაა, რომ ამ დღეებში მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონმა გროუვში ბრიტანული საჯინიბოს - „უილიამსის“ ბაზა მოინახულა.

ფინური ტელეკომპანიის MTV3-ის ინფორმაციით, გუნდის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ასეთ ვიზიტს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ის კერძო ხასიათისა იყო და სხვა კომენტარი ამ თემასთან დაკავშირებით არ იქნება.

ერთის მხრივ, საკმაოდ მოულოდნელი ახალი ამბავია, მაგრამ, მეორეს მხრივ, ნამდვილად არ არის აზრს მოკლებული.

სახელოვანი ბრიტანული საჯინიბო ხანგრძლივი კრიზისიდან გამოსვლას აპირებს და ამ მიზნით მომავალ სეზონში საკუთარ ბოლიდებს „რენოს“ ძრავებით გააძლიერებს, ხოლო ახალი შასის შექმნაზე „მაკლარენის“ ყოფილი მთავარი კონსტრუქტორი **მაიკ კოფლენი** იზრუნებს. „უილიამსში“ არ ჩქარობენ **რუბენს ბარიკელოსთან** კონტრაქტის გახანგრძლივებას, მაგრამ გუნდს კარგი პილოტი ძალიან სჭირდება. MTV3-ის კომენტატორის აზრით, გროუვში მზად არიან განიხილონ კიმისთან თანამშრომლობის შესაძლებლობა.

ვარაუდი მართლაც ბევრია, თუმცა ცნობილია, რომ რაიკონენს მომავალი სეზონისთვის უკვე აქვს გეგმები: ლე მანზე გამოსვლას აპირებს და აგვისტოს ბოლოს უკვე ჩაატარა ტესტები „პეჟოს“ დიზელის სპორტპროტოტიპზე

ტრამპლინი

# მალიში ავარიას გადაურჩა

ლეგენდარული პოლონელი ტრამპლინიდან მხტომელი **ადამ მალიში** ავტოავარიაში მოხვდა. მან თავისი მანქანით საათში 180 კილომეტრი განავითარა და ინციდენტიც სწორედ ამ დროს მოხდა. მოგეხსენებათ, პოლონელი „დაკარის“ რალი-რეიდში აპირებს მონაწილეობის მიღებას და ახლა აქტიურად ვარჯიშობს. საბედნიეროდ, ავარია ტრავმის გარეშე დასრულდა - მალიშს ერთი ნაკაწრიც არ დარჩენია.

ადამ მალიში ოლიმპიური თამაშების ოთხგზის პრიზიორია (სამი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო), ოთხ-ოთხჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოს თასის მფლობელი. სულ კი მსოფლიოს თასზე მის ანგარიშზე 92 პოდიუმი მოდის და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ფინელ **იანე აჰონენს** ჩამორჩება (108).

პოლონელმა წელს მაისში დაასრულა კარიერა და განაცხადა, რომ ავტოსპორტში აპირებს ძალების მოსინჯვას, თუმცა ჯერ ამ მხრივ პრობლემები აქვს.



ადამ მალიში

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი



მომავალი მეტოქეები

# გასაუბრება ბრძოლის წინ

მომავალ უქმეებზე მთავარი საკრივო შეხვედრა ლას-ვეგასში გაიმართება, სადაც ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონი **ვიქტორ ორტისი** ხუთ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, პროფესიულ კრივში დაუმარცხებელ **ფლოიდ მეივეზერს** შეხვდება.

გუშინ, ბრძოლისწინა ბოლო პრესკონფერენცია გაიმართა და მოკრივეებმა მომავალ ჩხუბთან დაკავშირებით პუბლიკას საკუთარი აზრები და პროგნოზები გაუმხილეს.

24 წლის ორტისი დარწმუნებულია, რომ მეივეზერის დრო გავიდა და ის ამას შაბათს რინგზე დაამტკიცებს. „გასწავლი, რას ნიშნავს კარიერაში პირველი დამარცხება! - განუცხადა ორტისმა მეტოქეს. - მე ორი ნაგება მაქვს. ის 41 მოკრივე, რომელიც აქამდე დაამარცხე, მე არ მგავდა. მათ არ შეეძლოთ რინგზე ისე გადაადგილება, როგორც ამას მე ვაკეთებ, ზოგიერთი შეშინებული იყო... მაგრამ მე ასეთი არ ვარ და ვაპირებ რინგზე უკანალით დაგცე“.

თუმცა 34 წლის მეივეზერი, როგორც ყოველთვის, თავის თავში დარწმუნებულია. „თქვენ კარგად იცით ჩემი გამარჯვებების ჩამონათვალი, - განაცხადა მეივეზერმა. - ჩემს შესახებაც ყველაფერი იცით. იცნობთ ყველას, ვისთანაც მე მიჩხუბია. ასე რომ, ტრაბახი არ მჭირდება. ვაპირებ, რინგზე წინასწარ შემუშავებული გეგმით ვიმოქმედო. ყველა რაუნდის ჩატარება საჭირო არ გახდება“.

„შაბათს რინგზე ძველ მეივეზერს იხილავთ და ბოლომდე დარწმუნებული ვარ, ორტისიც არ იქნება განსხვავებული, - აგრძელებს ფლოიდი. - მაგრამ ჩვენს შორის განსხვავება ის არის, რომ მე შემიძლია ტაქტიკის გადაწყობა და დროულად ადაპტირება. თუ არავის სჯერა ჩემი, სამაგიეროდ, მე მჯერა მეივეზერის. ორტისის მწვრთნელმა თქვა, რომ მე „ბინძური მოკრივე“ ვარ. მინდა ვკითხო მას, საიდან მოიტანა, რომ კრივი სუფთა სპორტია. კრივი - ბინძური სპორტია. ასეთია მისი არსი“.

# ჰეის ისევ გრძელი ენა აქვს

ბრიტანელმა **დევიდ ჰეიმ** გადაიფიქრა ოქტომბერში კარიერის დასრულება და ძმები **კლიჩკოებისგან** უფროსის - **ვიტალის** ბრძოლაში გამოწვევისთვის ნაცად ხერხს მიმართა: WBA-ის ყოფილი ჩემპიონი კვლავ შეურაცხმყოფელ ფრაზებს ისვრის უკრაინელი მოკრივის მისამართით.

შეგახსენებთ, რომ დევიდმა WBA-ის ტიტული **ვლადიმერ კლიჩკოსთან** ბრძოლაში დაკარგა, რის შემდეგაც რევანში ან ვიტალი კლიჩკოსთან შეხვედრა მოითხოვა. თავად WBC-ის ჩემპიონი უკრაინელი ჰეიმეიკერს მისი გრძელი ენისთვის შურისძიებას ჰპირდება, მაგრამ ბრიტანელი მაინც არ ცხრება.

„უფროს კლიჩკოს ნოკაუტში ჩავაგდებ, მე მას ყბას „ჩამოვულებ“. ვიტალი, შენთან ჩხუბი მინდა და თუ ნამდვილი მამაკაცი ხარ, უნდა დათანხმდე ამ გამოწვევას. ჩემთვის სულერთია, ეს სად მოხდება, თუნდაც მთვარეზე შევხვდები მას.

ვიტალისა და ტომაშ ადამეკის ბრძოლის დროს კინალამ ჩამეძინა, რადგან ეს ძალიან მოსაწყენი სანახაობა იყო. ერთადერთი ამაღელვებელი მომენტი გახლდათ მერვე რაუნდში კლიჩკოს რინგზე დაცემა.

ვლადიმერი ჩემთან ბრძოლის დროს გამირბოდა. რა თქმა უნდა, ვიტალის მეტი ავტორიტეტი აქვს, მაგრამ ის უბრალოდ შეშინებული კურდღელია.

მესმის, რომ მას გაბარიტებით ჩამოვრჩები, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, დარტყმა შემიძლია. ორივე ძმაზე ერთად აღებული ძლიერი დარტყმა მაქვს. თანაც უფრო სწრაფი და მოქნილი ვარ.

თუ ვიტალი ბრძოლას მოინდომებს, მაშინ უნდა დაუკავშირდეს ჩემს მენეჯერებს და მიიღოს კონტრაქტი. მე დაველოდები. ჰეისა და ბებერი კლიჩკოს ბრძოლა უდიდეს აჟიოტაჟს გამოიწვევს“, - თავის სტილში მონოლოგი შემოგვთავაზა ბრიტანელმა მოკრივემ.

■ ■ ■

ამასობაში, თითქმის გარკვეულია ვლადიმერ კლიჩკოს მორიგი მეტოქე. როგორც უკვე ვწერდით, უკრაინელი აპირებდა ფრანგ **ჟან-მარკ მორმეკთან** კონტრაქტის გაფორმებას და როგორც ჩანს, მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას მიაღწიეს. გამოცხადდა, რომ უკრაინელი და ფრანგი 10 დეკემბერს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში შეხვდებიან ერთმანეთს.

39 წლის მორმეკი რამდენიმე წლის განმავლობაში ფლობდა ტიტულს პირველ მძიმე წონაში, 2009 წელს კი სუპერმძიმე წონაში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება - ამ მომენტისთვის ახალ კატეგორიაში ფრანგს სამი გამარჯვება აქვს მოპოვებული.



დევიდ ჰეი

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვერონა-პადოვა | 2:2 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ერკულესი-ბარსელონა B | 2:1 |
| **გერმანია** | |
| ფრაიბურგი-შტუტგარტი | 1:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აინტრახტი-ჰანზა | 4:1 |
| აუე-ფორტუნა | 2:4 |
| ინგოლშტადტი-დინამო | 4:2 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ვეენი-ბურგჰაუზენი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| აინტრახტი A-ნიურნბერგი A | 2:1 |
| ბაიერნი (ა)-კარლსრუე A | 1:2 |
| ზონენჰოფი-მემინგენი | 1:1 |
| მიუნხენი A-ინგოლშტადტი A | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-ამიენი | 0:0 |
| არლი-კლერმონი | 0:2 |
| შატორუ-ნანტი | 2:2 |
| გინგამი-ტრუა | 0:0 |
| ლავალი-რეიმსი | 3:2 |
| სედანი-ჰავრი | 3:0 |
| ტური-ისტრი | 1:2 |
| ლანსი-ბულონი | 2:0 |
| ბასტია-მონაკო | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ნიიმეგენი-ბრედა | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-ჰელმონდი | 2:1 |
| დენ ბოში-სპარტა | 0:1 |
| დორდრეხტი-კამბური | 2:1 |
| ეინდჰოვენი-იგლზი | 1:0 |
| ცვოლე-ვოლენდამი | 3:1 |
| მაასტრიხტი-ფორტუნა | 3:1 |
| ოსი-აპელდოორნი | 1:0 |
| ვილემი-ტელსტარი | 3:2 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრიუსელი-ბორინაჟი | 1:3 |
| **პორტუგალია** | |
| ჟილ ვისენტე-ოლანენსე | 1:1 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| რანდერსი-ვიბორგი | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| ბრანი-ჰაუგესუნდი | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| ტურკუ-იარო | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰარტბერგი-ვენა | 2:0 |
| ლინცერი-ბლაუ ვაისი | 1:1 |
| სტ. პოლტენი-გრიოდიგი | 2:0 |
| სტ. ანდრა-ლუშტენაუ | 2:0 |
| ავსტრია (ლ)-ალტახი | 0:5 |
| **შვედეთი** | |
| გაის-ნორჩოპინგი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ასირისკა-ლანდსკრონა | 1:2 |
| **შვეიცარიის თასი** | |
| ჰერგისვილი-ლოკარნო | 1:3 |
| ლანგენტალი-ივერდონი | 1:3 |
| **თურქეთი** | |
| გაზიანთეფი-ფენერბაჰჩე | 1:3 |
| ქაისერი-ანთალია | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ადანა-რიზე | 0:2 |
| **ირლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| შელბურნი-ლიმერიკი | 1:2 |
| უექსფორდი-მერვუ | 0:3 |
| **ირლანდიის თასი** | |
| კორკი-სტ. პატსი | 0:1 |
| დანდალკი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-ებერსტვიტი | 1:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-დუკლა | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| იჰლავა-ვლაშიმი | 2:0 |
| **უკრაინა** | |
| ვოლინი-მეტალურგი (დ) | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| ვიძევი-ზაგლებე | 0:0 |
| ლეხი-იაგელონია | 4:1 |
| **ხორვატია** | |
| ზაგრები-შიბენიკი | 1:1 |
| სლავენი-ლუჩკო | 1:1 |
| ინკერი-რიეკა | 1:0 |
| **უნგრეთი** | |
| დიოშდიორი-კაპოშვარი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| მიოვენი-სპორტული | 2:1 |
| ჩახლაული-კონკორდია | 0:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ვიდიმა-კალიაკრა | 1:0 |
| **ლატვია** | |
| გულბენე-დაუგავა | 1:2 |
| **არგენტინა** | |
| ინდეპენდიენტე-კოლონი | 0:1 |
| **ჩილე** | |
| უაჩიპატო-უნიონი | 2:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევრობასკეტი** | |
| საბერძნეთი-სერბეთი | 87:77 |
| ესპანეთი-მაკედონია | 92:80 |
| საფრანგეთი-რუსეთი | 79:71 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ავსტრია** | |
| ვენა-ვილახი | 3:4 |
| ოლიმპია-აკრონი | 4:3 |
| ზნოიმო-ლინცი | 7:5 |
| ზაგრები-გრაცი | 2:3 |
| ზალცბურგი-ფეჰერვარი | 5:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ტრშინეცი | გადაიდო |
| ვიტკოვიცე-პარდუბიცე | გადაიდო |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | გადაიდო |
| ბუდეიოვიცე-ბოლესლავი | გადაიდო |
| ზლინი-სლავია | გადაიდო |
| ბრნო-კლადნო | გადაიდო |
| სპარტა-პლზენი | გადაიდო |
| **ფინეთი** | |
| ტაპარა-ილვესი | 7:8 |
| ესეტი-ლუკო | 2:4 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ნიურნბერგი | 5:2 |
| ვოლფსბურგი-შტრაუბინგი | 2:0 |
| კიოლნი-ინგოლშტადტი | 1:2 |
| ჰამბურგი-მანჰაიმი | 4:2 |
| აუგსბურგი-დიუსელდორფი | 2:1 (ო) |
| ჰანოვერი-იზერლონი | 1:2 |
| კრეფელდი-მიუნხენი | 2:4 |
| **კჰლ** | |
| ს. იულიაევი-აკ ბარსი | 5:4 |
| მეტალურგი (მ)-ტრაქტორი | 5:1 |
| ავტომობილისტი-ნეფტიხიმიკი | 3:1 |
| ბარისი-ავანგარდი | 4:5 (ბ) |
| დინამო (მნ)-ტორპედო | 0:3 |
| პოპრადი-იუგრა | 1:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ზვოლენი | 1:4 |
| მარტინი-სკალიცა | 5:2 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 3:1 |
| სლოვანი-პოპრადი | 6:2 |
| კოშიცე-ნიტრა | 3:2 |
| **შვეიცარია** | |
| ფრიბურგი-რაპერსვილი | 4:1 |
| ლუგანო-კლოტენი | 3:4 (ბ) |
| ამბრი-ლანგნაუ | 4:3 |
| დავოსი-ცუგი | 1:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **დევისის თასი** | |
| ნადალი-გასკე | 6:3, 6:0, 6:1 |
| ფერერი-სიმონი | 6:1, 6:4, 6:1 |
| დელ პოტრო-ტიპსარევიჩი | 7:5, 6:3, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-ნალბანდიანი | გადაიდო |
| **WTA. ტაშკენტი** | |
| პერვაკი-უ. რადვანსკა | 6:2, 6:4 |
| კუდრიავცევა-**ბირნეროვა** | 6:3, 3:6, 0:6 |
| **WTA. კვებეკი** | |
| **პაჩეკი**-უოტსონი | 6:4, 7:6 |
| ჰანტუხოვა-**ერაკოვიჩი** | 4:6, 4:6 |

## TV პროგრამა

### 17 სექტემბერი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. ფრაიბურგი-შტუტგარტი.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. IV ტური. სანდერლენდი-ჩელსი.
**14:00** ესპანეთის ჩემპიონატი. IV ტურის წინ.
**14:30** იტალიის ჩემპიონატი. III ტურის წინ.
**15:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტურის წინ.
**15:45** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. ბლექბერნი-არსენალი (LIVE).
**18:00** სუპერკოლაჟი.
**20:00** იტალია. მატჩის ისტორია.
**20:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტურის წინ.
**21:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტური. ტულუზა-ბორდო (LIVE).
**23:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტური. ლილი-სოშო (LIVE).
**01:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIV ტური. სან პაულუ-სეარა (LIVE).

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ იუნ.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. მაიამი-დალასი.
**14:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ენდი როდიკი-მილოშ რაონიჩი. მემფისი. აშშ.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. ჰამბურგი-ბორუსია (მ) (LIVE).
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**20:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. მაიამი-დალასი.
**22:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. III ტური. ინტერი-რომა (LIVE).

**I არხი**

**07:25** რაგბი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-რუმინეთი. ახალი ზელანდია (LIVE).
**12:25** რაგბი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ავსტრალია-ირლანდია. ახალი ზელანდია (LIVE).
**17:55** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**19:55** ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-ვალენსია (LIVE).
**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა (LIVE).
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-სოსიედადი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**16:40** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. ჩეხეთი (LIVE).
**20:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერი-მაინცი (LIVE).
**05:00** პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ფ. მეივეზერი-ვ. ორტისი. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**16:25** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ბალები. საკვალიფიკაციო ტურნირი. როსტოვი-ვიბორგი. დანია (LIVE).
**20:25** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 60, 84, 96 კგ. ფინალები. თურქეთი (LIVE).
**22:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა (LIVE).
**00:55** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-სეარა (LIVE).

**HTB-პლუსი ჩვენი ფეხბურთი**

**13:40** რუსეთის ჩემპიონატი. ტომი-კრასნოდარი (LIVE).
**16:10** რუსეთის ჩემპიონატი. ვოლგა-ნალჩიკი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**13:00** WTA-ის ტური. ფინალი. ტაშკენტი. უზბეკეთი (LIVE).
**16:50** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთი-საფრანგეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**03:30** WNBA. პლეი ოფი (LIVE).

**SPORT+**

**14:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. პლეი ოფი. რუსეთი-ბრაზილია (LIVE).
**17:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი (LIVE).
**19:40** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. ჩეხეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**15:45** ავტოსპორტი. „რენოს“ მსოფლიო სერია. I რბოლა. ლე მანი. საფრანგეთი (LIVE).
**18:00** სნუკერი. მასტერსი. 1/4 ფინალი. სან პაულუ. ბრაზილია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ავსტრალიის ლიგა. 1/2 ფინალი (LIVE).
**20:00** ამერიკული ფეხბურთი. NCAA. სამხრეთ მისური-პერდიუ (LIVE).
**23:30** ამერიკული ფეხბურთი. NCAA. ნოტრ დამი-მიჩიგანი (LIVE).

### 18 სექტემბერი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. III ტური. ინტერი-რომა.
**12:00** ესპანეთის ჩემპიონატი. IV ტური. ბარსელონა-ოსასუნა.
**14:00** იტალიის შოუ.
**14:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტური. ეინდჰოვენი-აიაქსი (LIVE).
**16:30** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. ტოტენჰემი-ლივერპული (LIVE).
**18:30** ინგლისის ჩემპიონატი. V ტურის წინ.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. მანჩესტერ იუნ-ჩელსი (LIVE).
**20:50** არგენტინის ჩემპიონატი. VI ტური. სან ლორენცო-ატლეტიკო რაფაელა.
**22:45** იტალიის ჩემპიონატი. III ტური. ნაპოლი-მილანი (LIVE).
**01:10** არგენტინის ჩემპიონატი. VI ტური. ლანუსი-ბოკა ხუნიორსი (LIVE).

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIV ტური. სან პაულუ-სეარა.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-11. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. III ტური. ატალანტა-პალერმო (LIVE).
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**17:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. III ტური. უდინეზე-ფიორენტინა (LIVE).
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი-ემოციები.
**19:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. შალკე-ბაიერნი (LIVE).
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. IV ტური. ლევანტე-რეალი (LIVE).
**23:50** კალათბურთი. NBA. 2010-11. ყველა ვარსკვლავის მატჩი.

**I არხი**

**09:55** რაგბი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. **საქართველო-ინგლისი** (LIVE)
**18:20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მე-3 ადგილისთვის. ლიტვა (LIVE).
**21:50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი. ლიტვა (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**14:25** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი (LIVE).
**16:55** სერია A. სიენა-იუვენტუსი (LIVE).
**19:25** ბუნდესლიგა. შალკე-ბაიერნი (LIVE).
**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-რეალი (LIVE).
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ბეტისი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**16:40** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. ჩეხეთი (LIVE).
**19:10** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ტერეკი-ლოკომოტივი (LIVE).
**04:20** ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. ატლანტა-ფილადელფია (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**14:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატლანტა-პალერმო (LIVE).
**17:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-დორტმუნდი (LIVE).
**20:25** თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 66, 74, 120 კგ. ფინალები. თურქეთი (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი (LIVE).

**HTB-პლუსი ჩვენი ფეხბურთი**

**13:40** რუსეთის ჩემპიონატი. როსტოვი-ცსკა (LIVE).
**16:00** რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-ამკარი (LIVE).
**18:15** რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-კრილია (LIVE).
**20:30** რუსეთის ჩემპიონატი. ყუბანი-ანჟი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთი-საფრანგეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**18:15** ევროპის ჩემპიონატი. მე-3 ადგილისთვის. ლიტვა (LIVE).
**21:45** ევრობასკეტი. ფინალი. ლიტვა (LIVE).

**SPORT+**

**13:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. პლეი ოფი. რუსეთი-ბრაზილია (LIVE).
**16:45** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-ზენიტი (LIVE).
**19:40** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. ჩეხეთი (LIVE).
**22:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-მილანი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:00** აკადემიური ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბულგარეთი (LIVE).
**15:45** ავტოსპორტი. „რენოს“ მსოფლიო სერია. II რბოლა. ლე მანი. საფრანგეთი (LIVE).
**17:00** სნუკერი. მასტერსი. 1/2 ფინალი. სან პაულუ. ბრაზილია (LIVE).
**21:00** სნუკერი. მასტერსი. 1/2 ფინალი. სან პაულუ. ბრაზილია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ევრობასკეტი 2011

# ფენომენალური ნავარო

## საფრანგეთი და ესპანეთი ოლიმპიადაზე მიდიან

გუშინ, ნახევარფინალური მატჩები მოიგეს იმ გუნდებმა, რომლებიც ამას ყველაზე მეტად იმსახურებდნენ და ხვალ, კაუნასის სპორტულ დარბაზში ყველაზე სასურველსა და ლოგიკურ ფინალს ვნახავთ.

მაკედონიის ნაკრებმა კინაღამ კიდევ ერთი სენსაცია შემოგვთავაზა. ესპანეთის ნაკრებმა, რომელიც მანამდე სასტიკად უსწორდებოდა ნებისმიერი ძალის მეტოქეს, მხოლოდ ბოლოსკენ გატეხა **დოკუზოვსკის** ბრწყინვალე გუნდის წინააღმდეგობა.

მაკედონიელებმა სერიოზული განწყობა მატჩის დებიუტშივე გამოაჩინეს, როცა 7:4 წაიყვანეს ანგარიში. თანაც სწრაფი ორი ჯარიმა მიაღებინეს პაუ გასოლს და მას სათადარიგოთა სკამისკენ მოუწია წასვლამ.

მაგრამ ამან მხოლოდ დადებითად იმოქმედა ესპანელებზე. გასოლის ნაცვლად მოედანზე შესული **იბაკას** „დანკმა" ესპანეთი გამოაფხიზლა და პირველი მეოთხედის ბოლო წამზე **ლიულის** სამქულიანის შემდეგ ფავორიტის უპირატესობა 8-ქულიანი იყო - 26:18.



ხუან კარლოს ნავარო

მეორე 10-წუთეულში პაუ გასოლის ჩატენვამ **სკარიოლოს** გუნდს ორნიშნა უპირატესობა მოუტანა და თითქოს ესპანეთს საბოლოოდ უნდა მოეღო ბოლო მეტოქისთვის, მაგრამ თამაშის სურათი კარდინალურად შეიცვალა. 14:3 გაქცევამ, რომელიც **დამიან სტოიანოვსკის** სამქულიანით დასრულდა, მაკედონიას ერთქულიანი უპირატესობა მოუტანა. ესპანელები აშკარად დაბნეულები ჩანდნენ და ამის ხარჯზე მეტოქემ თავის სასარგებლოდ მინიმალური სხვაობა დიდ შესვენებამდე შეინარჩუნა. ეს უკვე დიდი სენსაცია იყო.

ქულა-ქულაში თამაში მესამე მეოთხედის შუამდე გაგრძელდა, რის შემდეგაც მატჩის სადავეები ხელში აიღო ფენომენალურმა **ნავარომ**. მესამე ათწუთეულში ამ კალათბურთელის მონაგარი 19 (!) ქულა იყო. მის გარღვევებსა და სამქულიანებს მაკედონიელებმა ვერაფერი მოუხერხეს და საბოლოოდ, ბარსელონელმა 35 ქულა გააკეთა, რითაც სერიოზული განაცხადი გააკეთა ევრობასკეტის MVP-ის ტიტულზე.

ნავაროს პაუ გასოლმაც აუბა მხარი და „ლეიკერსის" ფორვარდმა მორიგი ორმაგი დუბლი შეასრულა - 22 ქულა და 17 მოხსნა. ამ დუეტისა და გამოცდილი **რუბიოს** წყალობით ესპანეთმა ბოლო მეოთხედის წინ 71:62 წაიყვანა ანგარიში და შემდეგ უკვე ახლოს აღარ მიუშვა მეტოქე.

ნავაროსა და გასოლის კარგი თამაშის გარდა, ესპანელთა გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა შეტევაში მოხსნები - ასეთი მაკედონიას მხოლოდ შვიდი ჰქონდა, ესპანეთს - 19, შესაბამისად, მეორე შანსით მოპოვებული ქულების რაოდენობით სკარიოლოს გუნდმა მეტოქეს 22:6 მოუგო.

თავისი ნორმა შეასრულა **მაკალებმა** - მაკედონიელთა ლიდერმა 19 ტყორცნიდან 11 მოათავსა კალათში, დააგროვა 25 ქულა, ხუთი პასი შეასრულა და 34 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეცდა.

■ ■ ■

2007 წლის ევრობასკეტის ფინალი არ განმეორდება - რუსეთმა ვერ შეძლო 9-მატჩიანი მოგებათა სერიის გაგრძელება, რადგან გუშინ საფრანგეთის ნაკრები მასზე უკეთესი იყო, თანაც **დევიდ ბლატის** შეგირდების იღბალის ლიმიტი სწორედ ნახევარფინალურ ეტაპზე ამოიწურა.

საფრანგეთისთვის გუშინდელი გამარჯვება ისტორიული იყო - მან პირველად მოიგო ევრობასკეტის ნახევარფინალი.

პირველი სამი მეოთხედი თითქმის თანაბარი თამაში მიდიოდა, თუმცა მაინც იგრძნობოდა საფრანგეთის მცირე უპირატესობა. **ვენსან კოლეს** გუნდი პერიოდულად ახერხებდა გაქცევას, მაგრამ მაინც აძლევდა მეტოქეს დაწევის საშუალებას. ასე იყო მეორე მეოთხედის ბოლოსკენ, როცა 11:2 სპურტის შემდეგ საფრანგეთი 39:31 გავიდა წინ, მაგრამ იქვე **ფრიძონმა** სამქულიანი გაისროლა და დიდი შესვენებისთვის სხვაობა ხუთი ქულა იყო.

საფრანგეთმა მეორე ტაიმი ძალიან ცუდად დაიწყო - ზედიზედ სამ შეტევაში დაკარგა ბურთი, რითაც რუსეთმა კარგად ისარგებლა და თანდათან შეამცირა ჩამორჩენა, ბოლოს კი ანგარიში გაათანაბრა კიდეც - 45:45.

სწორედ აქ თავისი ხმამაღალი სიტყვა თქვა **ბატუმმა**, რომელმაც ორი სამქულიანი ჩააგდო, საფრანგეთი კი 8:0 გაიქცა და ანგარიში 53:45 გახდა. ცოტა ხანში კი ფრანგების უპირატესობამ პირველად მატჩში ორნიშნა რიცხვს მიაღწია - 61:49.

ამის შემდეგ **კირილენკომ** სცადა გაბრძოლება, როცა თავის გუნდს ზედიზედ ოთხი ქულა მოუტანა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. რუსეთმა მორიგი სასწაული ვერ მოახდინა - ბოლო სამ წუთში ვერ გააბათილა ცხრაქულიანი ჩამორჩენა. ფრანგები იოლად გაუმკლავდნენ მეტოქის პრესინგს და საჯარიმოები თითქმის უშეცდომოდ ისროლეს. ბოლო წამზე **შვედის** თითქმის ცენტრიდან ჩაგდებული სამქულიანი რუსებისთვის მცირე შვება აღმოჩნდა.

მატჩის გმირი, რა თქმა უნდა, **ტონი პარკერი** იყო, რომლის გამჩერებელი რუსეთში არავინ აღმოჩნდა, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბატუმის გარჯა - 19 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი და 2 დაფარება.

ასე რომ, ფინალში ესპანეთისა და საფრანგეთის რემატჩს ვნახავთ. ჯგუფურ ეტაპზე სკარიოლოს გუნდმა გაანადგურა მეტოქე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ შეხვედრაში ფრანგებმა პარკერი და **ნოა** დაასვენეს. ასე რომ, იმ მატჩით მომავალ ფავორიტზე მსჯელობა არ შეიძლება. ფინალი კვირას გაიმართება, თუმცა საფრანგეთმა და ესპანეთმა ამოცანა მინიმუმი უკვე შეასრულეს - ისინი ოლიმპიადაზე მიემგზავრებიან.

### 1/2 ფინალი

**ესპანეთი-მაკედონია 92:80**

26:18, 18:27, 27:17, 21:18

**ე:** ნავარო (35), პ. გასოლი (22+17 მოხსნა), მ. გასოლი (11+10 მოხსნა+5 პასი+2 დაფარება), იბაკა (11), რუბიო (5+7 მოხსნა+4 პასი), ლიული (3), კალდერონი (3+4 პასი), ფერნანდესი (2).

**მ:** მაკალები (25+5 პასი), ანტიჩი (17+9 მოხსნა), ილიევსკი (15), სამარძინსკი (12+5 მოხსნა), ვ. სტოიანოვსკი (6), დ. სტოიანოვსკი (3), ჩეკოვსკი (2+5 მოხსნა).

**საფრანგეთი-რუსეთი 79:71**

17:16, 22:18, 16:13, 24:24

**ს:** პარკერი (22 +4 ჩაჭრა), ბატუმი (19+7 მოხსნა+4 პასი), დე კოლო (9+5 მოხსნა), ტრაორე (8), ნოა (7+8 მოხსნა), დიაო (6), პიეტრუსი (4), ჟელაბალე (2), კაუდი (2).

**რ:** კირილენკო (21+3 ჩაჭრა), მოზგოვი (12), ხრიაპა (9+5 პასი), მონია (8), ბიკოვი (7), შვედი (7), ანტონოვი (4), ფრიძონი (3).

### 5-8 ადგილი

**საბერძნეთი-სერბეთი 87:77**

34:8, 14:18, 16:22, 15:15

**საბ:** ბურუსისი (27+6 მოხსნა), ცისისი (18+5 პასი), ფოცისი (16+8 მოხსნა), კალატესი (10+10 პასი), ბრამოსი (6), პაპანიკოლაუ (4+8 მოხსნა), კუფოსი (4), მავროეიდისი (2).

**სერ:** კეშელი (22), კრსტიჩი (15), მაჩვანი (14), სავანოვიჩი (9), ტეოდოშიჩი (6+7 პასი), მარკოვიჩი (4), პაუნიჩი (3), პეროვიჩი (2), ბიელიცა (2).

ჩოგბურთი

# მედვედევმა კაცი გაიტანა



მედვედევი შევჩენკოსთან ერთად

სერიოზულ სკანდალში გაეხვია ცნობილი უკრაინელი ჩოგბურთელი **ანდრეი მედვედევი**. მან ხუთშაბათს საღამოს, კიევის გარეუბნის ერთ-ერთ სოფელში 28 წლის მამაკაცი გაიტანა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

*„დასადგენია, რა სიჩქარით მიდიოდა ჩოგბურთელის ჯიპი, მაგრამ დარტყმის შედეგად დაზარალებული მანქანის სახურავს გადააფრინდა და ასფალტზე დაეცა, შემდეგ კი მას კიდევ ორმა მანქანამ გადაუარა"*, - ამბობს მილიციის წარმომადგენელი.

ერთ-ერთი ვერსიით, ავარია შესაძლოა ცუდად განათებული გზის გამო მოხდა - ამ მიზეზით გზის იმ მონაკვეთზე მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მედვედევმა ალკოჰოლზე შემოწმებაც გაიარა, თუმცა ტესტის შედეგი ჯერ არ არის ცნობილი.

37 წლის მედვედევი ერთადერთი უკრაინელი ჩოგბურთელია, ვისაც „დიდი სლემის" ტურნირის ფინალში უთამაშია - 1999 წელს როლან გაროსის გადამწყვეტი მატჩი ამერიკელ **ანდრე აგასისთან** წააგო, არადა, სეტებს შორის 2:0-ს იგებდა. სულ უკრაინელს ATP-ის 11 ტიტული აქვს მოგებული და 1994 წელს რეიტინგში მეოთხე ადგილს იკავებდა.

კალათბურთი



დაპირისპირებული მხარეები

# აგენტები ლიგის მხარეს

ლოკაუტთან დაკავშირებით საკუთარი აზრი დააფიქსირეს კალათბურთელთა წარმომადგენლებმა. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე გავლენიანმა აგენტებმა თავიანთ კლიენტებს მოუწოდეს, რომ მათ მოსთხოვონ პროფკავშირს დათმობებზე წასვლა. ეს აგენტები არიან: **ერნ ტელემი, ჯეფ შვარცი, მარკ ბარტელსტეინი, დენ ფეგანი** და **ბილ დაფი**. აღსანიშნავია, რომ ეს ხუთეული ასოციაციის მოთამაშეთა მესამედის ინტერესებს წარმოადგენს.

გარდა ამისა, აგენტები პროფკავშირს საკუთარი უფლებამოსილებების გაუქმებით ემუქრებიან.

*„ჩემთვის გაუგებარია აგენტების პოზიცია. თუ მათ მსგავსი პოზიცია აქვთ, პირადად რატომ არ მითხრეს ამის შესახებ,* - აცხადებს პროფკავშირების პრეზიდენტი დერეკ ფიშერი. - *როცა ჩვენ დავინახავთ, რომ არ შეგვიძლია მუშაობა, როგორც მოთამაშეთა ასოციაციას, ვიფიქრებთ პროფკავშირის დაშლაზე. თუმცა ეს ნაბიჯიც არ იძლევა წარმატების გარანტიას".*

■ ■ ■

ამასობაში, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ ერთი [illegible] რიგების დადება მაინც მოახერხა - ლიგამ ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა არბიტრებთან, რომლებიც NBA-ის მატჩებს ემსახურებიან.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ ახალი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ დავამ კინაღამ ლიგაში არბიტრების შეცვლა გამოიწვია.

როგორც ამერიკული პრესა წერს, მსაჯებმა ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე თანხმობა ჯერ კიდევ გასულ კვირას განაცხადეს.

### ჰედოს ნაკრები აღარ უნდა

ევროპასკეტზე წარუმატებელი გამოსვლით იმედგაცრუებულმა თურქმა ვეტერანებმა სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტეს. კერძოდ, თურქეთის ეროვნულ გუნდში აღარ ითამაშებენ **ჰედო თურქოგლუ** და **ქერემ თუნჩერი**.

თურქოგლუ ევრობასკეტზე საშუალოდ 10.6 ქულას აგროვებდა, თუნჩერის სტატისტიკა კი უფრო მოკრძალებული იყო - 3.3 ქულა და 2.1 მოხსნა.

ამ კალათბურთელებს 2001 წელს ევროპის ჩემპიონატის ვერცხლი აქვთ მოგებული და 2010 წელს პლანეტის პირველობაზეც იგივე სინჯის მედალი მიიღეს.

### სმითი ჩინეთში წავიდა

„დენვერ ნაგეტსის" შემტევმა მცველმა **ჯეი არ სმიტმა** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ჩინურ კლუბ „ჟენციან გოლდენ ბულზთან". მოთამაშემ ეს გადაწყვეტილება მუდმივი სათამაშო პრაქტიკის მიღებისთვის გადადგა.

NBA-ში გატარებული შვიდი სეზონის განმავლობაში 26 წლის ამერიკელმა 500-ზე მეტი მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.5 ქულა დააგროვა.

### გალინარი თითქმის მილანელია

„დენვერის" კიდევ ერთმა კალათბურთელმა, იტალიელმა **დანილო გალინარიმ** ლოკაუტის პერიოდში, შესაძლოა, „მილანის" ღირსება დაიცვას. ფორვარდმა უკვე შეათანხმა იტალიურ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტის დეტალები.

მაგრამ არსებობს ორი ფაქტორი, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ამ ტრანსფერს: დაზღვევის ოდენობა და გალინარის ფიზიკური კონდიციები.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კვირის ბოლოს



დაკარგულები

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი